

# გილგამეზიანი

ბაბილონური ეპოსი

მესამე ათასეულისა ქრ.წ.



თბილისის  
უნივერსიტეტის  
ბაზოციემფოზა

მიხაკო წერეთლის „გილგამეშიანი“ წარმოადგენს „გილგამეშის ეპოსის“ ერთ-ერთ უპირველეს თარგამანს მსოფლიოში. ქართული არის მეოთხე ენა – გერმანულის, ინგლისურის და ფრანგულის შემდეგ, რომელზედაც მ. წერეთლის მიერ 1924 წელს ითარგმნა „გილგამეშის ეპოსი“. ავტორი „გილგამეშიანის“ თარგმანზე მუშაობდა ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში და, ძირითადად, ეყრდნობოდა აშურბანიპალის ბიბლიოთეკის (ასურულ) აქადურ ევრსიას. ამ უძველესი შუამდინარული ეპოსის წერეთლისეული თარგმანი პირველად 1924 წელს გამოიცა კონსტანტინოპოლში, თუმცა საბჭოთა პერიოდში მიუწვდომელი დარჩა საქართველოსთვის.

ამჯერად ქართველი მკითხველი პირველად გაეცნობა მიხაკო წერეთლის ამ უნიკალურ თარგმანს.

მადლობას ვუხდით კემბრიჯის უნივერსიტეტს და ბრიტანელ მეცნიერებს, რომელთა უშუალო დახმარებით თითქმის საუკუნეების წინ დაკარგული თარგმანი ქართველ მკითხველს დაუბრუნდა.

გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო  
ნინო სამსონიამ

რედაქტორი ზურაბ კიკნაძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010

ISBN 978-9941-13-175-2

## წინასიტყვაობა

მიხეილ (მიხაკო) წერეთელი (1878-1965 წწ.) საქართველოში ასირიოლოგიის და სოციოლოგიის ფუძემდებელია. მართალია, მან თავისი მოღვაწეობა პოლიტიკით დაიწყო (როგორც ცნობილია, ის იყო ანარქისტი), მაგრამ შემდეგ, როგორც თვითონ აღნიშნავს, დიდი ივანე ჯავახიშვილის და ექვთიმე თაყაიშვილის რჩევით, დროებით ჩამოშორდა პოლიტიკურ მოღვაწეობას და ხელი მიჰყო მეცნიერულ მუშაობას.

მიხეილ (მიხაკო) გიორგის ძე წერეთელი დაიბადა 1878 წლის 3 დეკემბერს<sup>1</sup> სოფელ ცხრუკვეთში (საჩხერის რაიონი).

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მიხეილმა სწავლა განაგრძო კიევის უნივერსიტეტში. უნდა ვივარაუდოთ, რომ მან კიევის უნივერსიტეტში სულ ერთი წელი ისწავლა, კერძოდ 1899-1900 წწ., რადგან 1901 წელს პარიზის უნივერსიტეტის სტუდენტია. იგი მონაწილეობს რევოლუციურ გამოსვლებში, რის გა-

---

<sup>1</sup> სამსონია ნ., მიხეილ (მიხაკო) წერეთლის დაბადების თარიღის შესახებ, „საქართველო“, თბ., 1998, 4, გვ. 72.

მოც მცირე ხნით აპატიმრებენ. ანარქისტული იდეების გამო მას პარიზიდან ასახლებენ და ლონდონში გადადის.

1910 წლიდან იწყება ახალი ეტაპი მ. წერეთლის ცხოვრებაში. 30 წელს გადაცილებული, პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად, მეცნიერულ მუშაობასაც ჰკიდებს ხელს, რაშიც ბიძგი ექვთიმე თაყაიშვილმა მისცა. ბატონ ექვთიმეს მისთვის უთქვამს: „კაცო, შენ რაღაც ანარქისტულ სტატიებს რომ სწერ და თანაც საქართველოსთვის გინდა ყველაფერი, ამ შენი ქვეყნის რაზე უნდა გაგეგებოდეს, კარგად უნდა იცოდე მისი წარსული“<sup>1</sup>.

მიხაკო წერეთელი კვლავ ევროპისაკენ მიემხრება, ამჯერად მეცნიერული ცოდნის მისაღებად. იგი ჩადის ლონდონში და იწყებს ასირიოლოგიის შესწავლას.

ერთ-ერთ წერილში მ. წერეთელი შუამდგომლობას სთხოვს ივანე ჯავახიშვილს დავით სარაჯიშვილთან მისთვის სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე.

1918 წელს მ. წერეთელი ივ. ჯავახიშვილს უგზავნის თავის პირველ სერიოზულ მეცნიერულ გამოკვლევას „სუმერული და ქართული“. იგი 1912 წელს დაიბეჭდა თბილისში, ჟურნალ „გვირგვინში“. 1913-16 წწ. ლონ-

---

<sup>1</sup> შარაძე გ., მიხაკო წერეთელი, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 1987, 25 სექტ., გვ. 4.

## VII

დონშიც გამოქვეყნდა „სამეფო სააზიო საზოგადოების ჟურნალში“.

1920 წელს მ. წერეთელი ივ. ჯავახიშვილის მოწვევით იკავებს ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრას ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში. მას პროფესორად ირჩევენ 1920 წლის მაისში, მაგრამ 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია აიძულებს მიხაკო წერეთელს დატოვოს სამშობლო.<sup>1</sup>

უნივერსიტეტის გახსნისას, როდესაც ივ. ჯავახიშვილი აკომპლექტებდა სამეცნიერო კადრებს, მ. წერეთელი დასახლებული იყო როგორც უნივერსიტეტის ერთ-ერთი მეცნიერ-ხელმძღვანელი იუსტინე აბულაძესთან და ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად. მაგრამ ახლად დაარსებულ ქართულ უნივერსიტეტში მიხაკო წერეთლის მოღვაწეობა დიდხანს აღარ გაგრძელებულა, ვინაიდან საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ იგი კვლავ გაემგზავრა საზღვარგარეთ ემიგრაციაში და საქართველოში აღარ დაბრუნებულა.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> ჯორბენაძე ს., ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1981, გვ. 277.

<sup>2</sup> გიორგაძე გრ., მიხეილ წერეთელი და ასირიოლოგია, „მნათობი“, 1995, 3-4, გვ. 120.

## VIII

1921 წლიდან მიხაკო წერეთელი ასირიოლოგიისა და ქართული ენის კათედრის გამგეა ბრიუსელისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. ამ წლებში მას მიწერა-მოწერა აქვს ივ. ჯავახიშვილთან, რომელსაც აცნობს მომავალი მუშაობის გეგმებს, იხილავს ახალ სამეცნიერო ლიტერატურას ასირიოლოგიასა და ქართველოლოგიაში.

1924 წელს კონსტანტინოპოლში ქართულ ენაზე ზედიზედ გამოიცა მ. წერეთლის მიერ თარგმნილი „გილგამეშინი“ და მონოგრაფია „ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა“, რომელსაც არაერთხელ იმოწმებს ივ. ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორიაში.

ჰაიდელბერგის მეცნიერებათა აკადემიამ 1928 წელს გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა მ. წერეთლის ნაშრომი: „ახალი ქალდეური წარწერები“, ხოლო მსოფლიოში ცნობილ ჟურნალში „Revue d'Assyriologie“-ი (გამოდის პარიზში 1884 წლიდან) 1933-35 წწ. დაიბეჭდა მისი „ურარტული ეტიუდები“. იგი აქვეყნებდა ურარტულ ლურსმულ წარწერებს (ფილოლოგიური და ისტორიული კომენტარებით), იკვლევდა ურარტული ენის გრამატიკის საკითხებს, ამუშავებდა ურარტოლოგიის სხვადასხვა პრობლემას. მისი თითქმის ყველა ურარტოლოგიური ნაშრომი ქვეყნდებოდა პარიზში

გამომავალ სოლიდურ ასირიოლოგიურ ჟურნალ „Revue d'Assyriologie“-ში.<sup>1</sup>

მ. წერეთელი გარდაიცვალა 1965 წლის 2 მარტს მიუნხენში. კალისტრატე სალიამ მარიამ ნაკაშიძეს გაუგზავნა ბარათი მიხაკოს გარდაცვალების შესახებ: „კრემატორიუმში დიდძალი საზოგადოება მოვიდა. გამოთხოვება ლამაზად მოხდა. ხელმძღვანელობდა თქვენი ძმა, ჩემი მეგობარი ნიკო. ანდერძის მიხედვით, სიტყვები არ იყო, მხოლოდ ნიკომ მოკლე ბიოგრაფია გააცნო დამსწრეთ განსვენებულისა. სამძიმარი მივიღეთ ოთხმა: მიხაკოს შვილიშვილმა, ნიკომ, ალექსანდრე ნიკურაძემ და მე. ფერფლი დროებით მიუნხენში დარჩება. ორი წლის წინათ მიხაკომ ითხოვა – მისი ფერფლის საქართველოში გადაგზავნა. თუ მანდედან ნებართვა მივიღეთ, ჩვენ შევასრულებთ მიხაკოს თხოვნას“.<sup>2</sup> ეს წერილი ნაკაშიძეების ოჯახმა გადასცა მ. წერეთლის მეუღლეს – მარიამ ვახვახიშვილს.

აქვე მოვიყვანთ ნიკო ნაკაშიძის წერილს ბაბო წერეთლისადმი, რომელიც 1965 წლის 3 მარტსაა დაწე-

<sup>1</sup> გიორგაძე გრ., მიხეილ წერეთელი და ასირიოლოგია, „მნათობი“, 1995, 3-4, გვ. 147.

<sup>2</sup> წერეთელი მ., ბარათები მეუღლისადმი, „მნათობი“, V, თბ., 1988, გვ. 157.

რილი: „ლამით, პირველ მარტს გარდაიცვალა თქვენი ბიძა მიხეილ (მიხაკო) წერეთელი – დასაფლავება შაბათს, 6 მარტს, დილის 11 საათზე მიუნხენში. თანახმად განსვენებულის ანდერძისა, მას დასწვავენ. სანეშტე ურნა (სპილენძის) შემდეგ გადატანილ იქნება პარიზში ქართველთა სასაფლაოზე და იქ მიბარებული. განსვენებულის სურვილი იყო მისი ნეშტი მიბარებოდა მშობლიურ მიწას მის საყვარელ ცხრუკვეთში. ურნის გადატანა საქართველოში არ იქნება ძნელი საქმე. პარიზში ხშირად ჩამოდიან მაქედგან მეცნიერები თუ ტურისტები. ნიკო ნაკაშიძე – თავმჯდომარე ქართული სათვისტომოსი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში“. თუმცა მიხაკო წერეთელს თავისი ანდერძი დღემდე ვერ შეუსრულა მისმა სამშობლომ, რომელსაც ამ უდიდესმა მეცნიერმა სახელი გაუთქვა მთელ მსოფლიოში.

მიხეილ წერეთელი გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ და ქართულ ენებზე წერდა და აქვეყნებდა თავის ნაშრომებს ევროპაში, რითაც მთელ მსოფლიოს აცნობდა ქართველი ერის ისტორიას, ენას, მის სიდიადეს. ბედის უკუღმართობით უცხოეთში გადახვეწილი ცნობილი მეცნიერი იქიდან იცავდა ქართული ენის სიწმინდეს.



მიხაკო წერეთელს ბევრი გამოუქვეყნებელი ნაშრომი დარჩა, მათ შორის: „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, „ურარტული ტექსტები“, „ქართლის ცხოვრების“ შესახებ, „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“, „ქართლის ანალები“, „საქართველოს მოქცევა“, „საქართველოს განმანათლებლის წმ. ნინოს ცხოვრება“, „მეფეების წიგნი“, „აბო თბილელის წამება“, „კოლას ცხრა ბავშვთა წამება“, „იერუსალიმის აღება“ და სხვა.

მიხაკო წერეთელი თავდაუზოგავად სწავლობდა „ვეფხისტყაოსანს“. ჯერ კიდევ 1924 წელს კონსტანტინოპოლში გამოცემულ „გილგამეშინის“ ქართულ თარგმანში ის ავლებს პარალელებს რუსთაველთან: „ბაბილონური ელემენტები და გილგამეშური მოტივი „ვეფხისტყაოსანშიც“ არის, აღმოსავლეთის რომელ სამწერლობო ნაკადთა გზითა და რომელ ხალხურ წარმოდგენათა გავლენითაც არ უნდა მიეღწია მათ უძველეს საქართველომდე და შემდეგ თვით რუსთაველამდე“<sup>1</sup>.

მიხეილ წერეთელმა თარგმნა „გილგამეშის ეპოსი“, თუმცა იგი ვალდებულიც იყო, რადგან ეს ეპოსი ევროპულ ენებზე თარგმნილია ფუძემდებელ ასირიოლოგთა მიერ.

---

<sup>1</sup> წერეთელი მ., ბარათები მეუღლისადმი, „მნათობი“, V, თბ., 1988, გვ. 4.

სამწუხაროდ, დაკარგულია მიხაკო წერეთლის არქივი – შემორჩა მხოლოდ „გილგამეშიანი“, გამოცემული 1924 წელს. „გილგამეშიანს“ არანაირი გავლენა არ მოუხდენია ქართულ ასირიოლოგიასა თუ ფილოლოგიაზე, რადგანაც იგი ათწლეულების მანძილზე ცხრაკალიტულში იყო ჩაკეტილი და განსაკუთრებული ნებართვა სჭირდებოდა ამ წიგნით სარგებლობას.

აღსანიშნავია წიგნის სათაური – „გილგამეშიანი“, რაც ნიშნავს იმას, რომ წიგნი ეხება გილგამეშს. ბატონმა მიხეილმა ზუსტად გამოხატა ის სათაური, რომელიც ამ წიგნს აქვს აშურბანიპალის ბიბლიოთეკის კატალოგში. ჩვენთვის ცნობილია, რომ ეს ეპოსი აღმოჩნდა აშურბანიპალის ბიბლიოთეკაში, როდესაც მისი სასახლე გათხარეს; აქვე აღმოჩნდა ბიბლიოთეკის კატალოგიც, რომელიშიც წერია: „ემგარ გილგამეშ“ – „ემგარ“ შუმერული სიტყვაა და ნიშნავს ციკლს, ანუ ყველაფერს, რაც გილგამეშს ეხება. ეს არის თორმეტი დაფა. ასურეთის მეფე აშურბანიპალმა მთელი იმპერიის საზღვრებში მოიძია ყველა ის ვარიანტი, რომელიც გილგამეშს ეხებოდა, შემდეგ კი გადაწერეს და უწოდეს „ემგარ“.

„გილგამეშის ეპოსის“ ძირითადი თარგმანები იმ დროისათვის იყო გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ხოლო რაც შეეხება რუსულს, ესპანურს, იტალი-

ურს, შვედურს ამ ენებზე თარგმანი არ არსებობდა, რომ აღარაფერი ვთქვათ აზიურ ენებზე. უმთავრესი ღირსება მ. წერეთლის „გილგამეშიანისა“ ისაა, რომ ეს თარგმანი იმ დროს – **1924 წელს გამოიცა, ამასთან თარგმანი შესრულებულია ორიგინალიდან – ლურსმული ფირფიტებიდან**, რომლებიც დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში.

„გილგამეშიანს“ აშკარად ეტყობა, რომ ავტორს საკუთარი ერის ინტერესებიც ამოძრავებდა. ევროპელი ასირიოლოგები ასრულებდნენ ამ თარგმანს ისე, რომ მათ საკუთარი ერის ინტერესი არ ჰქონდათ, თუმცა „გილგამეშის ეპოსში“ ზოგადსაკაცობრიო მოტივებია, რომელიც პირველად დაფიქსირდა წერილობით, მაგრამ მას არც ერთ ევროპულ ერთან, ანუ ახალი ცივილიზაციის ხალხებთან არა აქვს გენეტიკური კავშირი. ამიტომაც ევროპელი მკვლევრები „გილგამეშის ეპოსს“ განიხილავენ, როგორც საკაცობრიო მონაპოვარს, მაგრამ მ. წერეთელი სხვაგვარად უყურებს ამ თარგმანს. კერძოდ, ეს გამოსჭევივის დაწყებული სათაურიდან და შემდეგ, „დაფას“, „კარს“ რომ უწოდებდს. თუმცა ზოგჯერ აქ თხრობა ისე არ არის გადმოცემული, როგორც ეს ერთ კარში უნდა იყოს მოქცეული, ხოლო რაც შეეხება დაფას – სათქმელი ერთ დაფაში თუ არ დაეჭია, შესაძლებელია გაგრძელდეს მეორეში.

საინტერესოა, თუ როგორ ააგო „გილგამეშიანის“ თარგმანი მიხეილ წერეთელმა. იგი ძირითადად ეყრდნობოდა აშურბანიპალის ბიბლიოთეკის ვერსიას, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული და ლონდონში მუშაობისას მისთვის ხელმისაწვდომი იყო.

მ. წერეთელი აგრეთვე სარგებლობდა ძველბაბილონური ვერსიით, რომელიც სხვა აგებულებისაა, ვიდრე ასურული (ძვ. წ. VIII-VII სს.) ვერსია. ამიტომ მას სქოლიოში მოაქვს პარალელური ტექსტი. ეს ძალიან სწორი მიდგომაა. მთარგმნელი გვაცნობს, თუ რა ეპიზოდები არსებობდა. ძველ ბაბილონურს მ. წერეთელი უწოდებს „აკადურ“ ვერსიას. დღეს აქადურიც და ბაბილონურიც საერთო სახელწოდებაა ასურულ-ბაბილონურისა. მას გამოყენებული აქვს ხეთური ვერსიაც, რომელსაც უწოდებს ხეთურ, ინდოევროპულ ვერსიას. დღეს ყველამ ვიცით, რომ ხეთური ინდოევროპული ენაა და არ მიგვაჩნია საჭიროდ ამის აღნიშვნა.

ასევე საინტერესოა მიხეილ წერეთლისეული მიდგომა „გილგამეშიანის“ ტექსტის მიმართ. კერძოდ, ტრადიციის მიხედვით, რაც არის „გილგამეშიანში“, არის სხვაგანაც. მრავალი მოტივი, რაც გადმოცემულია „ოდისეაში“, „ილიადასა“ და სხვა ეპოსებში, არის

„გილგამეშიანშიც“. მ. წერეთელი საერთო მოტივებს „ვეფხისტყაოსანთანაც“ პოულობს, ავლებს პარალელებს ბიბლიასთან, მაგრამ მიხაკო წერეთლისათვის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი საერთო მემკვიდრეობაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „გილგამეშის ეპოსში“ პირველადაა თავმოყრილი ზოგადსაკაცობრიო მოტივები, რომელთა გამოძახილს შემდეგ ათასწლეულების მანძილზე ვხვდებით სხვადასხვა ხალხის ეპოსებში. გმირი გილგამეშის სახელიც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა უშემერულ ბილინებსა და ეპიკურ სიმღერებში, ხოლო „გილგამეშის ეპოსის“ ავტორმა პროლოგში მოგვაწოდა მისი საბოლოო „პორტრეტი“ – ის იდეალური სახე, რომელსაც გმირი დასასრულს აღწევს. აქ პიროვნების სრულყოფა – „ყოველი იხილა ქვეყნის საზღვრამდე“ – გმირის გავლილი გზის დასასრულს ხდება. „გილგამეშის ეპოსი“ გვაძლევს იმის გააზრების საშუალებას, თუ რა გზა უნდა გაიაროს კაცმა, რომ ასე დახასიათდეს:

„ერთბამად განსჭვრიტა ყოველი საიდუმლო,  
სარქველი სიბრძნისა, რომელი ყოველსა  
დაჰფარავს“.

„გილგამეშიანის“ პროლოგშივე ნათელია გილგამეშის განსაკუთრებული ბედი: „ორი მესამედი ღმერთი იყო იგი, ერთი მესამედი კაცი“ – თარგმნის მ. წერეთელი. ამ სიტყვებშია დაფარული გილგამეშის განვითარების პოტენცია. გილგამეშმა ვერ მოიპოვა უკვდავება, მაგრამ დაძლია სიკვდილის შიში. სიკვდილის შიში გახდა თვითშემეცნების იმპულსი.

აქადურ ეპოსში ენქიდუს შექმნა საჭირო ხდება, რათა გილგამეშმა „იხილოს სიღრმე“. ენქიდუ იქმნება სასწაულებრივად, ერთიანი აქტით, რითაც, ბიბლიური ტრადიციის მიხედვით, პირველი ადამიანი შეიქმნა. მ. წერეთელი თარგმნის:

„არურუმ დაიბანა ხელები,  
მოზილა თიხა და დანერწყვა იგი.  
შეჰქმნა ენქიდუ, შეჰქმნა გმირი,  
დიდებული ქმნილება, მებრძოლი ნიმურტასი“.

ნიმურტას მ. წერეთელი „გილგამეშიანის“ შენიშვნებში განმარტავს, როგორც ომის ღმერთს, სატურნს. მ. წერეთელი არსად ახსენებს სიტყვას „შამხათი“ და მას თარგმნის როგორც „მეძავ ქალს“. „ექვს დღესა და შვიდ ღამეს ჰყვარობდა ენქიდუ მეძავ ქალს“. პოეტი გულახდილობით და დაწვრილებით აღწერს ამ აქტს, რადგა-

ნაც შემდეგ ეს საბედისწერო ხდება ენქიდუსთვის. პირველი, რაც ამის შემდეგ მოხდა, იყო ის, რომ ენქიდუს საკუთარმა ჯოგმა ზურგი შეაქცია:

„რომ დაინახეს ენქიდუ, გაიქცნენ შველები,  
მხეცი მინდვრისა განერიჩა მისგან“.

სამაგიეროდ, მას გზა გაეხსნა ადამიანური ცხოვრებისაკენ. მეძავე ჰპირდება ენქიდუს:

„წამო, წაგიყვან გალანნიან ურუკს,  
წმიდა სახლში, სავანეში ანუხა და იშტარისა,  
სადა სცხოვრობს გილგამეშ და უდარო ძალით,  
ვითარცა ხარი ველური, განაგებს ერსა“.

თუმცა ეს ადამიანური სიკეთე გახდება შემდეგ მისი სიკვდილის მიზეზი. ძველბაბილონურ ვერსიაში ნაჩვენებია, თუ როგორ ითვისებს ის ადამიანური არსებობის წესებს: სწავლობს ჭამას, სმას, იშორებს ნისაბას და სუმუქანის სამოსელს. მიხაკო წერეთელი თარგმნის:

„არ იცოდა ენქიდუმ ჭამა პურისა!  
არ უსწავლია მას სმა ღვინისა“  
ასწავლა მეძავემა ყოველი.  
მაშინ მოვიდა გუნებაზედ, გამხიარულდა  
ლხინით აღევსო გული, ბრწყინავდა სახე მისი,  
იცხო საცხებელი, ბატონს დაემსგავსა,  
შემოსა სამოსი, სასიძოს დაემსგავსა“.

## XVIII

ეს ადამიანური სიკეთეა, რაც აშორებს მას უკვდავებას. ყოველივე ამას ენჭიდუ მხოლოდ სიკვდილის წინ ხედება და ნანობს კიდევ. სამწუხაროდ, დაკარგულია ტექსტის ის ადგილები, სადაც აღწერილი უნდა ყოფილიყო მის მიერ ურუქში წესების დამყარება. ამაზე მიუთითებს მისი სიტყვები, როდესაც გილგამეშთან შესარკინებლად მიდის. შემონახულია მხოლოდ გილგამეშისა და ენჭიდუს ორთაბრძოლა:

„იბრძოდნენ შუკაზედ,  
იძვროდნენ კარნი, ირყეოდა კედელი,  
ეცნენ ერთმანეთს სასახლის კართან  
ვითარცა ხარნი ზეცისა, ცეცხლიმფრქვევლნი“.

შემდეგ ენჭიდუ აღიარებს გილგამეშის ძლიერებას და ეუბნება მას:

„უდარო უშობიხარ დედასა შენსა,  
გარეულ ფურსა ჯოგისასა, ქალღმერთს ნინ-სუნს“.

შემდეგ მ. წერეთელი პროზად გადმოსცემს შინაარსს. აქ მოთხრობილია მეგობრების გეგმა. ისინი გადაწყვეტენ წასვლას ხუმბაბასთან საბრძოლველად, რომელიც იცავს „წმინდა ნაძვის ხეს“ – ასე თარგმნის მიხაკო წერეთელი „კედარის ტყეს“. ეს ტყე ლიბანში იყო. აქადის მეფეები ნარამსინი და სარგონ აქადელი აქ



აწყობდნენ ექსპედიციებს, რამაც გამოძახილი პოვა „გილგამეშის ეპოსში“.<sup>1</sup>

ენქილუ კვდება, როგორც ყოველი მოკვდავი კაცი, მაგრამ ის განსაკუთრებულ სიბრალულს იწვევს, რადგანაც კვდება სამშობლოსგან შორს. სამაგიეროდ, მას მიაგებენ პატივის ისე, როგორც ადამიანს:

„გილგამეშ შენთვის ატირებს და აგოდებს ურუქის  
ერსა,

შენდა ამსახურებს უამრავ ერსა“.

მ. წერეთლის თარგმანი აზრობრივად სწორია, რადგან, შუმერის გაგებით, ადამიანი ღმერთების მსახურებისთვის იბადება. ენქილუ უნდა წავიდეს „ირკალას სავანეში“. ასე უწოდებს მ. წერეთელი ქვესკნელს:

„წამომყევ სიბნელის სახლში, ირკალას სავანეში,  
იმ სახლში, რომელს ადარ სტოვებენ, ვინც შიგ  
შედიან“.

ამის შემდეგ რამდენიმე სტრიქონი მ. წერეთელს განსხვავებულად აქვს თარგმნილი:

„ცხოვრობს ეტანა, ცხოვრობს საკანი,  
ცხოვრობს დედოფალი ქვესკნელისა ერე შქიგალ,

---

<sup>1</sup> Афанасьева В. К., Гильгамеш и Энкиду, გვ. 122.

ბელიტ-სერი, მწერალი ქვესკნელისა,  
თავ-დახრითა ღვას მის წინაშე“.

ბატონი მიხეილი შემდეგნაირად განმარტავს: ეტა-  
ნა მითიური პიროვნებაა, არწივს რომ შეაჯდა და აფ-  
რინდა, საკანი პირუტყვთა ღმერთია, ხოლო ბელიტ-სე-  
რი — „მინდვრის დედოფალი“. ესენი ერთად ცხოვრო-  
ბენ ყველანი ერეშტიგალთან ქვესკნელში და მათთან უნ-  
და აღმოჩნდეს ენჭიდუც, რომელმაც თავისი განვლილი  
ცხოვრებით მათ გვერდით მოიპოვა ადგილი.

„აღდგა და მიიყვანა თავისთან ის კაცი“. — სამწუხა-  
როდ, ამ დაფის ტექსტი აქ წყდება. ამის შემდეგ მოთხ-  
რობილია გილგამეშის გოდება და ენჭიდუს სიკვდილი:

„ბრძოლაში დაჭრილი არა ვკვდები,  
ვინც ბრძოლაში კვდება, ბედნიერია!

მე კი საწოლზედ უნდა დავასრულო სიცოცხლე

ჩემი“.

კვდება ენჭიდუ და გილგამეშის შემეცნებაში იწყება  
ახალი ძვრები. სწორედ აქეთკენ მიჰყავს ავტორს ეპო-  
სის ძირითადი იდეა.

რაც შეეხება წარღვნის ეპიზოდს, ის ეპოსის ორგა-  
ნული ნაწილი არაა. მართლაც, „გილგამეშის ეპოსში“  
მნიშვნელოვანია არა წარღვნის მომენტი, არამედ შე-  
დეგი — უთნაფიშთის გაუკვდავება. ეპოსის ავტორი ეყ-

რდნობა არა ერთ რომელიმე ტრადიციას, არამედ წარმოგვიდგენს წარღვნის მითის რამდენიმე ვერსიის საფუძველზე შექმნილ ამბავს. ამავე აზრს იზიარებს მიხაკო წერეთელი. იგი წერს: „გერმანელმა ასსირიოლოგმა ოებელმა აღმოაჩინა ამ ათიოდე წლის წინად ამერიკაში ნიპპურითგან ჩამოტანილ ტექსტებში წარღვნისა და შექმნის თქმულებათა უშემერული ვერსია“.

ეპოსში არ ჩანს წარღვნის მიზეზი. აქ ეს ღმერთების უბრალო ახირებად ჩანს, რადგან აეტორს, ძირითადად, უთნაფიშთის გაუკვდავება აინტერესებს.

როგორც ძველ აღთქმაში, ისე „გილგამეშის ეპოსში“ განვითარებულია ინდივიდუალური პასუხისმგებლობის იდეა.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ლეგენდა გილგამეშზე ვითარდებოდა ძალიან დიდხანს. ეპიკური სიმღერები, რომლებიც ამ გმირს ეძღვნებოდა, ერთმანეთისგან 1500 წლითაა დაშორებული. ძველი აღმოსვლეთის ოთხ ენაზე — შუმერულზე, აქადურზე, ხეთურსა და ხურიტულზე — შესრულებული სიმღერები გილგამეშის შესახებ ფირფიტაზე ლურსმული დამწერლობითაა ჩაწერილი. უძველესი ტექსტებია აგრეთვე შუმერულად.

შუმერული სიმღერები გილგამეშზე ეკუთვნის ძვ.წ. III ათასწლეულის I ნახევრის დასასრულს, თუმცა ჩვენამდე მოღწეული ჩანაწერები 800 წლით ახალგაზრდაა. ამავე პერიოდისაა პოემის პირველი აქადური ჩანაწერები, რომლებიც ეკუთვნის ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო მესამედს. II ათასწლეულს განეკუთვნება პალესტინიდან და მცირე აზიიდან მოღწეული ნაწილები აქადური პოემისა, ე.წ. „პერიფერიული“ ვერსია, ასევე ფრაგმენტები მისი ხეთურ-ხურიტული თარგმანებისა. დაბოლოს, II ათასწლეულის დასასრულს და, ასევე, ძვ.წ. VIII-VII სს-დან ჩვენამდე მოღწია ტექსტის საბოლოო რედაქციამ ე.წ. „ნინევიური“ ვერსიით, რომლის მიხედვითაც შეასრულა მ. წერეთელმა „გილგამეშის“ თარგმანი.

მიხაკო წერეთელი მოკრძალებით აღნიშნავს, რომ პოემა უნდა შექმნილიყო „ალბათ III ათასწლეულს ქრისტეს წინ. უფრო ზუსტად კი ეპოსში არ იხსენიება ღმერთი მარდუკ, რომელიც ბაბილონეთის უმთავრეს ღმერთად იქცა მას შემდეგ, რაც ბაბილონი გახდა ამ სამეფოს სატახტო ქალაქად. ე.ი. ჰამმურაბის ეპოქაში, მი-ახლოებით XX საუკუნეში ქრ. წინ ეპოსის შექმნა ამ ეპოქის წინა დროს ეკუთვნის“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> წერეთელი მ., „გილგამეშის“, გვ. 5.

წერეთელი ასახელებს უმნიშვნელოვანეს მომენტს ეპოსის დათარიღებისა. დღეისათვის თარიღი უფრო დაზუსტებულია. ეს არის ძვ.წ. XXIII-XXI საუკუნეები, რადგანაც, პირველ ყოვლისა, პოემაში არც ერთხელ არ მოიხსენიება მარდუქი, რომელიც ძვ.წ. XVIII საუკუნიდან გამოცხადდა უზენაეს ღმერთად. ასევე, არ ჩანს ენლილის უპირველესი როლიც, რომელიც ურის III დინასტიის დროიდან (ძვ.წ. XXI ს.) აგრეთვე უზენაესია შუმერულ პანთეონში. ეპოსში ენლილი ადგილს უთმობს ცის ღმერთს – ან-ს. ხოლო რაც შეეხება ურუქს, აქ აქადური ენა გავრცელდა სარგონ აქადელის შემდეგ, ე.ი. ძვ.წ. XXIV-XXIII საუკუნეებიდან. აქედან გამომდინარე, პოემა თარიღდება ძვ.წ. XXIII-XXI საუკუნეებით.<sup>1</sup> თუმცა, არსებობს სხვა ვერსიებიც „გილგამეშის ეპოსის“ დათარიღების შესახებ.

დღეისათვის ცნობილია პოემის სამი ვერსია აქადურ ენაზე. ყველაზე ძველია ე.წ. „ადრებაბილონური“. ამ ვერსიით სარგებლობს მ. წერეთელიც და მას უწოდებს „ძველ აკადურ ვერსიას“. ეს ვერსია თარიღდება ძვ.წ. XVIII-XVII სს-ით. იგი წარმოდგენილია ექვსი ნაწილით: 1) „პენსილვანიის დაფა“ – შეესატყვისება I-II

<sup>1</sup> Дьяконов И. М. Эпос о Гильгамеше, გვ. 116.

სიმღერებს უფრო გვიანდელი ვერსიისა; 2) „იელის დაფა“ – შეესატყვისება II-III ნაწილებს გვიანდელი ვერსიისა; 3) პირველი ფრაგმენტი ტელ-ხარმალიდან – შეესატყვისება IV სიმღერას გვიანდელი ვერსიისა; 4) მეორე, ჯერ კიდევ გამოუცემელი ფრაგმენტი ტელ-ხარმალიდან; 5) „ბაუერის დაფა“ – შეესატყვისება V სიმღერას; 6) „მეისნერის დაფა“ – შეესატყვისება X, შესაძლებელია, VIII სიმღერას გვიანდელი ვერსიისა.

ყოველი ნაწილი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. დაწერილია დაუხვეწავი ენით. „პენსილვანიის დაფიდან“ სულ ოთხი-ხუთი ტექსტია შემორჩენილი, დანარჩენი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია.

პოემის მეორე ვერსიაა „პერიფერიული“ – ნაპოვნი ბოლაზ-ჭოიში. მიხაკო წერეთელი ამ ვერსიას უწოდებს „ბოლაზ-კოის აკადურ ვერსიას“. აქედან მას მოჰყავს დამატებითი ნაწყვეტები ტექსტის უკეთ გასააზრებლად. პირველად ნაწყვეტი „ბოლაზ-კოის აკადური ვერსიისა“ გვხვდება „გილგამეშიანის“ IV კარში, როდესაც ავტორი აღწერს გილგამეშისა და ენქიდუს შერკინებას ხუმბაბასთან.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> წერეთელი მ., „გილგამეშიანი“, გვ. 32.

ეს ფრაგმენტი შეესატყვისება VI-VII სიმღერებს გვიანდელი ვერსიისა, მაგრამ შინაარსი უფრო მოკლე-დაა გადმოცემული; მეორე ფრაგმენტი ნაპოვნია ქ. მე-გიდოში – შეესატყვისება VII სიმღერას. ორივე ფრაგმენტი მიეკუთვნება ძვ.წ. XV-XIV სს.

„პერიფერიულ ვერსიას“ შეიძლება მივაკუთვნოთ პოემის ხეთური და ხურითული თარგმანი, რომელთაგან შემორჩენილია ფრაგმენტები და შეესატყვისება I, V, X სიმღერებს და მიეკუთვნება ძვ.წ. XIV საუკუნეს.

პოემის ძირითადი გამოცემა დამყარებულია მესამე ვერსიაზე, რომელსაც ეწოდება „ნინევიური“, პოენის ადგილის მიხედვით, ასევე – „ასურული“. ეს ვერსია ძირითადი წყაროა მიხეილ წერეთლის „გილგამეშიანისა“. ის წერს: „ჩემთვის ხელმისაწვდომი იყო ბაბილონური ტექსტი ასურ-ბანიპალის (668-626 წ. ქრ.წ.) დროს გადაწერილი და მის ბიბლიოთეკაშივე აღმოჩენილი, დღეს დაცული ბრიტანეთის მუზეუმში“.<sup>1</sup> აქვე დასძენს, რომ „ქართულად თარგმნის დროს სიტყვასიტყვით მივსდევდით ტექსტს: P. HAUPT: NIMrod – Epos, Assyriologische Bibliothek III“ – ეს არის ლურსმული ტექსტი და ტრანსკრიპცია აქადური ეპო-

---

<sup>1</sup> იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 7.

სისა, რომელშიც ჩართულია ხეთური და ხურიტული ვერსიები.

მ. წერეთელი აღნიშნავს: „გილგამეშის ეპოსის ნაწილი არიან: გილგამეშისა და მხეც-კაცა ენკიდუს ბრძოლა ჰუმბაბასთან და ამ უკანასკნელის დათრგუნვა; გილგამეშის მტრობა სიყვარულის ღმერთის იშტარის წინააღმდეგ; წარღვნის ამბავი; გილგამეშის მიერ ძებნა უკვდავებისა“.<sup>1</sup>

პოემის სტრუქტურაზე მ. წერეთელი წერს: „გილგამეშისანი მრავალ ნაწილთაგან შესდგებოდა და უმეკველია, თვითოეული ნაწილი თავდაპირველად დამოუკიდებელი თქმულება უნდა ყოფილიყო და შემდეგ შეუერთებია ეს დამოუკიდებელი თქმულებანი მელექსეთა შემოქმედებას ერთ ეპოსად და მის უმთავრეს მომქმედ პირად გაუხდია გმირი გილგამეში“.<sup>2</sup> ამ შემთხვევაში, მ. წერეთლის ნათქვამი, რაც მაშინ დაუსაბუთებელი იყო, შემდგომი გამოკვლევებით დამტკიცდა.

ამუბრანიალის ბიბლიოთეკის კატალოგი გვაუწყებს, რომ პოემა ჩაწერილია ვინმე სინლიკიუნინის მიერ. ეს სახელი ძალიან იშვიათია და, შესაძლებელია, ეკუთ-

<sup>1</sup> წერეთელი მ., „გილგამეშისანი“, გვ. 5.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 4.



ენოდეს ძვ.წ. II ათასწლეულზე უფრო ადრეულ ხანას. ძვ.წ. I ათასწლეულის II ნახევრამდე ვინმე სინლოკიუნინი ითვლებოდა ურუქის ერთ-ერთი უძლიერესი ოჯახის წინაპრად. რასაკვირველია, ის არ შეიძლება მივიჩნიოთ პოემის ავტორად. საუკეთესო შემთხვევაში, მან გადაამუშავა პოემა, რაც შეეხება პოემის XII დაფას, იგი დამატებულია ძვ.წ. VIII საუკუნის ქურუმის, ვინმე ნაბუზუკუპკენუს მიერ. იგი იყო სალიტერატურო და რელიგიური ტექსტების ცნობილი გადამწერი და შემგროვებელი, — წერს ი. დიაკონოვი, აშურბანიპალის კატალოგის მიხედვით.<sup>1</sup>

მიხეილ წერეთლისთვის ამის შესახებ სრულიად არაფერია ცნობილი. იგი წერს: „გილგამეშიანის შემოქმედზედ სრულიად არა ვიციოთ რა და საზოგადოდ ძველ აღმოსავლეთში ძლიერ ძვირად აღნიშნავდნენ ხოლმე სახელს დიდ მწერალთა და ხელოვანთა. მათი პიროვნება არ აინტერესებდა აღმოსავლეთს, რადგანაც პიროვნების ღირებულება არა ჰქონდა მას შეგნებული“.<sup>2</sup>

პოემის ავტორი დღესაც არ არის ცნობილი. მომავალში შეიძლება აღმოჩნდეს რაიმე საბუთი, რაც ფარდას ახდის ამ საიდუმლოს, რადგანაც, უეჭველია, რომ

<sup>1</sup> Дьяконов И. М. Эпос о Гильгамеше, გვ. 123.

<sup>2</sup> წერეთელი მ., „გილგამეშიანი“, გვ. 4.

„გილგამეშის ეპოსი“ ერთი ავტორის მიერაა შექმნილი. ის მიჰყვება ერთ იდეას და იყენებს მხოლოდ იმ სიმღერებსა და მითებს, რომელიც ამ იდეას ასხამს ხორცს. ეს არის იდეა ადამიანის, კაცობრიობის ბედისა.

„გილგამეშის ეპოსის“ შესწავლა 1872 წელს დაიწყო ჯორჯ სმიტმა, თვითნასწავლმა ასირიოლოგმა, როდესაც ბრიტანეთის მუზეუმში იპოვა XI დაფის ნაწილი. შემდეგ მივლინებით გაემართა ნინევიაში, სადაც ამშურბანიპალის ბიბლიოთეკაში იპოვა ამ ფირფიტის კიდევ ერთი ნაწილი. ეს ნაწილები მალე გამოსცა ამერიკელმა მკვლევარმა პაულ ჰაუპტმა. „ის ეპოსს გილგამეშზე კითხულობდა შეცდომით, როგორც „იზდუბარს“, რადგან უკავშირებდა ბიბლიურ ნემროდს“.<sup>1</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პაულ ჰაუპტის ტექსტს თავის უმთავრეს წყაროდ ასახელებს მ. წერეთელი, ხოლო ეპოსის ძირითადი ტექსტი დალაგებულ იქნა პეტერ იენსენის მიერ, რომელმაც გამოსცა ტრანსკრიპცია და თარგმანი ასურულ-ბაბილონური მითებისა. იენსენის თარგმანის შესახებ მ. წერეთელი ამბობს: „ხოლო საუკეთესო მრჩეველად გვქონდა გერმანული თარგმანი პ. იენსენის მიერ – P. Jensen: Keilchriftliche

---

<sup>1</sup> Дьяконов И. М. Эпос о Гильгамеше, გვ. 132.

Bibliothek VI, 1: Mythen und Epen და გერმანულივე კლასიკური თარგმანი „გილგამეშიანისა“ ა. უნგნადის მიერ A. Ungnad: Religiöse Stimmen der Völker III: Religion der Babilonier und Assyrien, აგრეთვე განმარტებანი გრესმანისა, რომელნიც ამ მეცნიერმა მისცა ეპოსის 1911 წლის თარგმანს უნგნადის მიერ Ungnad und Gressmann: Gilgamesch – Epos, 1911“.<sup>1</sup>

XX საუკუნის დასაწყისში იბოვეს ნაწილები „ძველბაბილონური“ და „პერიფერიული“ ვერსიებისა, ასევე ხეთური და ხურიტული თარგმანები, რაც ცნობილი და ხელმისაწვდომი იყო მ. წერეთლისთვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მან „გილგამეშიანი“ გამოსცა 1924 წელს.

მას შემდეგ კიდევ ბევრი თარგმანი აღმოჩნდა. 1930 წელს კემბელ-ტომსონმა გამოსცა ახალი ნაწილი ფრაგმენტებისა ტრანსკრიპციით. მ. წერეთლისთვის ასევე ცნობილი ყოფილა „გილგამეშის ეპოსის“ ინგლისური თარგმანი, შესრულებული ლენგდონის მიერ (Langdon: The Epos of Gilgamesh (Philadelphia, University Museum, A, 3, 1917).<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> წერეთელი მ., „გილგამეშიანი“, გვ. 6.

<sup>2</sup> წერეთელი მ., „გილგამეშიანი“, გვ. 6.

1924 წლისათვის, როდესაც ქართულად ითარგმნა „გილგამეშის ეპოსი“, მისი თარგმანები არსებობდა მხოლოდ გერმანულ (პ. იენსენი – 1900 წ., ა. უნგნადი – 1911 წ. 1921 წ.), ინგლისურ (ს. ლენგდონი – 1917 წ.) და ფრანგულ ენებზე (ე. დორმა – 1907 წ.). მას შემდეგ „გილგამეშის ეპოსი“ ითარგმნა კიდევ მრავალ ენაზე და გადამუშავდა შემოხსენებულ ენებზეც. ქართულად „გილგამეშის ეპოსი“ ხელახლა ითარგმნა 1963 წელს ზურაბ კიკნაძის მიერ ყველა ახალი გამოკვლევის და წაკითხვის გათვალისწინებით, თუმცა ეპოსი ბოლომდე გამოკვლეული დღესაც არაა.

მ. წერეთელს „გილგამეშისანი“, ძირითადად, განხილული აქვს ლიტერატურული კუთხით. იგი მსოფლიო ლიტერატურის შედევრების საფუძვლებს ხედავს „გილგამეშის ეპოსში“. მ. წერეთელს აღნიშნული აქვს პარალელები ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეასთან“, დანტეს „ღვთაებრივ კომედიასთან“, „ვეფხისტყაოსანთან“, ბიბლიასთან, ეგვიპტურ მწერლობასთან. ასევე, ნაშრომის დამატებაში აქვს საკმაოდ საინტერესო ასტროლოგიური გამოკვლევები.<sup>1</sup>

<sup>1</sup> წერეთელი მ., „გილგამეშისანი“, გვ. 96-134.

როგორც ვნახეთ, მიხაკო წერეთლის „გილგამეში-ანმა“ გაუძლო დროს და, მიუხედავად იმისა, რომ მის მთარგმნელს ყოველივე ისე არ წარმოედგინა, როგორც ეს დღეს წარმოუდგენიათ მკვლევართ (რადგან დღეს საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს მეცნიერების ამ დარგს), მ. წერეთლის შემოქმედება ბევრად მეტს იტევს, ვიდრე მისი ცნობიერება შეიძლებოდა მისწვდომოდა მაშინ – 1924 წელს, როდესაც „გილგამეშის ეპოსის“ კვლევა მხოლოდ სათავეს იღებდა.

მიხეილ წერეთელმა თავის თარგმანში ქვეცნობიერად შექმნა ბევრი რამ, ისევე როგორც „გილგამეშის ეპოსის“ ავტორმა თავის დროზე, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იშლება ჩვენ წინაშე და ყოველი ადამიანი თავისი გამოცდილების და დროის მიხედვით აფასებს მას.

*ნინო სამსონია*

# ბილგაეუიანი

ბაბილონური ეპოსი

მესამე ათასეულისა ქრ.წ.

ბაბილონურ ტექსტიგან თარგმნილი

მ. წერეთლის მიერ

მთარგმნელის შენიშვნებითურთ



გამოცემა

კონსტანტინეპოლის ქ.-კ. სავანისა



კონსტანტინეპოლი

საბეჭდავი ქარაუველთა კათოლიკე სავანისა

1924

## შესავალი

„ბილგამეშიანი“, ეპოსი გილგამეშისა ერთი უძველეს ნიმუშთაგანია მსოფლიო სიტყვა-კაზმულ მწერლობისა. მან სემიურ-ბაბილონურ ენაზედ მოაღწია ჩვენამდე. ტექსტი ზოგიერთ კართა არ არის სრული – ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი. ჩვენამდე მოღწეული ბაბილონური ტექსტი ასსურეთის მეფის ასსურ-ბანი-პალის (668-626 წ. ქრ. წ.) დროს არის გადაწერილი და მის ბიბლიოთეკაში აღმოჩენილი, დღეს დაცული ბრიტანიის მუზეუმში, ხოლო თვით შექმნა გილგამეშის ეპოსისა გაცილებით უფრო ძველ დროს ეკუთვნის, ალბათ მესამე ათასეულს ქრისტეს წინ, და, როგორც უკანასკნელნი აღმოჩენიანი ამტკიცებენ, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი ნაწილი მისი პირველად ბაბილონურ-სემიურ ენაზედ კი არა, არამედ სუმერულ ენაზედ უმდერიათ.

„გილგამეშიანი“ მრავალ ნაწილთაგან შედგება და უეჭველია თვითოეული ნაწილი თავდაპირველად დამოუკიდებელი თქმულება უნდა ყოფილიყო და შემდეგ შეუერთებია ეს დამოუკიდებელი თქმულებანი მელექსეთა შემოქმედებას ერთ ეპოსად და მის უმ-

თავრეს მომქმედ პირად გაუხდია გმირი გილგამეშ. ამგვარადვე შეიქმნა მთლიანი ეპოსი ოდისსეუსის ამბავთაგან – ოდისსეა, ილიადა და სხვ., მაგრამ მაშინ როდესაც გარდმოცემა ამ უკვდავ ბერძნულ ეპოსთა შემომქმედად ჰომეროსს ასახელებს, იგი გილგამეშის ეპოსის ან მის რომელიმე ნაწილის შემომქმედს არ იხსენებს: „გილგამეშის“ შემომქმედზედ სრულიად არა ვიცი რა და საზოგადოდ ძველ აღმოსავლეთში ძლიერ ძვირად აღნიშნავდნენ ხოლმე სახელს დიდ მწერალთა და ხელოვანთა. მათი პიროვნება არ აინტერესებდა აღმოსავლელს, რათგანაც პიროვნების ღირებულება არა ჰქონდა მას შეგნებულო, ხოლო ბერძენს ჰქონდა პიროვნების კულტი და დიდ შემომქმედ მწერალთა და ხელოვანთა პიროვნების ღირებულება მას სავსებით ესმოდა. ეს არის ერთი უდიდეს განსხვავებათაგანი საბერძნეთის და აღმოსავლეთის კულტურათა შორის.

გილგამეშის ეპოსის ნაწილი არიან: გილგამეშის მეგობრობა მხეც-კაცა ენკიდუსთან; გილგამეშისა და მხეც-კაცა ენკიდუს ბრძოლა ჰუმბაბას წინააღმდეგ და ამ უკანასკნელის დათრგუნვა; გილგამეშის მტრობა სიყვარულის ღმერთის იშტარის წინააღ-



მდეგ; წარღვნის ამბავი; გილგამეშის მიერ ძებნა უკვდავებისა. — ჩვენამდე მოღწეული მთლიანი ეპოსი ბაბილონურ ენაზედ განიყოფება თორმეტ კარად და შტუკენის სკოლის მეცნიერებმა, მათ შორის ბევრმა ასირიოლოგმაც, რასაკვირველია მაშინვე შექმნეს თეორია, გილგამეშ არის მზე და თქმულება გილგამეშზედ — მზის დიდება თორმეტი თვის განმავლობაში, როდესაც მზე თვისი სრბოლის წრეს დაასრულებსო. მაგრამ ამ გატაცებამ თანდათან იკლო. თეზისის დამტკიცება არც ისე ადვილი გამოდგა, როგორც ეს პირველად ეგონათ: გილგამეშის თქმულებაში ბევრია ბუნების მითოსი და ამ მითოსთა შორის, მართალია, ბევრია ისეთი, რომელიც ცის მნათობებს შეეხება, მაგრამ ბევრს დედა-მიწაზედ აქვს ძირი და არავითარი დამოკიდებულება ცის მნათობებთან, როგორც მაგალითად წარღვნის ამბავს, უკვდავების ძებნასა და სხვ..

ბაბილონურიდან ქართულად თარგმნის დროს ტექსტს სიტყვა-სიტყვით მივსდევდით (ტექსტი: P. HAUPT: Nimrod-Epos, Assyriologische Bibliothek III), ხოლო საუკეთესო მრჩევლად გვქონდა გერმანული თარგმანი პ. იენსენის მიერ (P. JENSEN: Keilschrif-

tliche Bibliothek VI, 1: Mythen und Epen) და გერმანულივე კლასიკური თარგმანი „გილგამეშისანი“ ა. უნგნადის მიერ (A. UNGNAD: Religioese Stimmen der Voelker III: Religion der Babylonier und GRESSMANN: GILGAMESCH-EPOS, 1911); იხ. აგრეთვე L. W. KING: EGYPTIAN and Babylonian Legends etc., 1915; ვარიანტებისათვის იხ. ტექსტები და ინგლისური თარგმანები S. LANGDON: The Epic of Gilgaush (Philadelphia, University Museum X, 3, 1917); M. JASTROW and A. GLAY: An Old Babylonian Version of the Gilgamesh Epic (Yale Oriental Series, Researches, IV, 3, New Haven 1920; ტექსტები: Keilschriftkunden aus Boghez-koei IV, Keilschrifttexte aus Boghaz-koei VI; გერმანული თარგმანი: A. UNGNAD: GILGAMESCH-EPOS und Odyssee (Kulturfrageb, Heft 4/5, Breslau 1923). – გაუგებარი და შერყვნილი ადგილები და ზოგიერთი ვარიანტი ტექსტისა ქართულ თარგმანში გამოვტოვეთ.



# ბილბამეზიანი

## კარი პირველი

0 გი იყო, რომელმან ყოველი იხილა ქვეყნის  
საზღვრამდე,

ბანიცადა ყოველი, ისწავა ყოველი,  
მრთბამად განსჭვრიტა ყოველი საიდუმლო, –  
სარქველი სიბრძნისა, რომელი ყოველსა დაჰფარავს.  
ღამარხული იხილა, დაფარული ცხად-ჰყო მან,  
წარღენის წინა ამბავი მოიტანა.  
წარვიდა შორს, შრომიტა და ზრუნვითა  
(ღა) დასწერა დაფაზედ ერთობ განსაცდელი.

## რ

მან ალაშენა კედელნი გალავნიან შრუკისა<sup>1</sup>  
წმინდა მანნასი<sup>2</sup>, წმინდა ტაძრისა,  
დასდვა საფუძველი, – მტკიცე, ვითარცა რვალი,  
ალაშენა ზღუდენი, რომელთ მებრძოლნი არა  
სტოვებენ.

მრი მესამედი ღმერთი იყო იგი, ერთი მესამედი [კაცი.  
სხეულით არაინ იყო დარი მისი.

## რ

ბილგამემ შვილს არ აკარებს მამას,  
ღლე და ღამ კედელთ რომ აშენებს.  
იგი მწყემსია გალავნიან ურუკისა,  
იგი მწყემსია და მცველი ერისა,  
ძლიერი და მორკმული, მეცნიერი სიბრძნისა!  
ბილგამემ ქალ-წულს საყვარელს არ აკარებს –  
ქალ-წულს გმირისას, რჩეულს დიდებულისგან<sup>3</sup>.

## რ

ჩივილი მათი ესმა მაღალ ღმერთთ.  
ცის ღმერთთა უთხრეს ურუკის ბატონს<sup>5</sup>:  
„შენ შეჰქმენ ხარი ძლიერი, გმირი გილგამემ;  
მას ტოლი არ ჰყავს მთელს ქვეყანაზედ.  
ბილგამემ შვილს არ აკარებს მამას,  
ღლე და ღამ კედელთ რომ აშენებს.  
იგი მწყემსია გალავნიან ურუკისა,  
იგი მწყემსია და მცველი ერისა,  
ძლიერი და მორკმული, მეცნიერი სიბრძნისა!

ბილგამემ ქალ-წულს საყვარელს არ აკარებს –  
ძალწულს გმირისას, რჩეულს დიდებულისგან.“

რ

ჩივილი მათი შეისმინა მაღალმა ანუმ<sup>6</sup>.  
იხმეს არ ურუ<sup>7</sup>, დიდი ქალ-ღმერთი:  
„მრავალ ღმერთსა ჰქმნი შენ, ბრურუ!  
შეჰქმენ ახლა გმირი, ტოლი რომ იყოს მისი“!  
იყვნენ მეტოქენი ურთი-ურთისა, რათა დამწვიდდეს  
ურუკი!“

რ

რა ესმა ესე ბრურუს,  
შეჰქმნა მან თვის გულში სახე ანუსი,  
ბრურუმ დაიბანა ხელები,  
მოზილა თიხა და დანერწყვა იგი.  
შეჰქმნა მნკიდუ, შეჰქმნა გმირი,  
დიდებული ქმნილება, მეგრძოლი ნიმურტასი“.  
მართობ სხეული მისი ბალნით იყო შემოსილი,  
თმა მისი ქალის თმას ემსგავსებოდა,  
თმა მისი ნისაბასავით<sup>10</sup> ამოდიოდა.  
შმეცარ იყო იგი ქვეყნისა და კაცთა.

ტანს ემოსა მას ვითარცა ნახირის ღმერთსა.  
მხეცებთან ერთად მიდის წყალზედა,  
შვლებთან ერთად სძოვს იგი ბალახსა,  
წყლის ცხოველებთან ერთად იხარებს გული მისი.

რ

მრთს მონადირეს, ნადირის დამჭერს  
შეხვდა იგი წყალზედ.  
მონადირემ დაინახა იგი, შეშინდა,  
უნანადირევოდ დაბრუნდა შინ.  
შედრწუნებული, შეშინებული ყვიროდა იგი.  
ბული მისი აღსავეს იყო შიშითა, სახე შეშლილი,  
ტკივილი შეუვიდა გულში,  
შორი-გზითგან მომავალ მგზავრს დაემსგავსა.

რ

მონადირემ ალალო ბაგენი თვისნი და ჰრქვა მამას:  
„მამა, ერთი კაცი, მთითგან რომ ჩამოსულა,  
ბაძლიერებულა ამ ქვეყანაზედ.  
ან უს მებრძოლს ემსგავსება იგი ძალით!  
მუდამ მთებში დაიარება,  
მუდამ მხეცებთან არის,

მუდამ წყალზედ დაეხეტება!  
შიშით ვერ შევსძელ ახლო მივდგომოდე.  
ჩემნი ორმონი<sup>11</sup>, მე რომ გავთხარე, მან ამოავსო,  
ჩემნი მახენი, მე რომ დავაგე, მან ამოჰგლიჯა!  
ნადირი დამიფრთხო, მხეცი მინდვრისა,  
აღარ მანებებს ნადირობასა!“  
მამამ აღალო ბაგენი თვისნი და ჰრქვა მონადირეს:  
„წადი შრუკის მეფესთან, ბილგამეშთან.  
მეძავ ქალს მოგცემს, წამოიყვანე იგი!  
ნადირი რომ წყალზედ მივა,  
ბამოჩნდეს მეძავი ქალი, რათა მხეც-კაცა მოხიბლოს.  
მხეც-კაცა რომ მეძავ ქალს დაინახავს, ახლო მიუვა.  
მაშინ ველარ იცნობს მას ნადირი მისი, მისს ველ-ზედ  
რომ აღიზარდა.“

## რ

რჩევა მამისა ისმინა მონადირემ,  
მონადირე წავიდა, გაემგზავრა,  
დაადგა გზას და მივიდა შრუკს.  
მიდის ბილგამეშთან და ეუბნება:  
„მრთი კაცი, მთითგან რომ ჩამოსულა,  
ბაძლიერებულა ამ ქვეყანაზედ.

ან უს მებრძოლს ემსგავსება იგი ძალით!  
მუდამ მთებში დაიარება,  
მუდამ მხეცებთან არის,  
მუდამ წყალზედ დაეხეტება!  
შიშით ვერ შევსძელ ახლო მივდგომოდე.  
ჩემნი ორმონი, მე რომ გავთხარე, მან ამოავსო,  
ჩემნი მახენი, მე რომ დავაგე, მან ამოჰგლიჯა!  
ნადირი დამიფროთხო, მხეცი მინდვრისა,  
აღარ მანებებს ნადირობასა!“

რ

ბილგამემ ეუბნება მას, მონადირეს:  
„წადი, მონადირეო ჩემო, და წაიყვანე მეძავი ქალი,  
ნადირი რომ წყალზედ მივა,  
ბამოჩნდეს მეძავი ქალი, რათა მხეც-კაცა მოხიბლოს.  
მხეც-კაცა რომ მეძავ ქალს დაინახავს, ახლო მიუვა.  
მაშინ ველარ იცნობს მას ნადირი მისი, მისს ველ-ზედ  
რომ აღიზარდა.“

რ

მონადირემ წამოიყვანა მეძავი ქალი,  
წამოვიდნენ, სწორი გზით გამოემართნენ.



მესამე დრეს მიადწიეს ველს, მიზანსა მათსა.  
მონადირე და მეძავი ქალი ძირსა სხდებიან.  
მრთი დღე, ორი დღე იჯდნენ იგინი წყალთან.  
მოდის ნადირი, წყალსა სვამს;  
მოდის ცხოველი წყლისა, გულ-მხიარული;  
მნკიდუც მოდის:  
„შვლებთან ერთად სძოვს იგი ბალახსა,  
მხეცებთან ერთად მიდის წყალზედა,  
წყლის ცხოველებთან ერთად იხარებს გული მისი.“

## რ

მეძავმა ქალმა იხილა იგი, ძლიერი ვაჟ-კაცი,  
ძლიერი მხეც-კაცა ველისა.  
„აი, ის არის! – ჰრქვა მონადირემ<sup>11</sup> – გაიხსენ  
ლილები,  
ბაშიშვლდი, რათა გაიხაროს შენი სხეულის ხილ[ვითა]!...  
რომ დაგინახავს, ახლო მოგივა;  
ბანიძვრე სამოსი, რათა განისვენოს შენზედ;  
ბაულვიძე სურვილი – საქმე დედა-კაცისა!  
მაშინ ვეღარ იცნობს მას ნადირი მისი, მისს ველზედ  
[რომ აღიზარდა!  
სიყვარულით მოგეკვრება იგი.“

რ

მეძავმა ქალმა გაიხსნა ლილეები...

ბაულვიძა სურვილი — საქმე დედა-კაცისა!

ბულში ჩაიკრა იგი (მნკილუმ).

ექვს დღესა და შვიდს ღამეს ჰყვარობდა მნკილუ მეძავ  
ქალს.\*

რა გაძღა მისის შვენებით, მიაპყრო თვალი ნადირისა  
თვისსა.

რომ დაინახეს ენკილუ. გაიქცენ შვლები,

მხეცი მინდვრისა განერინა მისგან.

რ

შეძრწუნდა მნკილუ, შეპყრობილ იყო სხეული მისი,

შძლურნი იყვნენ მუხლნი მისნი, ნადირი რომ გაექცა.

მნკილუმ იგრძნო უძლურება, აღარა ჰქონდა ძველი  
ცეცხლი.

---

\* ძველი აკადლური ვერსია:

ენკილუ დაჯდა წინაშე მეძავ ქალისა.

მან იხილა კალთა მისი, გაუხსნა მკერდი.

ენკილუს დაავიწყდა ადგილი, სადაც დაიბადა!

ექვს დღესა და შვიდს ღამეს ჰყვარობდა ენკილუ მეძავ ქალს.

იგი ყურს უგდებს, ისმენს,  
შემოიქცევა, დაჯდება მეძავი ქალის ფერხით,  
შესტკერის მეძავ ქალს თვალბში,  
და, უბნობს რა მეძავი ქალი,  
ჟურნი მისნი სმენად არიან ქვეულნი.  
მეძავი ქალი ეუბნება მას, მნკიდუს:  
„შვენიერი ხარ, მნკიდუ, მსგავსი ღმერთისა!  
რად გინდა იყო ველად მხეცებთან?  
წამო, წაგიყვან გალაენიან შრუქს,  
წმიდა სახლში, სავანეში ანუსა და იშტარისა<sup>13</sup>,  
სადა სცხოვრობს ბილგამეშ და, უდარო ძალით,  
მითარცა ხარი ველური, განაგებს ერსა.“\*

---

\* ძველი აკ. ვერ.:

მეძავმა ქალმა აღალო ბაგენი თვისნი და ეუბნება ენკიდუსს:  
„გიყურებ, ენკიდუ, ღმერთის მსგავსი ხარ!  
რამსთვის გინდა მხეცებთან ერთად მთაზედ იარო?  
წამო, წაგიყვან ფოლოციან შრუქს,  
წმიდა ტაძარსა, ანუს სავანეს.  
აღსდევ, ენკიდუ, მიგიყვან ეანას, ანუს სავანეს,  
სადა სცხოვრობს ბილგამეშ, უდარო საქმითა.  
შენ თვით ნახვ მას, გაიცნობ,  
დაემოყვრები მას;  
აბა, აღსდევ საძაგელ მიწითგან!,  
მან ისმინა სიტყვა მისი გულის-ხმა-ჰყო ნათქვამი მისი;

მეძავი-ქალი მანამ ეუბნება, სანამ მხეც-კაცას მისი  
სიტყვები მოეწონება.

---

რჩევა ქალისა ჩაუვარდა გულში.  
ქალმა გაიძრო თვისი სამოსი, ჩააცვა მას,  
თვით სხვა სამოსით შეიმოსა.  
ჩაჰკიდა ხელი და წაიყვანა, ვითარცა სასიძო,  
უხესა ლხინზედა სანახირეში.  
მწყემსნი შემოეხვიენ მათ...

ცხოველის რძით იყო ნაზარდი.

პური მიაართვეს:  
შემკრთალი შესცქერის, მიაშტერდება მას.  
არ იცოდა ენკილუმ ჭამა პურისა!  
არ უსწავლია მას სმა ღვინისა!  
მეძავმა ქალმა აღაღო ბაგენი თვისნი და ეუბნება ენკილუს:  
„სჭამე პური, ენკილუ, ცხოვრებისაა იგი!  
სვი ღვინო, ჩვეულდება იგი ქვეყნისა!“  
სჭამა პური ენკილუმ, სანამ გაძღებოდა,  
სვა ღვინო, შვიდი სასმისი!  
მაშინ მოვიდა გუნებაზედ, გამზიარულდა:  
ლხინით აღევსო გული, ბრწყინავდა სახე მისი...  
იცხო საცხებელი, ბატონს დაემსგავსა,  
აღიღო საჭურველი, ბრძოდა ლომებსა.  
სიმშვიდე მოიპოვეს დამის მწყემსებმა,  
აღსპოლა მგელნი, განაგლო ლომნი –  
დიდ მეჭოგეთა ძილი შეეძლოთ:  
ენკილუ იყო მცველი მათი.

იგი ეძებს მეგობარს, ვინ გულის-პასუხს მიუხვდება.  
მნიკილუ ეუბნება მას, მეძავე ქალს:  
„ძარგი, წამიყვანე წმიდა, საღმრთო სახლში,  
სავანეში ანუ სა და იშტარისა,  
სადა სცხოვრობს ბილგამეშ და უდარო ძალით,  
მითარცა ხარი ველური, განაგებს ერსა.  
მე თვით მოვუწოდებ მას, გამოვიწვევ ძლიერსა,  
ბანვაცხადებ ურუკში; ჭეშმარიტად მე ვარ ძლიერი!  
მხოლოდ მე ვარ ბედის შემცვლელი, შობილი ველად,  
ბილგამეშ, ვიხილომცა პირი შენი! [ძლიერი ძალითა!  
რაიცი იქმნება, ჭეშმარიტად ვუწყი მე იგი!“

## რ

მივიდნენ მნიკილუ და მეძავე ქალი გალაენიან ურუკს.  
ნახეს ერი კაზმული სამკაულითა:  
ლხინი იყო დღე და ღამ.\*

---

### \* ძვ. აკ. ვერ.:

იგი შევიდა ფოლოციან ურუკს.  
ერი შემოხვია მას,  
იდგა ფოლოციან ურუკის შუკაზედ.  
შეკრებილია ერი, უბნობს მასთან.  
გილგამეშს ჰგაედა სხეულითა,  
ოდნავ უნცროსი მასზედ ტანითა...

რ

„მნკილუ<sup>14</sup>, შენ მეცნიერო ცხოვრებისაო,  
ბაჩვენებ ბილგამეშს, მეგობარს მწუხარებისას<sup>15</sup>.  
შეჰხედე, განიცადე სახე მისი.  
შვენიერი ვაჟ-კაცია, ძლიერი:  
მართობ სხეული მისი აღსავსეა ძალით.  
ღიღია ძალი მისი – მეტი, ვიდრე შენი;  
მშვიდობა არა აქვს მას არც ღლე, არც ლამე.  
ბილგამეშ უყვარს შამაშს<sup>16</sup>,  
ანუ, მნლილ<sup>17</sup> და მა<sup>18</sup> დიდ გონებას ანიჭებენ მას.  
სანამ შენ მთითგან ჩამოხვიდოდი,  
ბილგამეშმა შენზედ სიზმრები იხილა ურუკში.  
აღსდგა გილგამეშ და ამბობს სიზმარს, ეუბნება დედას:  
„ღედა, წუხელ სიზმარი ვიხილე:  
ცის ვარსკვლავები იყო, ვითარცა კრებული ანუსი  
ლაამეცა;  
მცდილობდი ამეწია – ძლიერ მძიმე იყო,  
მცდილობდი გადმომეგლო – ვერ შევსძარ.  
ურუკის ქვეყანა შემოეხვია მას,  
ვაჟ-კაცი შესცქეროდნენ მას...,  
ჰკოცნიდნენ რა ფერხთა მისთა.“

მითარცა ქალსა ვეკვროდი მასა,  
ბოლოს შენ ფერხთა წინაშე დავაგდე,  
ხოლო შენ ჩემ თანასწორად გაჰხადე იგი.»  
ნინ-სუნ<sup>19</sup> დედოფალი, რომელმან ყოველი უწყის,  
მუბნება თვისსა ბატონს,  
ნინ-სუნ დედოფალი, რომელმან ყოველი უწყის,  
მუბნება ბილგამეშს:  
„თუ ცის ვარსკვლავები იყო და ვითარცა კრებული  
ანუსი დაგეცა,  
ცდილობდი აგეწია და ძლიერ მძიმე იყო,  
ცდილობდი გადმოგეგდო და ვერ შესძარ,  
ბოლოს ჩემ ფერხთა წინაშე დავაგდე,  
ხოლო მე შენ თანასწორად გავხადე იგი, –  
მს ნიშნავს ძლიერს, ამხანავს, რომელი მოყვარეს  
[იხსნის.  
ჭეყანაზედ დიდია ძალი მისი,  
ანუს მებრძოლის მსგავსნი იქმნებანი ძალით ღონენი  
მისნი!“ „...“

---

\* ძვ. აკ. ვერ.

ბილგამეშ ალსდგა და ამბობს სიზმარს, ეუბნება ღედას:  
„ღედა, წუხელ ძალით ვიყავ ალსავსე და დავდიოდი ვაჟ-კათა  
შორის,

რ

იგი ეუბნება დედას:

„დედა, მეორე სიზმარი ვიხილე:

მდეს მიმოვიდოდი, ცული იდვა, შემოხვეოდნ.

ურუკის ქვეყანა იქით უდგება მას... აქეთ...

შენს ფერხით დავაგდე იგი.

მითარცა ქალსა ვეკვროდი მასა.

იგი შენ ჩემ ტოლად გაჰხადე.“

ნინ-სუნ დედოფალი, რომელმან ყოველი უწყის,

ეუბნება თავისს შვილს,

---

ცის ვარსკვლავები იყო. კრებული ანუის დამეცა.

ვცდილობდი ამეწია-მემძიმა,

ვცდილობდი შემეძრა – ვერ შევსძარ.

შემოკრბა მის ირგვლივ ურუკის ქვეყანა,

ჰკოცნიდენ რა ვაჟ-კაცი ფერხთა მისთა.

შუბლით ვაწეებოდი, ხოლო იგინი მე მაწეებოდნენ.

აღვიდე და შენ მოგიტანე იგი“.

დედა გილგამეშისა, რომელმან ყოველი უწყის, ეუბნება

გილგამეშს:

„ქემარიტად, გილგამეშ, იგი შენებრ მთაშია ნაშობი,

მთისაგან არის იგი ნაზარდი;

შენ იხილავ მას, მიიყვან შენთან,

ვაჟ-კაცი ფერხთ ემთხვევიან მას.

შენ მას შეიწყნარებ, დაიცავ, ჩემთან გამოგზავნი.“



ნინ-სუნ დედოფალი, რომელმან ყოველი უწყის,  
მუბნება ბილგამეშ:

„ბილგამეშ, კაცი (=ცული) რომ ნახე,

ვითარცა ქალსა რომ ეკვროდი,

ხოლო მე იგი შენ ტოლად გავხადე, –

მს ნიშნავს ძლიერს, ამხანავს, რომელი მოყვარეს

[იხსნის,

ძვეყანაზედ დიდი იქმნება ძალი მისი,

ცულივით ძლიერნი იქმნებიან ღონენი მისნი!,, „\*

„მნკიდუ, ეს იყო გილგამეშის სიზმრები“ -ო...

ეუბნება მეძაგი ქალი ენკიდუს და მერმე მიდიან გილგამეშის სანახავად.

### ღმრთა

---

#### \* ძვ. აკ. ვერ.

იგი დაწვა და მეორე სიზმარი იხილა.

იგი ეუბნება დედას:

«დედა, მეორე სიზმარი ვიხილე:

ოდეს ფოლოციან ურუკში მიმოვიღოდი,

ცული იღვა, და მის ირგვლივ იკრიბებოდენ.

უცნაური იყო ცული, ვიხილე და გავიხარე.

შევიტყბე, ვითარცა ქალსა ეკვროდი მასა.

აღვიღე და გვერდით მოვიდევ...»

## კარი მეორე

აქ აღწერილი ყოფილა გილგამეშის მონაწილეობა ჭალ-  
მერთის იშპარას დღესასწაულში. – როდესაც გილგამეშ დღესასწაუ-  
ლითგან შინ ბრუნდება, სახლის კართან გადაელობება მას ენკილუ:

სასახლის კართან შეუკრა მას გზა მნკილუმ.

შინ შებრძანებას არ ანებებდა!

მცნენ ურთი-ერთს სასახლის კართან,

ბრძოდენ შუკაზედ...

ძვიროდენ კარნი, ირყეოდა კედელი...

### ძველი აკკადური ვერსია

ბილგამეშ განისვენებდა...

ღამე შეკრთა იგი; განვიდა და შეხვდა მნკილუს

ქუჩაზედ.

იგი წინ გადაელობა ბილგამეშს...

მის წინააღმდეგ გაემართა მნკილუ, უხვ-თმიანი...

### რ

იგი აღსდგა და მიჰმართა მისკენ,

წოლოცზედ შეხვდენ ურთი-ერთს,

მნკილუმ დაწყო კარი თვისის ფერხითა,

ბილგამეშს შესლვას არ ანებებდა.

მაშინ ეცნენ ურთი-ურთს, ვითარცა ხარნი ზეცისა,  
ცეცხლის მტრქვეველნი,  
ღალეწეს კარნი, ჩამონგრა კედელი...

## რ

ბილგამეშმა დადრიკა მიწაზედ ფერხი მისი,  
ღანელდა რისხვა მისი, მკერდსა მისსა შეჰკრავდა იგი.  
ოდეს შეჰკრა მკერდი მისი, ჰრქვა მაშინ მნკიდუმ მას,  
[ბილგამეშს:

„შდარო უშობიხარ დედასა შენსა,  
ბარეულ ფურსა ჯოგისასა, ქალ-ღმერთს ნინ-სუნს.  
თავი შენი აღმაღლებულია კაცთა ზედა.  
მნლილმა მოგანიჭა მეფობა ერ ზედა!“

ბრძოლაში გილგამეშ ამარცხებს ენკიდუს, მაგრამ ჰხედვს, თუ რა გმირი ყოფილა ენკიდუ და რა დახმარების გაწევა შეუძლია ამ გმირს, თუ მეგობარი გახდება მისი. გილგამეშ უმეგობრდება ენკიდუს. იგი შეადგენს გეგმას, რომ ენკიდუსთან ერთად გაემართოს ჰუმბაბას ანუ ჰუვეას წინააღმდეგ, რომელი იცავდა, წმიდა ნაძვის ტყესა, და მისი დათრგუნვით სამარადისო სახელი მოიპოვოს.

## კარი მესამე

### ძველი აკადღური ვერსია

ენკიდუს წასლვა ეზარება ჰუმბაბას წინააღმდეგ.

ღვას მნკიდუ დაღონებული.

იგი სწუხს სჩივის,

თვალნი მისნი ცრემლით არიან აღვსილნი,

მკლავნი მისნი დამაშვრალნი, ძალნი მისნი

დასუსტებულნი.

რ

თვალნი მისნი ცრემლით აღივსენ,

ბულმა ძგერა დაუწყო, მწარედ კვნესოდა.

მნკიდუს თვალები ცრემლით აღივსენ,

ბულმა ძგერა დაუწყო, მწარედ კვნესოდა.

ბიღგამეშმა დახარა თავი თვისი და ეუბნება ენკიდუს:

„მეგობარო, რაჟსათვის აღგევსო თვალნი ცრემლითა,

ღაგიწყო გულმა ძგერა, მწარედ კვნესოდი?“

მნკიდუმ ალაღო ბაგენი თვისნი და ეუბნება ბიღგამეშს:

„მეგობარო, ქაღებმა დააუძღურეს ძარღვნი ჩემნი;

მკლავნი ჩემნი დაშვრენ, ძალნი დასუსტდენ.“

რ

მნკიდუმ ალაღო ბაგენი თვისნი და ეუბნება ბიღგამეშს:

„მსცან. მეგობარო, მთაში, ოდეს ვვილოდი  
მხეცებთან ერთად:  
ათი-ათას მანძილობით არის ტყე გადაჭიმული!  
მინ ჩავა იქ!?  
ჰუევას ღრიალი ქარიშხალია,  
ბირი მისი ცეცხლი, სულ-თქმა მისი სიკვდილი!  
რად განიზრახე ასეთი საქმე,  
ბრძოლა უდარო, დათრგუნვა ჰუევასი?!“  
ბილგამეშმა აღალო ბაგენი თვისნი და ეუბნება  
[მნკიდუს:

„მე უნდა ჩავიდე ტყეში!“  
მნკიდუმ აღალო ბაგენი თვისნი და ეუბნება  
ბილგამეშს:  
„მით ძალ-გვიძს წასლვა ჰუევას წინააღმდეგ ნაძვის  
ტყისაკენ?  
მცველი მისი, გილგამეშ, გმირია, ძლიერი, მოუსვენარი...  
ნაძვისა მცველად შვიდი საშინელება განაჩინა  
მნლილმან.“\*

---

\* ასსურული ვერსია

„ნაძვთა მცველად, შესაშინებლად კაცთა  
განაწესა იგი ენლილმან.  
ჰუმბაბას ღრიალი ქარიშხალია,

ბილგამეშმა აღალო ბაგენი თვისნი და ეუბნება

მნკიდუს:

„შინ არის, მეგობარო, ისე მაღალი...

რომ აღვიდეს შამაშთან და მასთან იცხოვროს

სამარადისოდ?

დათვლილია დღენი კაცთა: საქმე მათი მხოლოდ ქარია!

ბეშინის ახლა სიკვდილისა, განქრა გმირობა შენი!

მე წავალ შენს წინ!..

თუცა მოკვდები – სახელს მოვიხვეჭ!

იტყვიან: „გილგამეშ ძლიერ ჰუმბაბასთან მოკვდა“ -ო!

ძირს დაესცემ ნაძვებს ხელითა ჩემითა.

სამარადისო სახელს მოვიხვეჭ!

უნდა წავიდე, მეგობარო!

მესაჭურვლეთ შევუკვეთ, ჩვენის თვალის წინ

ცულნი განსჭედონ.“

რ

შეუკვეთეს მესაჭურვლეთ,

---

ცეცხლია პირი მისი, სიკვდილი სულ-თქმა მისი!...

ნაძვთა მცველად, შესაშინებლად კაცთა

განაწესა იგი ენლილმან,

და ვინც მის ტყეში ჩავა, შიში შეიპყრობს.“

სხედან ხელოსნები, დროზედ ასწრებენ(?).  
ღიდნი ცულნი განსჭედეს, თვითო სამ-ტალანტიანი<sup>21</sup>;  
ღიდნი მახვილნი განსჭედეს – პირი ჰქონდა თვითოს  
ორ-ტალანტიანი;  
მცდათი მანა იყო ტარი გვერდებისა (?).  
მცდათი მანა ოქრო იყო ქარქაში მახვილთა.  
ბილგამეშმა და მნკიდუმ ათ-ათი ტალანტი დასდვეს.

## რ

გილგამეშ ქალაქის უხუცესებთან ბჭობს:

„მინდა ვნახო ჰუვავა, სახელგანთქმული,  
რომლის დიდებით აღივსენ ქვეყანანი.  
მინდა ვსძლიო მას ნაძვის ტყეში.  
თუ რა ძლიერია ძე ურუკისა, ვამცნობ ქვეყანას!  
დავცემ ნაძვებს ხელითა ჩემითა, სამარადისო  
სახელს მოვიხვექ!“  
უხუცესთა ფოლოციან ურუკისა მიუგეს ბილგამეშს:  
„შმაწვილი ხარ, ბილგამეშ, გული წარგიტაცებს.  
რაჲს ქმნა გინდა, არა უწყი.  
ბესმენია, საზარელია პირი ჰუვავასი!  
მინ აღუდგა წინ მისსა საჭურველს?  
ათ-ათას მანძილობით არის ტყე გადაჭიმული!

მინ ჩავა იქ!?

ჭუვავას ღრიალი ქარიშხალია,

პირი მისი ცეცხლი, სულ-თქმა მისი სიკვდილი!

რად განიზრახე ასეთი საქმე,

ბრძოლა უდარო, დათრგუნვა ჭუვავასი?!“

ისმინა ბილგამეშმა სიტყვანი თვისთა მრჩეველთა.

მიჰხედა, შესძახა მოყვარეს თვისსა:

„აჰა, მეგობარო, ესრე უნდა ვქმნა!..

ვილცას რჩევით გილგამეშ შევლას გამოსთხოვს შამაშს:

შამაშის წინაშე მუხლ-მოდრეკილი ამბობს ბილგამეშ

[სიტყვათა:

„მოვილტვი შენდა, შამაშ, და ვემთხვევი ხელთა შენთა!

შენებელ დაშთეს სიცოცხლე ჩემი ამიერითგან!

ღამაბრუნე ფოლოციან შრუკის ნაპირს!

მეყავ მფარველად!“ ...

## რ

გილგამეშ წასლვად ეშაღება. უხუცესნი ქალაქისანი კიდევ აძლევენ რჩევას:

„ნუ გაქვს იმედი, ბილგამეშ, შენთა ძალთა!..

წარვიდეს მნკილუ შენს წინ, ვითარცა მგზავრი, გზის

[საქებნელად;



მან იცის შესავალი ტყისა  
და ფრიად კარგად ხრიკები ჰუვავისი.  
ვინც წინ მიდის, ამხანაგს იცავს...<sup>\*</sup>  
აღგისრულოს შამაშმან სურვილი შენი!  
რაცა სთქვა პირმან შენმან, თვალით განახვოს იგი!  
ბაგისხნას გზა დახშული,  
მიანიჭოს გზა ნაბიჯთა შენთა, მთა-ფერხთა შენთა!  
სულ ლხინი მოგიტანოს ლამემან!  
აღგისრულოს ლუგალმარადამ<sup>\*\*22</sup> სურვილი შენი!..  
მსგავსად ყრმისა აღისრულე სურვილი შენი!  
ჰუვავას წყალში, სადც მიისწრაფი, დაიბანე ფერხნი!  
აღმოთხარე ძალითა შენითა ჭა,

---

**\* ასსურული ვერსია**

„ნუ გაჭქს იმედი, გილგამეშ, ძალთა შენთა სიმრავლისა...  
ვინც წინ მიდის, მეგობარს იცავს,  
ვინც გზა იცის, იგი მცველია ამხანაგისა.  
შენს წინ წარვიდეს ენკიდუ,  
მიტომ რომ იცის გზა ნაძვის ტყისაკენ,  
იცის ბრძოლა, მეცნიერია ომისა,  
ენკიდუმ იხსნას მეგობარი, დაიცვას ამხანაგი!  
გადახტეს თხრილებზედ!  
მეფეო, ჩვენის ბჭობის დროს ვიზრუნეთ შენზედ;  
სამაგიეროდ შენცა იზრუნე ჩვენზედ, მეფეო!

მუდამ ცივი წყალი იყოს შენს ტიკებში!

ცივი წყალი შესწირე შამაშს!

ბახსოვდეს ლუგალმარადა მსხვერპლის შეწირვის  
დროსა!“

მნკიდუმ ალალო ბაგენი თვისნი და ეუბნება

ბილგამეშ:

„ღაადეგ გზასა!

ნუ ეშინის გულსა შენსა, შემომხედე!

აღმოიჭერ გულს დათრგუნვა მისი!“

## რ

სანამ ჰუმბაბას წინაღმდეგ წავილოდენ, მეგობრებსა სურსთ შეიტყონ, მოწყალე თვალთ გადმოხედდეს თუ არა ღმერთი შამაშ მათ საჭმეს და სთხოვენ ნინ-სუნს, ბილგამეშის ღედას, შეავედროს შამაშს იგინი და საჭმე მათი.

## ასსურული ვერსია

ბილგამეშმა ალალო ბაგენი თვისნი და ჰრქვა მნკიდუმს:

„ძარგი, მეგობარო, წავიდეთ მაღალ სასახლეში

ნინ-სუნთან, დიდ ხელმწიფესთან.

ღედოფალი ნინ-სუნ, რომელმან ყოველი უწყის,

წარმართებს ნაბიჯს ფერხთა ჩვენთასა.“

რ

ჩაჰკიდეს ხელი ურთი-ურთს.

ბილგამემ და მნკიდუ გაემართენ მაღალ სასახლისაკენ  
წინაშე წინ-სუნისა, დიდის ხელმწიფისა.

აღსდგა დედოფალი წინ-სუნ, აღვიდა ბანზედ,

აღვიდა წინაშე შამაშისა, უკმია საკმეველი,

შესწირა შესაწირავი, ალაპყრო ხელნი შამაშისადმი:

„რად მიუსაჯე მოუსვენრობა ჩემს შვილს ბილგამემს?

რად მიეც გული, რომ არ იცის, რა არს სიმშვიდე?

ახლაც შენ წააქეზე იგი, წასლვა რომ უნდა

შორს, ჰუმბაბას საბრძანებელში.

ბრძოლა სწადია, ჯერ რომ არ იცის,

წასლვა სწადია იმ გზით, ჯერ რომ არ იცის!

იმ დღემდის, ოდეს წავიდეს და დაბრუნდეს,

ოდეს მიაღწევს ნაძვის ტყეს,

ოდეს დასთრგუნავს ჰუმბაბას, ძლიერს,

და ყოველს ბოროტს შენს წინააღმდეგ

ძვეყანაზედ აღმოფხვრის – (დაიცევ იგი?)!“

წინ-სუნ უხვს შესაწირავს შესწირავს შამაშს, რომელი აღ-  
უთქვამს მას გილგამეშისათვის მფარველობას, ხოლო გილგამემ და  
ენკიდუ გაუღებნიან გზას ჰუმბაბას საბრძანებლისაკენ.

## კარი მეოთხე

სანამ ჰუმბახას ტყეს მიაღწევდნ გილგამეშ და ენკიდუ,  
გილგამეშ სამ სიზმარს იხილავს. პირველი სიზმარი დაკარგულია:

„მეგობარო, მეორე სიზმარი ვიხილე!  
და სიზმარი, მე რომ ვიხილე, უსაზარლესი იყო:  
მთის მწვერვალზედ ვიდექით ორივენი,  
მთა ჩამოინგრა... ლერწმის ბუზივით გაგვსრისა...“

ენკიდუ ეუბნება მეგობარს:

„სიზმარი კეთილია,  
მეგობარო, კეთილია სიზმარი შენი, შვენიერი,  
სიზმარი უღირსესია...  
მეგობარო, მთა, შენ იხილე, არის ნაძვის მთა:  
ჩვენ შევიპყრობთ ჰუმბახას, მოგვკლავთ,  
მელად გარდვაგდებთ სხეულსა მისსა.“\*

---

### \* ბოლახ-კოის აკადური ვერსია

ძილმა, (კაცს) რომ გადაესხმის ხოლმე, განაკრთო იგი.

შუაღამისას დასრულდა ძილი მისი.

იგი ეუბნება სიზმარს ენკიდუს, მეგობარს თვისსა:

„ხომ არ შემეხებიარ? რად გამომეღვიძა?

ენკიდუ, მეგობარო, მეორე სიზმარი ვიხილე.

ხელი შემახე? რად განეკრთი?

## რ

მცი მანძილი<sup>23</sup> განვლეს, სჭამეს პური;

მცდათი მანძილი განვლეს, დაიღამეს...

ძილი, კაცს რომ გადაესხმის, დაეცა მას<sup>24</sup>.

შუა ღამისას დაასრულა მან ძილი.

აღსდგა და ჰრქვა მეგობარს:

„მეგობარო, ხომ არ დაგიძახნია? რად გამეღვიძა?

ხომ არ შემხებხიხარ? რად განვკრთი?

ღმერთს ხომ არ გაუვლია? რად დამიუძღურდა

სხე[ული?]

მეგობარო, მესამე სიზმარი ვიხილე,

---

პირველ სიზმართან მეორეც ვიხილე:

სიზმარში, მეგობარო, მთა ჩამოინგრა,

გარდმავდო, შეიპყრო ფერხნი ჩემნი...

საშინელი ბრწყინვალება გაჩნდა; გამოჩნდა ვიღაც კაცი:

ჭყეყანაზედ ბრწყინავედა შეენება მისი;

მთის ძირში ჩამიყვანა, მასვა წყალი, განმიგრილა გული,

და დასდვა ღეღა-მიწა ჩემ ფერხთა თანა.“

ენკიდუ ეუბნება ღმერთს, გილგამეშს:

„მეგობარო, ჩვენ წავალთ...

რა არის საკვირველი?

განა არ აღვედით მთასა?...

დათრგუნე შიში შენი!...“

და სიზმარი, მე რომ ვიხილე, უსაზარლესი იყო:  
ცა გრგვინავდა და დედა-მიწა გრიალებდა,  
სმოვარდა ქარიშხალი, დაბნელდა ქვეყანა,  
იელვა, გაჩნდა ცეცხლი,  
შეიკრა ღრუბლები, სიკვდილის წვიმა მოდიოდა!  
მერმე განქრა ნათელი, ჩაქრა ცეცხლი,  
ნაკვერცხალი, ძირს რომ ჩამოვარდა, ნაცრად იქცა!  
ჩავიდეთ ამ მთითგან, რათა ველზედ გავმართოთ  
ბჭობა.“

მეგობრებმა განაგრძეს გზა. ჰუმბახას ტყის კარზედ რომ მივიდნენ, მცველი გადაეღობა წინ, არ უშვებდა ტყეში. მცველი მოჰკეს. — ენკიდუ შეახებს ხელს ხელოვნურად გაკეთებულ კარს, მაგრამ კარი მოჯადოებული ყოფილა და იგი მოჯადოვდება. გილგამეშ შეუოცავს და დიდის შრომის შემდეგ განათავისუფლებს ენკიდუს ჯადოსანგან. ენკიდუს ძალა უბრუნდება და მეგობრები შედიან ტყეში.



## კარი მეხუთე

იგინი დადგენ და შეჰყურებდენ ტყეს,  
თვალით ზომავდენ ნაძვთა სიმაღლეს,  
სინჯავდენ ტყის შესავალს, სადა მიმოდის, სეირნობს  
ჰუმბაბა.

სწორია ბილიკები, შვენიერი გაჭრილი გზა.

ჰხედავენ ნაძვის მთას, სავანეს ღმერთთა,

წმიდა ადგილს ირნინისა<sup>25</sup>.

მთის წინა დგას შემკული ნაძვის ხე, შვენიერი.

ამოა ჩრდილი მისი, ღზინით აღესილი.

შემდეგი დიდი ნაწილი მეხუთე კარისა დაკარგულია. მხოლოდ ეპოსის სხვა ვერსიები მოგვითხრობენ, რომ გილგამეშსა და ენკიდუს დაუმარცხებიათ ჰუმბაბა და მოუკლავსთ იგი.

### ბოლაზ-კოის ინდოგერმანულ-ხეთური ვერსია

გილგამეშ შამაშის წინაშე ლოცულობს და შამაშ შეისმენს მისს ვედრებას:

მზის ღმერთთან ზეცისამან შეისმინა ვედრევა

ბილგამეშისა.

მამინ აღიძრენ ქარნი ძლიერნი ჰუევავს წინააღმდეგ:

ძარი საშინელი, ქარი ჩრდილოეთისა,

ძარი სამხრეთისა..., გრიგალი, ცივი ქარი,

ძარიშხალი, ქარი ბოროტი.

რვა ქარი ამოვარდა და დაჰბერა ჰუეავას წინ და უკან:

ველარც წინ წარსდგა ნაბიჯი, ველარც უკან.

დაეხსნა ჰუეავა (ბილგამეშ).

ჰუეავა ეუბნება ბილგამეს:

„ამეხსენ. ბილგამეშ, შენ ბატონი და მე ყმა.

ძადილნი ჩემნი შენს წინააღმდეგ დაივიწყე!“ ...

ენკიდუმ უთხრა ბილგამეშს:

„არ ისმინო ჰუეავას სიტყვანი!..

ჰუეავა ცოცხალი არ უნდა გადარჩეს!“ ...

ჰუმბაბას მოჰკლავენ და მისს მძორს ფრინველთ და მხეცთ  
გადაუგდებენ.





## კარი შექცეს

საჭურველი განრეცხა მან<sup>26</sup>, განსწმიდა იგი,  
შკან გარდიგდო თმანი,  
ბანიძრო დასვრილი სამოსელი, ჩაიცვა წმიდა,  
მოირთო სადღესასწაულოდ, შეირტყა  
გულის-სარტყელი.  
ბილგამეშმან თავსა დაიდგა გვირგვინი, შეირტყა  
გულის-სარტყელი.

## რ

მაშინ მალაღმა იშტარმა თვალი მიაპყრო ბილგამეშის  
შვენებას:

„აჰ, ბილგამეშ, ჩემი ქმარი უნდა იყო!

მიძღვენ ნაყოფი შენი, მიძღვენ!

შენ ქმარი და მე ცოლი!

შეგებამ ეტლს, ძვირფას თვლებითა და ოქროთი  
მოჭედელს;

მისი გოგრები ოქროსი იქმნება და პატიოსანის თვალისა  
რქები მისი;

მას ყოველ დღე ძლიერი ჯორები გასწევენ.

ჩვენს სახლში შემოდი, ფიჭვის სუნი რომ ღვას!

მდეს შემოხვალ ჩვენს სახლში,  
ფერხთ გემთხვევიან იგინი, ვინც ტახტზედ სხედან;  
თაყვანის-გცემენ მეფენი, ბატონნი და დიდებულნი;  
ნაყოფს მთისასა და ველისასა ხარკად მოგართმევენ!  
თხანი შენნი სამ-ტყუპსა შობენ, ცხოვარნი შენნი  
ორ-ტყუპსა!

სახედარი შენი ჯორის სიმსხო იქმნება!  
ჭუნენი შენის ეტლისა ძლიერად გასწევენ!  
შლელ-ქვეშ შენს ჯორს ტოლი არ ეყოლება!“

## რ

ბილგამეშმა ალალო ბაგენი თვისნი და ჰრქვა მაღალ  
იშტარს:

„დედოფალო, შენთვის შეინახე შენი სიმდიდრე!  
მე კი ჩემი სამოსელი, ჩემი პერანგი მეყოფა,  
მე კი ჩემი საზრდო, ჩემი საკვები მეყოფა!  
არა ვსჭამ განა საღმრთო საჭმელსა,  
არა ვსვამ განა სამეფო ღვინოს?!...  
შენ მსგავსი ხარ კარისა (?), ვერცა ქარი, ვერცა  
გრიგალი რომ ვერ აჩერებს;  
მსგავსი სასახლისა, გმირთ რომ აღსპოლავს;  
მსგავსი სპილოსი, ჩუღს რომ გარდიგდებს;

მსგავსი კუპრისა, მზიდველს რომ ჰღუნავს;  
მსგავსი ტიკისა, მზიდველს რომ ამძიმებს;  
მსგავსი პატიოსანი თვალისა, ქვეყნიდან რომ არის  
წარტაცებული;  
მსგავსი ხამლისა, კაცს რომ ფერხზედ უჭერს!  
რომელი საქმრო გიყვარდა მარადის?  
რომელმან შენმან მწყემსმან შესძლო შენი მოთოკვა?  
მოდო, ჩამოგივალო შენი კუროები,  
აღგირიცხო ყოველი:  
ტამუზ<sup>27</sup>, საყვარელს შენის სიყრმისა,  
წლითი-წლობამდე გოდება მიუსაჯე!  
ჭრელი მეცხვარე<sup>28</sup> შეიყვარე –  
დაჰკარი, მოსტეხე ფრთა!  
ტყეშია იგი და იძახის: «კაპპი»<sup>29</sup>!  
ბიყვარდა ლომი, ძლიერის ღონისა –  
შვიდჯერ და კიდევ შვიდჯერ გაუთხარე ორმო!  
ბიყვარდა ჰუნე – დეზი და შოლტი მიუსაჯე,  
შვიდი მანძილის სრბოლა მიუსაჯე,  
მღვრიე წყლის სმა მიუსაჯე,  
დედა-მისს სილილის გოდება მიუსაჯე!  
ბიყვარდა მწყემსი, მცველი,  
მუდამ რომ საკმეველს გიფრქვევდა,

ჟოველ-დღე თიკანს გიკლავდა, –  
ღაჰკარი, აქციე მგელად!  
მისივე ყმანი სდევნიან მას,  
მისივე ძაღლები ჰკბენენ ბარკალში!  
ბიყვარდა იშულლანუ, მებაღე მამა-შენისა,  
შენთვის რომ ყოველ-დღე ყვავილის-კონა მოჰქონდა,  
ამკობდა ყოველ-დღე შენს სუფრას, –  
მიაპყარ თვალი, იგდე ბრჭყალებში:  
«იშულლანუ, ძალი შენი უნდა ვიგემოთ»-ო!  
იშულლანუმ გითხრა: «რა გსურს ჩემგან?  
არ გამოაცხო დედამან ჩემმან, არა ესჭამე, რაც უნდა  
მეჭამა,  
რასაც მოაქვს ბოროტი და წყეული?»...  
ბესმა რა ესე სიტყვანი მისნი,  
ღაჰკარ და აქციე ღამურად!...  
ახლა მე გიყვარვარ, გინდა ის მომაგო,  
რაც მათ მიაგე?!“

## რ

მსმა რა ესე იშტარს, განრისხდა იშტარ, აღმაღლდა  
ზეცად.  
ანუსთან, მამასთან მივიდა იშტარ,

დედასთან, ანტუსთან<sup>30</sup>, მივიდა იგი და სთქვა:

„მამა ბილგამეშმა შეურაცხ-მყო მე! ბილგამეშმა

აღრიცხა

ბოროტებანი ჩემნი, ბოროტებანი ჩემნი და წყევანი!“

ანტუმ აღალო ბაგენი თვისნი და ჰრქვა მალალ იშტარს:

„თვით ალაგ ზნებდი რისხვასა მისსა,

ამისათვის აღრიცხავდა ბილგამეშ ბოროტებათა

შენთა,

ბოროტებათა შენთა და წყევათა!“

იშტარმა აღალო ბაგენი თვისნი და ჰრქვა ანუს,

მამასა თვისსა:

„მამა, შეჰქმენ ხარი ზეცისა, რომელმან დასთრუნოს

ბილგამეშ!“

მთელი სხეული მისი ადავსე ცეცხლით!\*

ითუ უარი მითხარ, არ შეისმინე ვედრება ჩემი,

---

\* ბოლ-კ. აკ. ვერ.

იშტარ... აღვიდა ცასა და სთქვა:

«მამაო ჩემო!... მიპოვე კურატი ეჭვის თვისა...»

მკერდმან ზეცის ხარისამ დათრგუნოს გილგამეშ(?)...»

ანუმ ისმინა სიტყვანი მისნი და ჰრქვა მას:

«რა დაგიშვა იმ კაცმა, რადა გასურს შეიპყრო იგი!

საშინელია მკერდი ზეცის ხარისა»...»

ღაველწ კარსა ქვესკნელისასა, განვსტებ მისს ურდულს,  
აღმოვიყვან მკვდართ, რათა მათ ცოცხალნი შესჭამონ,  
რათა უმრავლეს ცოცხალთა მკვდარნი იყვნენ!“

ანუმ აღაღო ბაგენი თვისნი და ჰრქვა მაღალ იშტარს:  
„ასულო ჩემო, რაჲ გსურს ჩემგან?

ხარი ზეცისა შეიდ წელს ცალიერ ჩალას<sup>31</sup> მოითანს!  
მოაგროვე საზრდო კაცთათვის, აღმოაცენე ბალახი  
მხეცთათვის?“

იშტარმა აღაღო ბაგენი თვისნი და ჰრქვა ანუს,  
მამასა თვისსა:

„მამა, პური დავამზადე, დიდი მოსავალი მოვიყვანე.

თუ დადგება შეიდი წელი ცალიერი ჩალისა,

მზადა მაქვს საზრდო კაცთათვის,

აღმოაცენე ბალახი მხეცთათვის“...

ანუმ ისმინა ესე სტყვანი მისნი...

## რ

ზეცის ხარი ქალაქში მძინეარებს. მრავალი ადამიანი იღუ-  
პება მისის ცეცხლის სულ-თქმისაგან, ბოლოს და ბოლოს ენკიდუ  
კუდში სტაცებს ხელს ხარს და გააჩერებს, გილგამეშ კი მახვილით  
განგმირავს მას;

მოჰკლეს რა ზეცის ხარი, დამშვილდა გული მათი,

ბარდასწყვიტეს წასლვა წინაშე შამაშისა,  
ბანეშორენ და გმირი შამაშის წინაშე დასხდენ ორნი  
ძმანი.

მაშინ შემოჯდა იშტარ ზღუდეზედ გალაზნიან შრუკისა,  
შეხტა კედლის კბილზედ და მორთო კივილი:  
„მაჲ გილგამეშს, რომელმან შეურაცხ-მყო მე,  
რომელმან მოჰკლა ხარი ზეცისა!“  
მისა ენკიდუს ეს სიტყვები იშტარისა,  
მოჰგლიჯა ბარკალი ზეცის ხარს,  
მსროლა იშტარს თავში და უთხრა:  
„შენი თავიმც ჩამაგდებია ხელში,  
შენც ამის ბედს გარგუნებდი!  
მისს წელეებს მკლავზედ შემოგახვევდი!“  
მაშინ შეჰკრიბა იშტარმან ტაძრის მხეველნი,  
მეძაენი ქალნი და შეწირულნი  
და გამართა ტირილი<sup>32</sup>

## რ

ბილგამეშმა შეჰკრიბა ხელოსნები, ხუროები.  
მის<sup>33</sup> რქათა სიმსხოს აქებდნენ ხელოსნები,  
მც-ოც-და-ათ მანა<sup>34</sup> პატიოსან თვალს იწონიდენ იგინი,  
მრ-ორი თითის სისქე იყო ქერქი მათი.

მკესი ჭურჭელი ზეთი, რაოდენი ჩავიდა ორივე რქაში,  
შესწირა მან<sup>35</sup> თვის ღმერთს ლუგალმარადას.

მოიღო ტაძრად რქები და დაჰკიდა თვის სამეფო  
საწოლზედ.

მფრატის მდინარეში დაიბანეს მათ<sup>36</sup> ხელები.

შეკრიბა ერი ურუკისა ხილვად მათის პირისა.

ბილგამეშ ეუბნება თვისის სასახლის მხევალთ სიტყვას:

– „მინ არის უშვენიერესი გმირთა შორის,

მინ არის უძლიერესი ვაჟ-კაცთა შორის?“

– „ბილგამეშ არის უშვენიერესი გმირთა შორის,

არის უძლიერესი ვაჟ-კაცთა შორის!“ ...

## რ

ლხინი გადიხადა გილგამეშმა თვის სასახლეში,

ბანისვენებენ ვაჟ-კაცნი, წვანან ღამის საწოლებში,

ბანისვენებს მნკიდუ, ხედავს სიზმრებს.

აღსდგა მნკიდუ, უამბო სიზმარი მეგობარს თვისსა

და უთხრა:

„მეგობარო, რად გადასწყვიტეს დიდმა ღმერთებმა...?“

აქ მოახლოებული სიკვდილი ეუწყება სიზმარში ენკიდუს.





## კარი მეშვიდე

სიკვდილის წვეთი მაშინ მოხვდა ენკიდუსს, როდესაც მან ხელი შეახო შვენიერს, ხელოვნურად ნაკეთებ კარს ჰუმბაბას ტყისა, სიკვდილი დაესიზმრა იმ სიზმარში, მეშვიდე კარში რომ ყოფილა აღწერილი.

### ბოლ-კ. ინდოგერმ.-ხეთ. ვერ.

ბათენდა... მნკიდუ მიუგებს ბილგამემს:

„ბილგამემ, ისმინე სიზმარი, წუხელ რომ ვიხილე:

ბჰობად ისხდენ მნლილ, მა და მზის ღმერთი ზეცისა.

მნლილ ამბობდა: «მათ მოჰკლეს ზეცის ხარი,

მოჰკლეს ჰუმბაბა!

ციურმა მზემ უშველა ნაძვთან!..

რომელიდაც ღმერთი ამბობს:

„მნკიდუ უნდა მოკვდეს, ბილგამემ არა!“

ბმირი მნლილ მიუგებს:

„ღმერთო მზისაო,

შენის ბრძანებით მოჰკლეს მათ ზეცის ხარი და ჰუმ[ვავა]:

მნკიდუ უნდა მოკვდეს!»“...

## რ

ენკიდუ უჩივის თავის ბედს და სწყველის უბედურების მომ-  
ტან კარს; სწყველის აგრეთვე მეძავე ჭალს, რომელმა იგი ურუკში

გამომიტყუა, მოაშორა მხეცთა ველისათა და მათთან ბედნიერ  
ცხოვრებას, და გააუბედურა:

### ასსურ. ვერ.

„შენი ბედნიერ გარდმიკვეთია, მეძავო ქალო ისე,  
რომ იგი არ შეცვლილიყოს უკუნითი-უკუნისამდე!  
მაშ ძლიერი წყევით დაგწყევლი:  
ამიერიტგან უკუნისამდე იყოს ქუჩა სავანე შენი,  
ჩრდილი კედელთა იყოს სადგომი შენი,  
დალლილ-დაწყვეტილ იყვნენ თერხნი შენნი,  
მთვრალი და მწყურვალი ლოყასა გცემდეს!...  
შენ მომაყენე უბედურება, ჩემი ველითგან რომ  
გამომიტყუე!“

### რ

შამაშს მოესმა სიტყვა პირისაგან მისისა.  
ცითგან მყისვე ჩამოსძახა:  
„მეკიდუ, რაძსათვის სწყველი მეძავ ქალს,  
საღმრთო საზრდო ჭამად რომ მოგიპოვა,  
სამეფო ღვინო სმად რომ მოგიპოვა,  
შეწიერი სამოსლით რომ შეგმოსა  
და დიდებული ბილგამემ მეგობრად გაგიჩინა?“

ახლა ბილგამემ ხომ ძმა არის შენი და მეგობარი:  
შვენიერ საწოლზედ მოგასვენებს იგი,  
ბანგასვენებს მშვიდ ადგილს,  
თავადნი ქვეყნისანი ფერხთ გემთხვევიან!  
ბილგამემ შენთვის ატირებს და აგოდებს შრუკის ერსა,  
შენდა ამსახურებს უამრავს ერსა...“

## რ

ენკილუმ ისმინა სიტყვა გმირის შამაშისა.  
რისხვა მისი განელდა,  
ბახელებული გული მისი დამშვიდდა.

ენკილუმ ღვთაების ბრძანებით ალბათ უკან წაიღო მეძავე ქალის წყვეა, – მაგრამ შემდეგ ღამეს ენკილუს კვლავ ესიზმრება სიკვდილის მაუწყებელი სიზმარი, რომელს იგი დილას თავის მეგობარს უამბობს:

„ბილგამემ, მეგობარო ჩემო, სიზმრები ვიხილე წუხელ:  
ცამ იგრიალა, მიწამაც მიუგო.  
მარტო ვიყავ ბნელ ღამეში.  
ერთი კაცი დავინახე, შავის სახისა...  
საშინელი იყო პირი მისი;  
მისი ფრჩხილები არწივის ბრჭყალები იყო...  
ფრინველის ფრთები მომაბა მხრებზედ:

„წამომყევ, წამომყევ სიბნელის სახლში, ირკალას<sup>37</sup>  
სავანეში,  
იმ სახლში, რომელს აღარ სტოვებენ, ვინც შიგ შედიან,  
იმ გზით, რომლის სასარბოლი არ შებრუნდების,  
იმ სახლში, რომლის მცხოვრებთ არ აქვთ ნათელი,  
სადა მტვერია საჭმელი მათი, მიწა – საკვები მათი.  
სამოსი მათი ფრთოსანის სამოსს ემსგავსება, –  
ფრთის სამოსია,  
ღა ნათელს ვერა ჰხედავენ, ბნელში რომ  
ცხოვრობენ».  
მტვერის სასახლეში, სადა მე შეველ, ჰყრიან ძირს  
სკიპტრანი,  
ღახრილ არიან დაბლა გვირგვინი: იქა ცხოვრობენ  
ხელმწიფენი,  
შძველესა დროს რომ მეფობდნენ ამ ქვეყანაზედ...  
მტვერის სასახლეში, სადა მე შეველ,  
ცხოვრობენ მღვდელთ-შთავარნი და მღვდელნი-  
მგოდებელნი<sup>38</sup>,  
ცხოვრობენ შემლოცველნი და ჯადოსანნი,  
ცხოვრობენ მღვდელ-შთავარნი დიდთა ღმერთთა,  
ცხოვრობს მტანა<sup>39</sup>, ცხოვრობს საკანი<sup>40</sup>  
ცხოვრობს დედოფალი ქვესკნელისა მრეშკიგალ,

ბელიტ-სერი<sup>41</sup>, მწერალი ქვესკნელისა,  
თავ-დახრითა დგას მის წინაშე,  
ჩაჰყურებს წიგნში და უკითხავს მას,  
მან აღიღო თავი და შემომხედდა.  
აღსდგა და მიიყვანა თავისთან ეს კაცი<sup>42</sup>.”

## რ

ენკიდუს მართლაც მძიმე სენი შეიპყრობს, ღრმად მწუხარე გილგამეშ ჰვოდებს:

„მეგობარო ჩემო, მუდამ რომ იყავ ჭირში ჩემთანა...  
მეგობარო ჩემო, ხდება სიზმარი, ბოროტს რომ  
მოასწავებდა!“

იმ დღეს, ოდეს სიზმარი იხილა მან,  
დასრულდა ჟამი მისის ცხოვრებისა!  
წვეს ენკიდუ ერთი დღე, ორი დრე:  
საწოლზედ მწარე ტკივილთ განიცდის მნკიდუ.  
მესამე, მეოთხე დღეს მწოლიარეა იგი —  
მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე,  
მერვე, მეცხრე და მეათე დღეს:  
ტკივილები უმძიმდება მნკიდუს.  
მეთერთმეტე, მეტორმეტე დღეს მწოლიარეა იგი:  
საწოლზედა წვეს მნკიდუ, მსგავსი მკვდარისა.

მოუწოდა ბილგამემს და უთხრა:

„ბოროტმა სულმა დამწყველა, მეგობარო ჩემო!

ბრძოლაში დაჭრილი არა ვკვდები.

მრიდე ბრძოლასა და უნდა მოგკვდე უსახელოდ.

მეგობარო ჩემო, ვინც ბრძოლაში კვდება, ბედნიერია!

მე კი საწოლზედ უნდა დავასრულო სიცოცხლე ჩემი“ ...



## კარი მერვე

ენკიდუ უკვე მომკვდარა, გილგამეშ მის ცხედართან დგას  
და სტირის:

„ენკიდუ, საყვარელო მეგობარო ჩემო, ვეფხო  
მინდვრისაო!

მის შემდეგ რაც ამდენი საქმე ჩავიდინეთ,  
მთასა აღვედით,  
ზეცის ხარი დავიჭირეთ და მოვკალით,  
ჭუმბაბა დავსთრგუნეთ, ნაძვის ტყეში რომ  
ცხოვ[რობდა, –

რა ძილმა შეგაიპურო?

შავად ჰმზერ, ხმა ჩემი აღარ გესმის!“

ხოლო იგი თვალს აღარ ახელს.

მან<sup>43</sup> ხელი შეახო გულსა მისსა: გული აღარ სცემდა!

მაშინ დაჰბურა მან მოყვარე თვისი, ვითარცა სასძლო.

ვითარცა ლომი ღრიალებს იგი დიდი ხმით,

ვითარცა ძუ-ლომი, ლეკვი რომ წარსტაცეს.

მიუბრუნდება მიცვალებულს, იგლეჯს თმას...

მკვდარი მეგობრის ხილვით გილგამეშს თვით შეიპყრობს  
შიში სიკვდილისა, რომ გაიგოს, თუ რაგვარ არის შესაძლებელი  
სიკვდილისაგან თავის დახსნა, იგი გარდასწყვეტს ნაზოს თვისი  
წინაპარი უტ-ნაფიშტი, რომელს უკვდავება აჭეს მოპოვებული.





აღიღო ხელში ცული, აღმოიწვავდა ხმალი სარტყლისა;  
ვითარცა ისარი შთავარდა,  
სპოლვიდა, სთრგუნვიდა, ჰკლავდა, ჰგლეჯდა...

## რ

გილგამეშ განაგრძობს გზას ამ სიზმრის შემდეგ და  
მიადგება მაშუს მთას, ქვეყნის კიდეზედ, სადაც არის საწვლარი  
ცისა და ქვესკნელისა.

ოდეს მიაღწია მაშუს მთას, იხილა იგინი,  
ვინცა იცავენ მზის აღმოსავალსა და დასავალსა.  
მათზედ ეყრდნობა ცის საძირკველი;  
ძირს ქვესკნელს უწევს მკერდი მათი.  
ღრიანკალ-კაცნი კარსა იცავენ:  
საშინელია პირი მათი, თვალი მათი — სიკვდილი,  
ძრწოლის მომგვრელი ბრწყყენა მათი, მათთ  
დამფარველი!  
მზეს იცავენ იგინი აღმოსლვისას და შთასლვისას.

## რ

იხილა რა იგინი ბილგამეშმან,  
შავად იცვალა შიშით სახე მისი.  
მოიცა გული და დადრიკა თავი მათ წინაშე.

ღრიანკალ-კაცი უხმობს თვისს ცოლსა:

„მგერ რომ ჩვენთან მოვიდა, სხეული მისი ღმერთის  
სხეულია!“

ღრიანკალ-კაცს მიუგებს ცოლი:

„ღრი მესამედი ღმერთია იგი, ერთი მესამედი კაცი!“

ღრიანკალ-კაცმა შესძახა, ღმერთის სახეს ეუბნება  
სიტყვას:

„როგორ მოხვედი აქ შორის გზითა, ქვეყნის  
კიდეზედ, ჩემამდე,

მაღალ მთებამდე, ძნელად რომ არის გარდასავალი?

მაცნობე, მინდა ვიცოდე გზა შენი!“

ბილგამეშ ეუბნება მას, ღრიანკალ-კაცს:

„მივდივარ შტ-ნაფიშტისთან, ჩემ წინაპართან,  
რომელი შევიდა ღმერთთა კრებულში და იხილა

ცხოვრება.

სიკვდილისა და სიცოცხლისა უნდა ვკითხო მას!“

ღრიანკალ-კაცმა აღაღო ბაგენი თვისნი და ჰრქვა  
ბილგამეშს:

„ბილგამეშ, არასოდეს ყოფილა გზა იქით მიმავალი!

მთაში ჯერ არ ვის უნახავს ბილიკი!

ღცი მანძილის იქით არის შუა-გული მთისა.

ძლიერია ბნელი, არ არის ნათელი.“

რ

მიუხედავად ღრიანკალ-კაცის გაფრთხილებისა, გილგამეშ  
მაინც მტკიცედ ადგია თავის გადაწყვეტილებას და განაგრძობს გზას.

ღრიანკალ-კაცმა აღალო ბაგენი თვისნი და ჰრქვა

[ზილგამეშს:

„ზილგამეშ, მაშ დაადგე შენს გზას,

ძარგი, ზილგამეშ, წარმემართე შტ-ნაფიშტისაკენ.

მშვიდობითამც გარდაგველოს მთა მაშუსი!“...

რ

მსმა რა ესე გილგამეშს,

ღაადგა გზას ღრიანკალ-კაცის ბრძანებით.

მზის გზას დაადგა იგი.

ზაიარა ერთი მანძილი:

ძლიერი იყო ბნელი, არ იყო ნათელი.

ძალი ბნელისა უშლის მას ხილვას, რაც იყო უკან.

ზაიარა ორი მანძილი:

ძლიერი იყო ბნელი, არ იყო ნათელი.

ძალი ბნელისა უშლის მას ხილვას, რაც იყო უკან,

ზაიარა სამი მანძილი:

ძლიერი იყო ბნელი, არ იყო ნათელი.

ძალი ბნელისა უშლის მას ხილვას, რაც იყო უკან.

ბაიარა ოთხი მანძილი:

ძლიერი იყო ბნელი, არ იყო ნათელი.

ძალი ბნელისა უშლის მას ხილვას, რაც იყო უკან,

ბაიარა ხუთი მანძილი:

ძლიერი იყო ბნელი, არ იყო ნათელი.

ძალი ბნელისა უშლის მას ხილვას, რაც იყო უკან,

ბაიარა ექვსი მანძილი:

ძლიერი იყო ბნელი, არ იყო ნათელი.

ძალი ბნელისა უშლის მას ხილვას, რაც იყო უკან.

ბაიარა შვიდი მანძილი:

ძლიერი იყო ბნელი, არ იყო ნათელი.

ძალი ბნელისა უშლის მას ხილვას, რაც იყო უკან.

რვა მანძილი გაიარა მან: და მძლავრად ხმა

აღმოუჩნდა.

ძლიერი იყო ბნელი, არ იყო ნათელი.

ძალი ბნელისა უშლიდა მას ხილვას, რაც იყო უკან.

ცხრა მანძილი გაიარა მან: და მიადგა ჩრდილოეთს.

ძლიერი იყო ბნელი, არ იყო ნათელი.

ძალი ბნელისა უშლიდა მას ხილვას, რაც იყო უკან.

ათი მანძილი გაიარა მან: მიადგა მთის

გამოსავალსა.

თერთმეტი მანძილი გაიარა მან: და გამოვიდა წინაშე  
მზისა.

თორმეტი მანძილი გაიარა მან: და გათენდა!

## რ

წალკოტი ღმერთთა იხილა მან

და, რა იხილა, მიაშურა მას,

პატიოსანი თვლები იყო ნაყოფი წალკოტისა,

მაზებით შემკული იყო იგი, შვენიერი სანახავი:

ფირუზის იყო ტოტები,

სასურველი სანახავი იყო ნაყოფი მისი.

აღწერილია ეს უცნაური ბალი, რომელშიაც ყოველ მცენარეს პატიოსანი თვალი ასხია.

დადგა ბილგამეშ,

მიაპყრო თვალი ღმერთთა წალკოტსა.



## კარი მეთე

ღვთაებრივი მეღვინე-ქალი სიღური ზის ზღვის  
სა[ჯღომზედ,

ზის და შორს აქვს თვალი მიპყრობილი.

ღოჭი უდგია მას, სასმისი უდგია მას,

საბურავი ჰბურავს...

ბილგამე შმა მიირბინა, მიუახლოვდა მას.

ტყავი აცვია, საზარელი სახე აქვს.

ღმერთის ნაწილნი აქვს სხეულში.

ბული მისი ვაებას შეუპყრია,

მსგავსია შორი-გზით მომავალი მგზავრისა.

რ

შორს იმზირება თვალი მეღვინე-ქალისა,

თავის თავს ეუბნება იგი, ამბობს სიტყვასა,

თვით მსჯელობს, თავის თავთანა:

„სად (?) უნდა იყოს იგი, ვინ ბოროტს განიზრახავს?

სად მიდის იგი გულის რისხვითა?“

რ

ოდეს იხილა იგი<sup>45</sup> მეღვინე-ქალმა, დახშო კარი,

დახშო კარი და ჩაჰკეტა სადგომი.

ხოლო ბილგამეშმა გარდასწყვიტა ეკითხა მისთვის...

ბილგამეშ ეუბნება მას, მეღვინე-ქალს:

„მეღვინე-ქალო, რა დაგემართა, რომ დახშე კარი,

დახშე კარი და ჩაჰკეტე სადგომი?

დავლევ კარს, განვსტებ ურდულს!“

## რ

ბილგამეშ იგებს მეღვინე-ქალის გულს და ამეტყველებს მას:

მეღვინე-ქალი ეუბნება მას, ბილგამეშს:

„რად ჩაგცვივინია ლოყები, დაგიდრეკია თავი,

რად არის დაღონებული გული შენი, უძლური

სხეული შენი?

რად არის ვაება შენს გულში,

რად ემსგავსები მგზავრსა, შორი-გზით მომავალსა?

რად შეგშლია სახე ტანჯვითა, ზრუნვითა და

მწუხარებითა,

შმუნვით აღსავსე გაჭრილხარ ველად?“

ბილგამეშ მიუგებს მას, მეღვინე-ქალს:

„ვით არ იყოს ჩაგვივნილი ლოყები ჩემი,

დადრეკილი თავი ჩემი,

ვით არ იყოს დაღონებული გული ჩემი,

უძლური სხეული ჩემი,

მით არ იყოს ვაება ჩემი გულში,  
მით არ ვიყო მსგავსი შორი-გზით მომავალ მგზავრისა,  
მით არ იყოს შეშლილი სახე ჩემი ტანჯვითა,  
ზრუნვითა და მწუხარებითა,  
მით არ ვიყო ჭმუნვით აღსავსე გაჭრილი ველად!  
საყვარელს მეგობარს ჩემსას, ვეფხსა მინდვრისას,  
მნკიდუს, საყვარელს მეგობარს ჩემსას,  
მთას რომ აღვედით,  
ღავიჭირეთ ზეცის ხარი და მერმე მოკვალით,  
ღავსთრგუნეთ ჭუმბაბა, ნაძვის ტყეში რომ ცხოვრობდა,  
ღავხოცეთ ლომები მთის ჯურღმულებში, –  
მოყვარეს ჩემსას, ჩემთან რომ იყო ყოველ  
განსაცდელში, –  
მნკიდუს, მოყვარეს ჩემსას,  
ჩემთან ერთად რომ ლომებსა ხოცავდა,  
ჩემთან ერთად რომ იყო ყოველ განსაცდელში, –  
მწია ბედი კაცისა!  
ექვს დღესა და ექვს ღამეს ვსტიროდი მის გვამზედ,  
მეშვიდე დღემდე არ დამიმარხავს.  
შევძრწუნდი, რა განვიცადე ბედი მისი.  
სიკვდილის შიშმა შემიბყრო, ამისათვის ვარ  
გაჭრილი ველად.



ბედი მნკიდუსი, ჩემის მოყვრისა, მიმიძის ფრიად,  
ამისათვისცა, ველად გაჭრილი, შორს გზას ვადგივარ,  
როგორ დავჩუმდე – როგორ აღმოვსთქვა ესე?!  
მოყვარე ჩემი საყვარელი მიწად გარდიქცა, –  
მნკიდუ, მოყვარე ჩემი საყვარელი მიწად გარდიქცა!  
ხომ მეც დავწვები მსგავსად იმისა, რომ აღარ  
აღვსდგე აღარაოდეს?!“

ბილგამეუ კიდევ ეუბნება მას, მეღვინე-ქალს:  
„ბაბა, მეღვინე-ქალო, რომელია გზა უტ-  
ნაფიშტი[საკენ?]

რა არის ნიშანი მისი, მომეც!  
მომეც ნიშანი მისი, მომეც!  
თუ შესაძლებელია, განვივლი ზღვასა,  
თუ შეუძლებელია, ველად გავიჭრები!“\*

---

\* ძვ. აკ. ვერ.

«იგი, რომელი ჩემთან იყო ყოველ განსაცდელში, –  
ენკიდუ, ფრიად რომ მიყვარდა, ჩემთან რომ იყო ყოველ  
განსაცდელში, –

წარიტაცა ბედმან კაცისამან!  
დღე და ღამ ვსტიროდი მას.  
შვიდი ღღე და შვიდი ღამე ვით ჭია ეცემოდა იგი პირქვე,  
მას შემდეგ რაც იგი მოკვდა, აღარ მაქვს სიცოცხლე,  
დავებტები, ვითარცა მონადირე, მთებში.

მეღვინე-ქალი ეუბნება მას, ბილგამეშ:  
არ ყოფილა, ბილგამეშ გარდასავალი  
და არ ვის შესძლება ზღვის განვლა —  
მასაც კი, ვინც უძველეს დროითგან მოსულა!  
მხოლოდ შამაშმა, გმირმა, განვლო, ზღვა!  
და თვინიერ შამაშისა, ვინ განვლის მას?  
ძნელი მისადგომია გარდასავალი,  
ძნელია გზა იქით მიმავალი  
და უფსკრულია წყალი სიკვდილისა,  
მითა ურდული დამხშობი მისი.  
სად გინდა, ბილგამეშ, ზღვა განვლო?  
თუ მიაღწიე სიკვდილის წყალსა, რა უნდა ჰქმნა მაშინ?  
ბილგამეშ, იქ არის შრ-შანაბი, მენავე შტ-ნაფიშ[ტისა,  
რომელსა აქვს ქვის კილობანი  
ტყეში ბალახს ჰგლეჯს, იხილე იგი!  
თუ შესაძლებელია, იგი გადაგიყვანს,  
თუ შეუძლებელია, დაბრუნდი უკან!“\*

---

ახლა, მეღვინე-ქალო, ეხედავ პირსა შენსა;  
ნუმც ვიხილო სიკვდილი, რომლის მეშინის!»

\* ძვ. აკ. ვერ.

მეღვინე-ქალი ეუბნება მას, ბილგამეშ:  
„რისთვის მიღიხარ? ცხოვრებას, შენ რომ ეძებ, მაინც ვერ ნახავ!

## რ

გილგამეშ მიდის და იპოვის უტ-ნაფიშტის მენავეს – ურ-შანაბის.

**ურ-შანაბი ეუბნება მას, ბილგამეშს:**

„რად ჩაგცვივინა ლოყები, დაგიდრეკია თავი,  
რად არის დაღონებული გული შენი, უძლური  
სხეული შენი?

რად არის ვაება შენს გულში,  
რად ემსავესები მგზავრსა, შორი-გზით მომავალსა?  
რად შეგშლია სახე ტანჯვითა, ზრუნვითა და  
მწუხარებითა,  
შენუნვით აღსავეს გაჭრილხარ ველად?“\*

---

ოღეს ღმერთებმა კაცნი შეჰქმნეს, კაცობრიობას სიკვდილი  
გარდუკვეთეს,

ხოლო ცხოვრება თავისთვის დაიტოვეს!

გილგამეშ, აღივსე მუცელი,  
იმხიარულე დღე და ღამ, ლხინი გამართე ყოველ დღე,  
დღე და ღამ იცეკვე, იმხიარულე!

წმიდა იყოს სამოსელი შენი, დაიბანე თავი, წყალში იბანე,  
მხიარულად შეჰხედე ბავშვს, ხელში რომ აიყვან,  
განიხაროს ჭალმა შენს მკლავებზედ!“

\* ძვ. აკ. ვერ.

სურ-სუნაბუ იხილეს თვალთა მისთა.

ბილგამეშ ეუბნება მას, შრ-შანაბის, მენავეს:  
„მით არ იყოს ჩაცვივნილი ლოყები ჩემი,  
ღალრეკილი თავი ჩემი,  
მით არ იყოს დაღონებული გული ჩემი,  
შძლური სხეული ჩემი,  
მით არ იყოს ვაება ჩემს გულში,  
მით არ ვიყო მსგავსი შორი-გზით მომავალ მგზავრისა,  
მით არ იყოს შეშლილი სახე ჩემი ტანჯვითა,  
ზრუნვითა და მწუხარებითა,  
მით არ ვიყო ჭმუნვით აღსავსე გაჭრილი ველად!  
საყვარელს მეგობარს ჩემსას, ვეფხსა მინდვრისას, –  
ენკიდულს, საყვარელს მეგობარს ჩემსას, –  
მთას რომ აღვედით,  
ღავიჭირეთ ზეცის ხარი და მერმე მოკვალით,

---

სურ-სუნაბუ ეუბნება მას, გილგამეშს:  
„არა არის შენი სახელი, მითხარ!  
მე ვარ სურ-სუნაბუ, (მენავე?) შორეულ უტ-ნაფიშტისა“.  
გილგამეშ ეუბნება მას, სურ-სუნაბუს:  
„გილგამეშ არის სახელი ჩემი...  
მოვსულვარ შორითგან,  
შორი გზით, მზის აღმოსავლით.  
ახლა, სურ-სუნაბუ, ვხედავ პირსა შენსა;  
მაჩვენე უტ-ნაფიშტი, შორეული!“

დავსთვალეთ ჰუმბაბა, ნაძვის ტყეში რომ ცხოვრობდა,  
დავხოცეთ ლომები მთის ჯურღმულეებში, –  
მოყვარეს ჩემსას, ჩემთან რომ იყო ყოველ  
განსაცდელში,

მნკიდუს, მოყვარეს ჩემსას,  
ჩემთან ერთად რომ ლომებს ხოცავდა,  
ჩემთან რომ იყო ყოველ გასაცდელში, –  
მწია ბედი კაცისა!

ექვს დღესა და ექვს ღამეს ვსტიროდი მის გვამზედ,  
მეშვიდე დღემდე არ დამიმარხავს.

შევძრწუნდი, რა განვიცადე ბედი მისი.

სიკვდილის შიშმა შემიპყრო, ამისათვის ვარ

გაჭრილი ველად.

ბედი ჩემის მოყვარისა მიმძიმს ფრიად,

ამისათვისცა შორის გზით ვარ გაჭრილი ველად;

ბედი მნკიდუსი, ჩემის მოყვარისა, მიმძიმს ფრიად,

ამისათვისცა შორის მანძილით გაჭრილვარ ველად,

როგორ დავჩემდე – როგორ აღმოვსთქვა ესე?!

მოყვარე ჩემი საყვარელი მიწად გარდიქცა, –

მნკიდუ, მოყვარე ჩემი საყვარელი, მიწად გარდიქცა!

ხომ მეც დავწვები მსგავსად იმისა რომ აღარ

აღესდგე აღარასოდეს?!“

ბილგამეშ ეუბნება კიდევ მას, ურ-შანაბის, მენავესა:  
„აჰა, ურ-შანაბი, რომელია გზა უტ-ნაფიშტისაკენ?  
რა არის ნიშანი მისი, მომეც!  
მომეც ნიშანი მისი, მომეც!

თუ შესაძლებელია, განვივლი ზღვასა,  
თუ შეუძლებელია, ველად გავიჭრები!“  
ურ-შანაბი ეუბნება მას, ბილგამეშს:  
„შენმა ხელებმა დააბრკოლეს, ბილგამეშ, ზღვის  
[გარდასლვა:

შენ გასტეხე ქვის კიღობანი...  
ქვის კიღობანი გატეხილია..<sup>46</sup>.  
აღიღე, ბილგამეშ, ცული ხალში,  
ჩადი ტყეში და დასჭერი ძელები,  
თვითო სამოცი წყრთა სიგრძისა...  
მოიტანე, ვეცადოთ გარდასლვა ზღვისა.“

## რ

მსმა რა ესე ბილგამეშს, აღიღო ხელში ცული,  
აღმოიწვავდა ხმალი სარტყლისა,  
ჩავიდა ტყეში, დასჭრა ძელები  
თვითო სამოცი წყრთა სიგრძისა,  
მოუტანა ურ-შანაბის, მენავესა.

## რ

ბილგამეშ და შრ-შანაბი ჩასხდნენ ხომალდში.

ხომალდი მისცეს მღელვარე ტალღებს,

ბასწიეს ერთის თვისა და ხუთმეტი დღის გზითა.

ოდეს ბილგამეშმან თვალი განაღო მესამე დღესა<sup>47</sup>,

შრ-შანაბის უკვე სიკვდილის წყლამდე მიედწია.

შრ-შანაბი ეუბნება მას, ბილგამეშს:

„მეისვე აღიღე, ბილგამეშ, ძელი:

სიკვდილის წყალი არ მოხვდეს შენს ხელს!..

მეორე, მესამე და მეოთხე ძელი აღიღე, ბილგამეშ!

მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ძელი აღიღე, ბილგამეშ!

მერვე, მეცხრე და მეთათე ძელი აღიღე, ბილგამეს!

მეთერთმეტე და მეთორმეტე ძელი აღიღე, ბილგამეშ!

სამოცი ძელი აღიღო ბილგამეშმან და აჰა!

განთავისუფლდა...

ბილგამეშმან განიძრო სამოსი, თვისი ხელეებით

აღმართა ანძა.

## რ

შტ-ნაფიშტის შორს აქვს თვალი მიპყრობილი,

იგი თვის თავს ეუბნება, ამბობს სიტყვას,

თვის თავთან მსჯელობს;

„რად დამტვრეულა ქვის კიდობნები ხომალდისა,  
მოღის ვიღაცა ხომალდითა, აქაურობას რომ არ

ეკუთვნის!

აქეთ რომ მოღის, არ არის კაცი!

მარჯვენა მისი არ არის მარჯვენა კაცისა!

მუყურებ, ხოლო არ მესმის,

მუმზერ, ხოლო ვერ განმიჭვრეტია!“

ხომალდი მშვიდობით მიაღგება ნაპირს. გილგამეშ ნახავს  
უტ-ნაფიშტის.

## რ

უტ-ნაფიშტი ეუბნება მას, გილგამეშს:

„რად ჩაგცვივინია ლოყები, დაგიდრეკია თავი,

რად არის დაღონებული გული შენი, უძღური

სხეული შენი,

რად არის ვაება შენს გულში,

რად ემსგავსები მგზავრსა შორი-გზით მომავალსა,

რად შეგშლია სახე ტანჯვითა, ზრუნვითა და

მწუხარებითა,

შმუნვით აღსავსე გაჭრილხარ ველად?“

ბილგამეშ ეუბნება მას, უტ-ნაფიშტის:



„მით არ იყოს ჩაცვივებული ლოყები ჩემი,  
დადრეკილი თავი ჩემი,  
მით არ იყოს დაღონებული გული ჩემი,  
უძლური სხეული ჩემი,  
მით არ იყოს ვაება ჩემს გულში,  
მით არ ვიყო მსგავსი შორი-გზით მომავალ მგზავრისა,  
მით არ იყოს შეშლილი სახე ჩემი ტანჯვითა,  
ზრუნვითა და მწუხარებითა,  
მით არ ვიყო კმუნვით აღსავსე გაჭრილი გელად!  
საყვარელს მეგობარს ჩემსას, ვეფხსა მინდვრისას, —  
მნკიდუს, საყვარელს მეგობარს ჩემსას, ვეფხსა  
მინდვრისას, — მოყვარეს ჩემსას,  
მთას რომ აღვედით,  
დავიჭირეთ ზეცის ხარი და მერმე მოკვალით,  
დავსთარგუნეთ ჰუმბაბა, ნაძვის ტყეში რომ  
ცხოვრობდა,  
დავხოცეთ ლომები მთის ჭურღმულეებში, —  
მოყვარეს ჩემსას მნკიდუს, ჩემთან რომ იყო ყოველ  
განსაცდელში,  
მნკიდუს, მეგობარს ჩემსას, ჩემთან ერთად რომ  
ლომებს ხოცავდი,  
ჩემთან რომ იყო ყოველ განსაცდელში, —

მწია ბედი კაცისა!

მქვს დღესა და ექვს ღამეს ვსტიროდი მის გვაშხედ,  
მეშვიდე დღემდე არ დამიმარხავს.

შევძრწუნდი, რა განვიცადე ბედი მისი.

სიკვდილის შიშმა შემიპყრო, ამისთვისა ვარ

გაჭრილი ველად.

ბედი ჩემის მოყვარისა მიმძიმს ფრიად,

ამისთვისცა ვარ შორის გზითა გაჭრილი ველად.

ბედი მნკიდუსი, ჩემის მოყვარისა, მიმძიმს ფრიად,

ამისთვისცა ვარ შორის მანძილით გაჭრილი ველად.

როგორ დაეჭუმდე – როგორ აღმოვსთქვა ესე?!

მოყვარე ჩემი საყვარელი მიწად გარდიქცა, –

მნკიდუ, მოყვარე ჩემი საყვარელი მიწად გარდიქცა!

ხომ მეც დავწვები მსგავსად იმისა, რომ აღარ

აღვსდგე არღარაოდეს?!“

ბილგამეშ კიდევ ეუბნება მას, შტ-ნაფიშტის:

„ბარდავსწყვიტე წამოსულვიყავ ხილვად შტ-

ნაფიშტისა,

რომელზედ ამბავთ მოგვითხრობენ.

ამისათვის მოვლვე ქვეყნის კიდენი,

ამისათვის გარდავლახე მთანი მიუღგომელნი,

ამისათვის განვიარე ერთობ ზღვანი.

შვენიერ სანახავით ვერა ძღებოდა თვალი ჩემი.  
საწამებელში ვვარდებოდი მარადის ხეტიალითა,  
ტკივილებით ვავსებდი სხეულსა ჩემსა.  
ჯერ არ მიმეღწია მეღვინე-ქალის სადგომამდე –  
[თარზედ,  
ბამიცვდა სამოსელი.  
მნადირობ ჭოტზედ, ბუზედ, ლომზედ, ვეფხედ,  
აფ[თარზედ,  
ირემზედ, ჯიხზედ, მინდვრის მხეცზედ:  
საზრდოდა მაქვს ხორცი მათი,  
სამოსლად – ტყავი მათი.

## რ

გილგამეშმა ალბათ სიკვდილისა და სიცოცხლისა ჰკითხა  
უტ-ნაფიშტის და უტ-ნაფიშტი მიუფებს მას:

„მრისხანეა სიკვდილი, არ იცის შებრალება!  
აღვაშენებთ სამარადისოდ, დავბეჭდავთ<sup>48</sup>  
სამარადი[სოდ?

ბაიყრებიან ძმანი სამარადისოდ?  
შექმნა შთამომავლობისა სამარადისოა ქვეყანაზედ?  
აღიწევს მდინარე და მოაქვს წყალი სამარადისოდ?...  
დასაბამითგან არა არს რა სამარადისო!

მძინარე და მკვდარი — რა გვარ არიან მსგავსნი  
ურ[თი-ურთისა!

შეუძლებელია აღწერა სიკვდილისა...

შეკრებებიან ბნუნაკნი<sup>49</sup>, დიდნი ღმერთნი,

მამეტუ, ბედის დამწერი, მათთან ერთად სწყვეტს  
ბედსა.

მათ ხელთ არის სიკვდილიცა და სიცოცხლაცა,

ხოლო დღენი სიკვდილისა არ არიან დანიშნულნი!“



### კარი მეთერთმეტე

ბილგამეშ ეუზნება მას, შტ-ნაფიშტის, შორეულსა:  
„ბიცქერ, შტ-ნაფიშტი, და შენი სხეული სხვა-გვარი  
არ არის!  
რაც მე ვარ, ის შენა ხარ! ჭეშმარიტად, სხვა-გვარი  
არა ხარ შენ!  
რაც მე ვარ, ის შენა ხარ! ხოლო არსება ჩემი  
აღსავსეა ბრძოლითა და ომითა,  
შენ კი განისვენებ გულ-აღმა წოლითა,  
როგორ შეხვედი ღმერთთა კრებულში და მოიპოვე  
ცხოვრება?“

### რ

შტ-ნაფიშტი ეუზნება მას, ბილგამეშს:  
„ღაფარულს განგიცხადებ, ბილგამეშ,  
ბაუწყებ ღმერთთა საიდუმლოსა:  
არის ქალაქი შურუპაკ, შენც ხომ იცი:  
მფრატის პირას მდებარეობს იგი.  
ძალაქი იგი ძველია და ღმერთნი მასთან ახლონი  
არი[ან].  
ღმერთებმა განიზრახეს წარღვნა მოველინათ.

შეკრბენ ერთად მამა მათი ანუ,  
ბატონი მათი, გმირი მნლილ,  
წინამძღოლი მათი ნიმურტა,  
თავადი მათი მნნუგი<sup>50</sup>.

ნათელ-თვალა ეა მათთანა ბჭობდა,  
ბანაჩენი მათი ამცნო ლერწმის ქოხს:  
«ლერწმის ქოხო, ლერწმის ქოხო!

ბედელო, კედელო!

ლერწმის ქოხო, ისმინე!

ბედელო გაიგონე!

შურუპპაკელო, კაცო, შბარა-ტუტუს ძეო,

ღანგრიე სახლი,

აღაშენე ხომალდი,

ბანეშორე სიმდიდრეს,

მძებე ცხოვრება,

ღაგდე ქონება,

იხსენ სიცოცხლე,

შეიყვანე ხომალდში ყოველი სულიერი!

ზომა ხომალდისა, შენ რომ ალაგებ, სწორად

განისაზღვროს:

სიგანე მისი და სიგრძე მისი თანასწორ იყოს!

წმიდა ტბაზედ დააყენე იგი ღუზითა!»\*  
მივხვდი და ვეუბნები მას, უფალსა ჩემსა:  
მიქმ, უფალო ჩემო, რასცა მიბრძანებ.  
ხოლო რა ვუთხრა ქალაქს, ერს და უხუცესთა?“  
მან აღალო ბაგენი თვისნი და უბნობს,  
მეუბნება მე, მონასა თვისსა:  
„ძაცო, ესრე უთხარ მათ:  
მხედავ რომ ენლილ განმირისხდა,  
ამისათვის აღარ ძალ-შიძს თქვენს ქალაქს ყოფნად,  
მნლილის მიწას ველარ მივაპყრობ თვალსა.  
წმიდა ტბაზედ ჩავალ, რათა ვიცხოვრო ესთან  
უფალთან ჩემთან.  
ხოლო თქვენ იგი მოგმადლებსთ სიმდიდრესა და  
სიუხვესა: ფრინველსა და თევზს,

---

\* მკ. აკ. ვერ.

ეა ეუბნება უტ-ნაფიშტის:

«დაგინიშნავ დროს, შედი ხომალდში და ჩაიკეტე კარი. შეიტანე შიგ შენი პური, შენი ქონება, შეიყვანე შიგ შენი ცოლი, შენი საბოლოა, შენი გვარი და ხელოსნები, მხეცი მინდერისა, ცხოველი ველისა, რაც ბალახსა სძოვს, მოგეცემა შენ ჩემგან, რომ შენს კარზედ მცველებად იყვნენ». უტ-ნაფიშტი ეუბნება: «არასოდეს არ აღმიგია ხომალდი! დამიხატე სახე მისი, ვიხილავ და ამით აღვაგებ ხომალდსა»...

ღა გაკუროთებესთ დიდის მოსავლის მონიჭებითა,  
ოღეს გამომგ ზავნი სიბნელისა<sup>51</sup> ერთსა საღამოს  
ბადმოგასხამსთ ხორბლის წვიმასა“.

ბათენებისას მყისვე შევუღღეს მის აღსრულებას,  
რაღცა მიბრძანა ვამ...

მეხუთე დღეს გამოვსახე სახე ხომალდისა:

ას-ოცი წყრთა იყო სიმაღლით კედელი მისი.

ას-ოცივე წყრთა ნაპირი მისის სახურავისა<sup>52</sup>.

შევემენ წინა-ნაწილი მისი.

ექვსი სართული გამოვიყვანე.

ბარე ნაწილი გავეყავ შვიდაღ,

შიღა ნაწილი ცხრადღ.

შუაში სვეტები დავასვი.

აღვარჩიე ანძაცაღ.

რაღცა იყო საჭიროღ, ყოველი ჩავყარეღ.

ექვსი სარი<sup>53</sup> შავი-კუპრი ჩავყარე საკირეშიღ,

სამი სარი (წმინდა) კუპრი ჩავასხიღ.

სამი სარი ზეთი მოაქვს ერს ჭურჭლებითაღ,

ბარღა ერთის სარის ზეთისაღ, მსხვერპლად რომ წავიღაღ,

ღა ორის სარის ზეთისაღ, მეხომაღღეს რომ ებარაღ.

ხარებსა და ცხვრებს ვუკლავდი ერს ყოველ დღეღ,



ღვინოს, ლუდსა და ზეთს ვასმევდი, ვით მდინარის  
წყალსა.  
ღღესასწაული გარდავიხადე, მსგავსი ახალის წლისა,  
ბახსენ სანელსაცხებლე, ჩავეყვ შიგ ხელები.

## რ

მზის ჩასლვამდის მზად იყო ხომალდი.  
რაც რამა მქონდა, შევიტანე ხომალდში:  
რაც ვეცხლი მქონდა, შევიტანე.  
რაც ოქრო მქონდა, შევიტანე,  
რაც რამა მყავდა, ყოველი სულიერი შევიყვანე.  
ჩავსხი ხომალდში მთელი ჩემი სახლობა და გვარი,  
მხეცი ველისა, ცხოველი ველისა:  
ჰოველი ხელობის ხალხი ჩავსხი.  
ღრო დამინიშნა შამაშმან<sup>54</sup>:  
«ბამომგ ზავნი სიბნელისა ერთსა საღამოს  
ხორბლის წვიმას აწვიმებს!  
მაშინ შედი ხომალდში და ჩაიკეტე კარი»-ო.  
მს ღროც დადგა,  
სიბნელის გამომგ ზავნმა ერთსა საღამოს  
ხორბლის წვიმა აწვიმა.  
მუყურებდი ამინდს – საშინელი იყო ამინდი!

შევედი ხომალდში და ჩავიკეტე კარი.  
ხომალდის აღმგებს, მეხომალდეს პუზურ-ამურის<sup>55</sup>  
ბარდავეც ხომალდის დარბაზი მისის  
ქონებითურთ(?).

## რ

ბათენებისას ცის დასავლითგან აღმოვიდა შავი  
[ღრუბლები.

აღად<sup>56</sup> გრგვინავდა ღრუბლებში.  
შულლატ<sup>57</sup> და ჰანიშ<sup>57</sup> წინ მოდიან.  
მოჰქრინ, ვითარცა მოციქულნი, მთაზედ და ბარზედ.  
ირრაგალ<sup>58</sup> ხომალდს ანძასა ჰგლეჯავს.  
მოჰქრიან ნიმურტა, ჰგლეჯს წყალთა ზღუდეთ<sup>59</sup>.  
ანუნაკებმა აღმართეს სანათები,  
აღავარვარეს ქვეყანა საშინელის ბრწყენითა.  
აღადის რისხვა ცას უწევს, ნათელს ბნელად აქცევს,  
მით თიხის ქოთანს ჰლეწს ფართე ქვეყანას.  
მთელი დღე ჰქროდა შეუჩერებლად სამხრეთის  
გრიგალი.  
სწრაფად მიშხუოდა იგი და წყალი მთამდის ასწია.  
ზვირთები ეცემიან კაცებს, თითქოს ომი ყოფილიყო.  
მრთი მეორეს ვერა ჰხედავს.

ცითგანაც შეუძლებელი იყო კაცთა ცნობა.  
ღმერთნი შეძრწუნდნენ წარღვნის წინაშე,  
ბაიქენენ, აღვიდნენ ზეცას ანუსთან,  
მოიძუტვენ ვითარცა ძაღლნი, კედელს ეკრვოდენ!  
იშტარ გაჰკივის, ვითარცა მშობიარე,  
ღმერთთა დედოფალი, შვენიერ-ხმიანი, ჰგოდებს:  
«ძველი დრო ქეშმარიტად წარვიდა,  
მინათგან ღმერთთა კრებაზედ მე თვითონ ვბრძანე  
ბოროტი.  
რაგვარ შემეძლო ღმერთთა კრებაზედ მე თვით  
მებრძანა ბოროტი,  
ჩემთავე კაცთა აღსასპოლვად ბრძოლის ბრძანება?!  
მე მხოლო ვშობავ კაცთა ჩემთა!  
აჰა, იგინი ვითარცა ლიფსიტი თევზისა აღაფსებენ  
ზღვასა!»  
ღმერთნი ანუნაკთა შორის სტირიან მასთან ერთად,  
ღმერთნი თავ-დადრეკით არიან, სხედან მტირალნი...  
ღაჯშულ არიან ბაგენი მათნი...

## რ

მქვს დღესა და ექვს ღამეს მძვინვარებს გრიგალი,  
იდრიკება ქვეყანა სამხრეთის ქარის ქვეშე.

მეშვიდე დღეს დამარცხდა ბრძოლაში სამხრეთის ქარი.

ვითა მხედრობა იბრძოდა იგი!

დაწყნარდა ზღვა, ჩადგა ნაპირებში, შესდგა წარღვნა!

ამინდს შევხედე – დაწყნარებულყო.

მართობ კაცობრიობა თიხად ქცეულყო!

ბრტყელი ბანივით იყო ქვეყანა!

მაშინ განვალე სარკმელი,

ნათელმან შემომანათა პირზედ.

თავ-დადრეკილმა მოვრთე ქვითინი.

სახეზედ ცრემლები ჩამომდიოდა.

ზღვის წყალთა შინა მდებარე ხმელეთს გავხედე.

მეთორმეტეს<sup>60</sup> იქით ერთს კუნძულს ამოეყო თავი.

ნასირის მთას<sup>61</sup> მიაღგა ხომალდი.

ნასირის მთამ დაიჭირა ხომალდი –

იგი არ ექანებოდა.

მესამე, მეოთხე დღეს დაიჭირა ნასირის მთამ

ხომალდი –

იგი არ ექანებოდა.

მეხუთე, მეექვსე დღეს დაიჭირა ნასირის მთამ

ხო[მალდი –

იგი არ ექანებოდა.

მეშვიდე დღეს გამოვუშვი ტრედი, გავაფრინე.

ბაფრინდა, ხოლო უკან დაბრუნდა:  
მერა ნახა რა დასაყრდნობი ადგილი, უკან მობრუნდა,  
ბამოვუშვი მერცხალი, გავაფრინე.  
ბაფრინდა, ხოლო უკან დაბრუნდა:  
მერა ნახა რა დასაყრდნობი ადგილი, უკან მობრუნდა.  
ბამოვუშვი ყორანი, გავაფრინე.  
ბაფრინდა, ნახა დაშრობა წყლისა:  
სკამს, ჰქექავს, ყრანტალობს, აღარ დაბრუნებულა.  
მაშინ ყოველი სულიერი გამოვუშვი,  
ოთხი მხრით გავუშვი; და მივიტანე შესაწირავი.  
მთის მწვერვალზედ ვაკმე მსხვერპლად საკმეველი.  
შვიდი და კიდევ შვიდი დავდგი სამსხვერპლო  
ჭურჭელი,  
შევუნთე ლერწამი, ნაძვი და დაფნა.

## რ

ღმერთთა იყნოსეს სუნი,  
ღმერთთა იყნოსეს საამო სუნი.  
მითარცა ბუზნი მიხვიენ ღმერთნი სამსხვერპლოს!  
რა მოვიდა ღმერთთა დედოფალი<sup>62</sup>,  
აღიწია ძლიერნი სამკაულნი თვისნი,  
ანუჲმ რომ მისის სურვილისამებრ შეუქმნა:

„ღმერთნო, რაგვარადაც არ დავივიწყებ ჩემს  
ყელის-ფირუხს,  
ისე მარადის მოვიგონებ ამ დღეს,  
არ დავივიწყებ მას უკუნითი-უკუნისამდე!  
მოვიდენ ღმერთნი საკმევლის მსხვერპლთან!  
ხოლო ენლილ ნუ მოვა საკმევლის მსხვერპლთან!  
მან განუსჯელად წარღვნა მოავლინა,  
აღსპოლვა მიუსაჯა კაცთა ჩემთა!»

## რ

რა მოვიდა მნლილ, იხილა ხომალდი.  
ბანარისხდა მნლილ, აღევსო გული წყრომითა  
ღმერთთა მიმართ,  
იგიგითა<sup>63</sup> წინააღმდეგ:  
„მიდაც გადარჩენილა, ერთი სულიერი!  
არც ერთი კაცი უნდა გადარჩენილიყო სასჯელის  
დროსა!“  
ნიმურტამ აღალო ბაგენი თვისნი, უთხრა გმირს  
მნლილს:  
«მის შეუძლია თუ არა ეას გეგმათა შექმნა?  
მამ ყოველი უწყის!»  
მამ აღალო ბაგენი თვისნი, უთხრა გმირს ენლილს:

„შენ უბრძნესო ღმერთთა შორის, გმირო,  
ვითარ შეგეძლო განუსჯელად წარღვნის მოვლენა!  
მისაც მიუძღვის ცოდვა, აჰკიდე მას ცოდვა მისი!  
მისაც მიუძღვის დანაშაული, აჰკიდე მას დანაშაული  
მისი!

დასთმე, იყავ სულ-გრძელი,  
რათა იგი<sup>64</sup> არ წარწყმდეს და არ აღმოიფხვრას!  
წარღვნა რომ წარავლინე,  
ნაცვლად ამისა აღმდგარიყო ლომი და შეემცირე[ხ]ია  
კაცობრიობა!

წარღვნა რომ წარავლინე,  
ნაცვლად ამისა აღმდგარიყო მგელი და შეემცირებია  
კაცობრიობა!

წარღვნა რომ წარავლინე,  
ნაცვლად ამისა გაჩენილიყო შიმშილი და  
გაენადგურებია ქვეყანა!

წარღვნა რომ წარავლინე,  
ნაცვლად ამისა აღმდგარიყო ირა<sup>65</sup> და  
გაენადგურებია ქვეყანა!

მე არ გამოცია საიდუმლო ღმერთთა:  
შგონიერეს<sup>66</sup> სიზმარი მოვუვლინე,  
ამით სცნო მან საიდუმლო ღმერთთა.

აჰა, ახლა გარდაუკვეთე მას<sup>67</sup>!»

რ

მაშინ შთამოვიდა იგი<sup>68</sup> ხომალდში,  
მომკიდა ხელი, გამომიყვანა ხმელეთზედ –  
ბამომიყვანა ხმელეთზედ  
და ცოლსა ჩემსა ჩემ გვერდით მუხლნი მოადრეკინა,  
შეახო ხელი შუბლსა ჩვენსა,  
ჩაგვიდგა შუაში და გვაკურთხა:  
«აქამომდე იყო შტ-ნაფიშტი მხოლოდ კაცი,  
ამიერიტგან შტ-ნაფიშტი და ცოლი მისი  
ბვემსგავნენ ჩვენ, ღმერთთა!  
შორსა ცხოვრობდეს შტ-ნაფიშტი,  
მდინარეთა შესართავთან!»

რ

წამიყვანეს, შორს დამასახლეს, მდინარეთა  
შესართავთან.  
ხოლო შენ<sup>69</sup> რომელმა ღმერთმა უნდა მიგიღოს,  
რათა იხილო შენცა ცხოვრება, რომელსა ეძიებ?  
არ დაწვე ექვს დღესა და ექვს ღამეს!“



## რ

მოსვენებით ზის იგი<sup>70</sup>, ძილი უბერავს, ვითა გრიგალი.

უტ-ნაფიშტი ეუბნება ცოლს:

„შეხედე ამ ძლიერს, ცხოვრებას რომ ითხოვდა:

ძილი უბერავს, ვითა გრიგალი!“

ცოლი მიუგებს მას, უტ-ნაფიშტის, შორეულსა:

„შეახე ხელი, რომ გაიღვიძოს კაცმა!

მშვიდობითამც უკან მიქცეულა იგი იმ გზით,

რომლით მოვიდა,

შესულა იმ კარში, სადგან გამოსულა,

დაბრუნებულა თვის ქვეყანაში!“

უტ-ნაფიშტი ეუბნება ცოლს:

„ბაცთა მწუხარება გაწუხებს შენცა!

ბარგი, გამოაცხვე პურები, შეუდევ თავქვეშ!“

## რ

მდეს დაწვა იგი<sup>71</sup> თვისი ხომალდის კედელთან,

ბამოაცხო ცოლმა პურები,

შეუდვა თავქვეშ ბილგამეშს.

მდეს დაწვა იგი<sup>71</sup> თვისი ხომალდის კედელთან

«აუწყა» მას<sup>72</sup>:

მრთი გამხმარია, ერთი პური მისთვის,  
მეორე ამოდებული, მესამე რბილი,  
მეოთხე გათეთრებული, ერთი კვერი მისთვის,  
მესუთე დაძველებული, მეექვსე გამომცხვარა,  
მეშვიდე – უცბად შეახო მან ხელი გილგამეშ,  
და კაცმა გაიღვიძა<sup>73</sup>.

ბილგამეშ ეუბნება მას, შტ-ნაფიშტის, შორეულსა:  
„ძილისაგან ვიყავ გაბრუებული, ძილი მომეკიდა.

შუცბად ხელი შემახე და ძილისაგან განვკრთი.“

შტ-ნაფიშტი ეუბნება მას, ბილგამეშს:

„ბილგამეშ, დათვლილია შენი პურები,

რაც მოხდა, იცოდე:

მრთი იყო გამხმარი, ერთი პური შენთვის,

მეორე ამოდებული, მესამე რბილი,

მეოთხე გათეთრებული, ერთი კვერი შენთვის,

მესუთე დაძველებული, მეექვსე გამომცხვარი,

მეშვიდე – უცბად შეგახე ხელი და შენც გაიღვიძე.“

ბილგამეშ ეუბნება მას, შტ-ნაფიშტის, შორეულსა:

„რა ვქნა, შტ-ნაფიშტი, სად წავიდე?

სხეული ჩემი მტაცებელს<sup>74</sup> შეუპყრია,

საწოლსა ჩემსა სიკვდილი ბუდობს,

სადაც გავიქცევი, იგიც აქ არის, – სიკვდილი!“

რ

უტ-ნაფიშტი ეუბნება ურ-შანაბის, მენავესა:

მისადგომელსა<sup>75</sup> შენ სძულხარ,

ბარდასავალსა<sup>75</sup> აღარ უყვარხარ:

ვინც მის ნაპირზედ მიდის, მას წარსტაცე შენ

ნაპირი მისი?<sup>76</sup> ...

ძაცი, აქ რომ მოიყვანე, რომლის სხეულსა ძონძები

ჰტარავს,

რომელს ტყავებმა წაართვა შვენიერება სხეულისა,

წარიყვანე იგი, ურ-შანაბი, მიიყვანე სარეცხ ადგილს,

რათა ძონძები თვისის წყალში თოვლივით

გაათეთ[როს,

ბანიძროს ტყავები და გაატანოს ზღვას,

შვენიერ-ჰყოს სხეული თვისი,

ბანახლდეს თავ-საბურავი მისი,

ჩაიცვას სამოსი, ვითა პერანგი,

ღამფარველი მისის სიშიშვლისა.

სანამ არ მიადწევს თვისსა ქალაქსა,

სანამ არ განივლის გზასა თვისსა,

ბრუნდა დაძველდეს სამოსელი მისი,

ბრამედ მარად განახლდებოდეს!”

რ

შრ-შანაბიმ წარიყვანა იგი, მიიყვანა სარეცხ ადგილს.  
ძონძები თვისი განრეცხა მან წყალში,  
ბანათეთრა ვითარცა თოვლი,  
ბანიძრო ტყავები და გაატანა ზღვას.  
ბანშვენიერდა სხეული მისი,  
ბანახლდა თავ-საბურავი მისი,  
ჩაიცვა სამოსი, ვითა პერანგი,  
ღამფარველი მისი სიშიშვლისა.  
სანამ არ მიაღწევს თვისსა ქალაქსა,  
სანამ არ განივლის გზასა თვისსა,  
არ უნდა დაძველდეს სამოსელი მისი,  
არამედ მარად განახლდებოდეს!

რ

ბილგამეშ და შრ-შანაბი ჩასხდნენ ხომალდში,  
მისცეს ხომალდი აღელვებულ ტალღებს, გასწიეს.  
ცოლი ეუბნება შტ-ნაფიშტის, შორეულსა:  
„ბილგამეშ მიდის შრომისა და ზრუნვის შემდეგ.  
რომელი შენგან მიცემული ნიჭით უბრუნდება იგი  
სამშობლოს?

ბილგამეშმა აღიღო ძელი, ხომალდი ნაპირს  
უახლოვდება.“

შტ-ნაფიშტიმ უთხრა მას, ბილგამეშს:

„ბილგამეშ, მიდიხარ შრომისა და ზრუნვის შემდეგ.

რომელი ჩემგან მოცემული ნიჭით უბრუნდება  
სამშობლოს?

მე შენ გაუწყებ ერთს საიდუმლოს, გასწავლი  
ცხოვრების ბალახს:

შითა ეკალი ბალახი ესე აბია ჩირგვსა.

მსგავსად ვარდისა ეკალი იგი სჩხვლეტავს ხელსა.

ხელნი შენნი რომ მისწვდებიან ბალახს –

იგი იქმნება, და შენ იცხოვრებ!“

## რ

რა ესმა ბილგამეშს, მიიბა ფერხთა მძიმე ლოდები.

მათ უფსკრულის ძირს ჩაიყვანეს იგი.

მან მოჰკლიჯა ბალახი, ხელს რომ უჩხვლიტა,

მოიძრო ფერხთაგან მძიმე ლოდები; გვერდით დაიდვა  
იგი<sup>77</sup>.

ბილგამეშ ეუბნება მას, შრ-შანაბის, მენავესა:

„შრ-შანაბი, ეს ბალახი აღთქმის ბალახია,

რაათაჲ კაცი თვისს უგ ულითადესს წადილს მიაღწევს.

მივიტან მას გალავნიან ურუკს, ვაჭმევ ერსა...

სახელი მისი არს: «**მოხუცი კაცი გაყმაწვილდების**».

მეცა ვსჭამ მისგან, რათა კვლავ დავუბრუნდე

სიწყმაწვილესა.“

## რ

ოცი მანძილი განვლეს, სჭამეს პური,

ოცდაათი მანძილი განვლეს, დაიღამეს.

ბილგამეშმა დაინახა ჯურღმული ცივის წყლისა,

ჩავიდა შიგ, იწყო ბანვა ტანისა.

ბველმა იყნოსა სუნი ბალახისა,

მყისვე ავარდა და წარიტაცა იგი!

## რ

ოდეს დაბრუნდა ბილგამეშ, წყევა აღმოხდა.

ღაჯდა გილგამეშ ტირილად,

ცრემლის ჩამოდის სახეზედ.

იგი ეუბნება შრ-შანაბის, მენავესა:

„ვისთვის დაშვრენ, შრ-შანაბი, ხელნი ჩემნი?

ვისთვის შრება სისხლი ჩემის გულისა?

ჩემთვის კეთილი არა მიქნია რა!..

ღავადღებ ხომალდს ნაპირზედ (?)!“ ...

რ

მცი მანძილი განვლეს, სჭამეს პური,

მცდათი მანძილი განვლეს, დაიღამეს.

მივიდნენ გაღავნიან შრუკს.

ბილგამეშ ეუბნება მას, შრ-შანაბის, მენავესა:

„ბდი, შრ-შანაბი, გაღავნიან შრუკის კედელზედ,  
შემოუარე,

ნახე საძირკველი, იხილე აგურები:

თუ განუახლებიათ აგურები,

თუ შვიდ ბრძენს ჩაუყრია ფუძენი მისნი<sup>78</sup>.“

გილგამეშმა მიზანს მაინც ვერ მიაღწია: ვერ მოიპოვა უკვდავება. ამიტომ მის საგმირო საქმეებზედ აღარაფერს მოგვითხობს ამის შემდეგ ეპოსი.

## კარი მეთორმეტე

გილგამეშს სურს სული მაინც იხილოს თვისის მეგობრის  
ენკიდუსი და შეიტყოს მისგან საიქიოს ამბები. ერთი ღმერთი  
ასწავლის, თუ როგორ უნდა მოიქცეს, რომ მიზანს მიაღწიოს:

„ზილგამეშ, ისმინე, რაც გითხრა:

თუ ქვესკნელს გინდა შთახვიდე,  
ირკალას წმინდა ადგილს მიაღწიო,  
არ ჩაიცვა წმიდა პერანგი,  
ძარგი ნელსაცხებელი არ იცხო

სანელსაცხებლითგან,

თვარა მის სუნზედ მკვდრები შემოგეხვევიან.

არ დასდვა შვილდი მიწაზედ,

თვარა მკვდრები შვილდით მოგკლავენ.

არ აღილო კვერთხი ხელში,

თვარა მკვდართა სულნი შენს წინაშე ძრწოლას

მორთავენ.

ფერხთ არ ჩაიცვა, მიწაზედ ხმაურობა რომ არ

ასტეხო.

ცოლს, რომელი გიყვარს, არ აკოცო,

ცოლს, რომელი გძულს, არ სცემო,

შვილს, რომელი გიყვარს, არ აკოცო,



შვილს, რომელი გძულს, არა სცემო,  
თვარა კენესა ქვესკნელისა შეგიპყრობს.  
თვარა იქ რომ განისვენებს, იქ რომ განისვენებს  
ღედა ნინაზუესა<sup>79</sup>, იქ რომ განისვენებს,  
რომლის წმიდათა თეძოთ სამოსელი არა ჰფარავს,  
იგი არ ამოუშვებს მსკიდულს ქვესკნელითგან.“

## რ

გილგამეშ ვერ ასრულებს ამ პირობებს, რათგანაც:

წმიდა პერანგი ჩაიცვა მან,  
ძარგი ნელ-საცხებელი იცხო სანელსაცხებლითგან,  
შვილდი მიწაზედ დადვა,  
ძვერთხი აღილო ხელში,  
შერხთ ჩაიცვა და მიწაზედ ხმაურობა ასტეხა,  
ცოლს, რომელი უყვარდა, აკოცა,  
ცოლს, რომელი სძულდა, სცემა,  
შვილს, რომელი უყვარდა, აკოცა,  
შვილს, რომელი სძულდა, სცემა,  
ძენესამან ქვესკნელისამან შეიპყრა იგი.  
იქ რომ განისვენებს, აქ რომ განისვენებს,  
ღედამ ნინაზუესამ,

რომლის წმიდათა თეძოთ სამოსელი არა ჰფარავს,  
არ ამოუშვა მნკიდუ ჭვესკნელითგან.  
ნამტარს<sup>80</sup> კი არ შეუპყრია იგი,  
შბედურებას კი არ შეუპყრია იგი,  
ჭვესკნელმან შეიპყრა იგი!  
ნერგალის<sup>81</sup> მცველს<sup>82</sup> კი არ შეუპყრია იგი,  
შეუბრალებელსა,  
ჭვესკნელმან შეიპყრა იგი!  
ბრძოლის ადგილს, ვაჟ-კაცთა შორის კი არ  
დაცემულა იგი,  
ჭვესკნელმან შეიპყრა იგი!  
სტირის წინ-სუნ, სტირის მნკიდუს, ყმასა თვისსა.

## რ

მკურს, მნლილის ტაძარს, მიაშურა მან<sup>83</sup>,  
მარტომან:  
„მამაო მნლილ, ერთ დღეს ბადემ დამცა, მახემ  
[დამცა.

მნკიდუ, რომელი წინაზუჟს ღედამ  
ჭვესკნელითგან არ ამოუშვა,  
ნამტარს კი არ შეუპყრია,

შბედურებას კი არ შეუპყრია,  
ჭვესკნელმან შეიპყრო იგი!  
ნერგალის მცველს კი არ შეუპყრია იგი,  
შეუბრალებელსა,  
ჭვესკნელმან შეიპყრა იგი;  
ბრძოლის ადგილს, ვაჟ-კაცთა შორის კი არ  
დაცემულა იგი,  
ჭვესკნელმან შეიპყრა იგი!“  
მამა მწლილმა მას ხმა არ გასცა.

## რ

„მამაო, სინ, ერთ დღეს ბადემ დამცა, მახემ დამცა.  
მწკიდუ, რომელი წინაზუჟს დედამ  
ჭვესკნელითგან არ ამოუშვა,  
ნამტარს კი არ შეუპყრია,  
შბედურებას კი არ შეუპყრია,  
ჭვესკნელმან შეიპყრა იგი!  
ნერგალის მცველს კი არ შეუპყრია იგი,  
შეუბრა[ლებელსა,  
ჭვესკნელმან შეიპყრა იგი!  
ბრძოლის ადგილს, ვაჟ-კაცთა შორის, კი არ  
და[ცემულა იგი,

ჭვესკნელმან შეიპყრა იგი!“  
მამა სინმა მას ხმა არ გასცა.

რ

„მამაო მა, ერთ დღეს ბადემ დამცა, მახემ დამცა,  
მნკიდუ, რომელი ნინაზუას დედამ  
ჭვესკნელითგან არ ამოუშვა,  
ნამტარს კი არ შეუპყრია,  
შბედურებას კი არ შეუპყრია,  
ჭვესკნელმან შეიპყრა იგი!  
ნერგალის მცველს კი არ შეუპყრია იგი,  
შეუბრა[ლებელსა,  
ჭვესკნელმან შეიპყრა იგი!  
ბრძოლის ადგილს, ვაჟ-კაცთა შორის კი არ  
და[ცემულა იგი,  
ჭვესკნელმან შეიპყრა იგი!“

რ

მამა მამ ისმინა სიტყვა ესე მისი.  
ბმირ ნერგალს, გულადს, ეუბნება იგი სიტყვას:  
„ბულადო, გმირო ნერგალ, ჰქმენ, რასცა გეტყვი!

მყისვე გახსენ ხერელი მიწისა!  
აღმოავლინე ქვესკნელითგან აჩრდილი მნკიდუსი,  
რათა აუწყოს ძმასა თვისსა  
წესი და განგება ქვესკნელისა!“

რ

ოდეს ისმინა ესე გულადმან, გმირმან,  
მყისვე გახსნა ხერელი მიწისა.  
მნკიდუს სული ქვესკნელითგან აღმოავლინა  
ვითარცა ქარი...

რ

ენკიდუ და გილგამეშ ურთი-ერთს ნახვენ. გილგამეშ ჰკითხავს:

– მითხარ, მეგობარო, მითხარ, მეგობარო,  
მითხარ წესი და განგება ქვესკნელისა, რომელი  
იხილე, მითხარ!  
– შერ გეტყვი, მეგობარო, ვერ გეტყვი.  
რომ გითხრა წესი და განგება ქვესკნელისა, მე რომ  
ვიხილე,  
მთელი დღე უნდა იჯდე და იტირო!  
– მთელი დღე დავჯდები და ვიტირებ!

– შეჰხედე, ამ სხეულს, შენ რომ შეხებიხარ და გული  
გაგზარებია,

ჰია ჰზრავს, ვითა ძველს სამოსელსა!

სხეული ჩემი, შენ რომ შეხებიხარ და გული  
გაგზარებია,

ბანქრა, გაცამტვერდა!

მტვერშია იგი განრთხმული, მტვერშია იგი  
განრთხმული!

გაგრძელება საუბრისა დაკარგულია, დასასრულიდა დარ-  
ჩენილი.

მნკიდუ ეუბნება გილგამეშს:

– შინც რკინის სიკვდილით მომკვდარა, გინახავს  
ასეთი?

– შინახავს.

– სარეცელზედ წვეს იგი, წმიდა წყალსა სვამს.

– შინც ბრძოლაში მომკვდარა, გინახავს ასეთი?

– შინახავს.

– შამას და დედას უსვენიათ თავი მისი, ცოლი  
თავზედ დასცქერის.

– მისი გვამი ველზედ ყოფილა დაგდებული, გინახავს  
ასეთი?

– მინახავს.

– მისს სულს მოსვენება არა აქვს ქვესკნელში!

– მის სულს მზრუნველი არა ჰყოლია, გინახავს  
[ასეთი?

– მინახავს.

– ჭოთანში მონარჩენს, ქუჩაზედ გადაყრილ ლუკმას  
სჭამს იგი!



## ზენიზენი

1. ბაბილონეთის რომელმა ეროვნულმა ელემენტმა შექმნა ეს კიკლოსი თქმულებათა? – აქ დაბეჭდილი ვერსია სემიურ-ბაბილონურია, – ასსურული ვერსია, გადაწერილი უძველეს ტექსტთაგან მეშვიდე საუკუნეში ქრ. წ., და შევსებული სხვა, უძველეს ვერსიათა ნაწყვეტებითა. აკკადური ვერსიები ეკუთვნის მეორე ათასწლეულის შუა ხანას ქრ. წინ და მესამე ათასწლეულის დასაწყისს. ასსურულ ვერსიაში მოხსენებულნი რკინა და ცხენი, რომელთაგანაც პირველი ცნობილია ბაბილონეთში მხოლოდ XI–X ს. გარდამავალ ხანითგან და მეორე ალბათ კასსიტების დინასტიის დამკვიდრებისას, ე. ი. მე-XVIII ს. ქრ. წინ შემოვიდა ბაბილონეთში, რასაკვირველია ვერ უარჰყოფენ გილგამეშის ეპოსის დიდ სიძველეს, რათგანაც ერთიცა და მეორეც შემდეგ არის ეპოსში, ხოლო უძველესი სახე ეპოსისა ალბათ არ იხსენიებდა არც ცხენსა და არც რკინას. სავსებით რომ იყოს დაცული ძველი აკკადური ვერსია მისი, ცხენისა და რკინის მაგივრად ალბათ იქ ვირსა (ანუ ჯორსა) და რვალს შევხვდებოდით. სამაგიეროდ ეპოსში არ იხსენ-



ნიება ღმერთი მარდუკ, უპირველესად სრულიად უმნიშვნელო ადგილობრივი ღმერთი ქალაქ ბაბილონისა, რომელიც ბაბილონეთის უმთავრეს ღმერთად იქცა მის შემდეგ, რაც ბაბილონი გახდა ამ სამეფოს სატახტო ქალაქად, ე. ი. ჰამურაბის ეპოქაში, მიახლოვებით მე-XX-ე საუკუნეში ქრ. წინ. ეს კი მნიშვნელოვანი საბუთია იმისა, რომ ეპოსის შექმნა ამ ეპოქის წინა დროს ეკუთვნის, ხოლო რომელ დროს? – იმ დროს როდესაც ბაბილონეთში ბატონობდა სემიელთა კულტურა, თუ იმ დროს, როდესაც სუმერი იყვნენ პატრონი მისნი?

პირველ აღმომჩენთ მართლაც ეგონათ, რომ შემომქმედნი ეპოსისა სემიელი ბაბილონელები იყვნენ. მაგრამ გავიდა დრო და აღმოჩნდა სუმერული წარმოშობა ამ ქმნილებისაც, როგორც აღმოჩნდა სუმერული წარმოშობა შესაქმისა და სხვა ბაბილონურ თქმულებათა. – გერმანელმა ასირიოლოგმა Poebel-მა აღმოაჩინა ამ ათიოდე წლის წინად ამერიკაში ნიპურითგან<sup>84</sup> ჩამოტანილ ტექსტებში წარღვრისა და შექმნის თქმულებათა სუმერული ვერსია და შეიძლება შემდეგ აღმოჩნდეს სუმერული ვერსია მთელის გილგამეშის ეპოსისა.

ახლად აღმოჩენილ სუმერულ ტექსტში აღწე-  
რილია დასაბამი ქვეყნისა, რომელსაც განაგებდენ  
ლმერთნი ანუ, მნლილ, მნკი (სამება: ცა, მიწა და  
წყალი) და ნინხარსაგგა, ქალ-ლმერთი, დედა ლმერთ-  
თა და ყოვლისა სულიერისა. იგინი ჰქმნიან კაცს სა-  
დიდებლად ლმერთთა, ჰქმნიან ცხოველებს, ჰქმნიან  
კაცთა სამეფოს, ხუთს წარღვნის-წინა ქალაქსა და სხვ.,  
მაგრამ ლმერთნი გადასწყვეტენ კაცობრიობის მოს-  
პობას წარღვნით. ნინტუ, ქალ-ლმერთი, მშობელი  
კაცთა, წინააღმდეგია ლმერთთა ასეთის სიმკაცრისა.  
სუმერული ტექსტი მოგვითხრობს:

მაშინ ივილა ნინტუმ, ვითარცა მშობიარემა.  
მალამა ინანამ<sup>85</sup> მორთო გოდება თვისის ერისათვის.  
ენკიმ თვის გულში რჩევა დაიწყა.  
ანუ, ენლილ, ენკი და ნინხარსაგგა ბჭობად ისხდენ.  
ლმერთნი ცისანი და ქვეყანისანი ჩიოდნენ წინაშე ანუსი და

ენლილისა.

მაშინ ცი-უსულუმ<sup>86</sup> იგი მეფე და მღვდელთ-მთავარი.  
დიდა მსხვერპლთა შესწირვიდა იგი ლმერთსა<sup>87</sup>,  
თაყვანსა სცემდა მას,  
გოდებდა სინანულითა,  
აღსავე იყო შიშითა წინაშე ლმერთთა,  
მარადის კეთილად მსახურობდა მათ.  
შელოცვა სახელითა ცისათა და ქვეყანისათა საჭმე იყო მისი.  
წმიდა ადგილს ლმერთთა კედელი იყო აღ შენებული.

ცი-უსულუ მითაზლოვდა მას<sup>88</sup> და ესმა ხმა ღმრთისა:

«მიდი კედელთან მარცხნივ ჩემისა, და ისმინე!

კედელთან გეტყვი სიტყვას.

ღვთის მოშიშო მონაო, ჩემო, ისმინე!

სახელითა ჩვენისათა წარღვნა მოსაპობს ჭეყანასა.

აღმოუხრა კაცის თესლის, დათრგუნვა ჭეყნისა გარდასწყვიტა  
ღმერთთა კრებულმან».

ამოვარდენ ქარნი ძლიერნი,

მათთან ერთად მძინვარებდა განმანადგურებელი წარღვნა.

შვიდს დღესა და შვიდს ღამეს რომ მძინვარებდა წარღვნა

ჭეყანაზედ

და დიდი კიდობანი თვალ-გარდუწვედენელ წყალზედ

ტალღებისაგან მიმოიტაცებოდა,

შემდგომად ამისა გამოვიდა მზე და განანათლა ცა და ჭეყანა.

ცი-უსულუმ განალო სარკმელი დიდის კიდობნისა,

შეუშვა დიდ კიდობანში ნათელი გმირის უტუსი<sup>89</sup>.

ცი-უსულუმ მეფე პირ-ჭვე დაემხო წინაშე უტუსი.

მეფემ დაჰკლა ხარი, შესწირა მსხვერპლად მრავალი ცხვარი...

ცი-უსულუმ პირ-ჭვე დაემხო წინაშე ანუსა და ენლილისა.

ვითარცა ღმერთსა უკვდავება მიანიჭეს მას ღმერთებმა.

საუკუნო ცხოვრება, ვითარცა ღმერთსა, მიანიჭეს მას.

შორეულ ჭეყანაში, დიღმუნის<sup>90</sup> ჭეყანაში, წმიდა ადგილს

დასახლეს იგი.

სუმერულ შემოქმედებასთან გვაქვს აქაც საქმე:  
სუმერულია წარღვნის თქმულება, როგორც თქმუ-  
ლება შექმნისა და მრავალი სხვა რამ ბაბილონის  
კულტურაში. შორს წაგვიყვანდა ამაზედ სიტყვის გან-

გრძობა, მხოლოდ ერთს შევნიშნავთ: კარგი ხანია დავრწმუნდით, რომ სუმერთა ენა მონათესავეა ქართული ენისა და სუმერთა ერი გამონაყოფი ყოფილა იმ რასისა, რომელიც უძველესს დროს სახლობდა მცირე აზიაში, შუა-მდინარის ქვეყანაში, სომხეთში, შეიძლება კავკასიაში და სხვაგანაც. სამხრეთ ბაბილონეთში გადასახლებულმა სუმერებმა რა ჩაიტანეს ძველი სამშობლოთგან ახალ სამშობლოში, არ ვიცით – შეიძლება ლურსმული წერილი მაინც –, მაგრამ ვიცით, რომ ახალ სამშობლოში შექმნეს მათ ძლიერი კულტურა, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია მთელის აღმოსავლეთის კულტურაზედ და აქეთგან მთელის კაცობრიობის კულტურაზედაც. ერთია ის რასა, რომელსაც შეუქმნია შექმნისა და წარღვნის თქმულებანი და „ვეფხისტყაოსანი“. დიდი დრო სძევს მათ შუა. ერთნი ეკუთვნიან არა უგვიანესს ხანას, ვიდრე მესამე ათასწეულს ქრ. წ., მეორე მე-XII-ე საუკუნეს ქრ. შემდეგ, მაგრამ განსაკვირებელიც ის არის, რომ ათასეულთა განმავლობაში არ დაშრეტია შემოქმედების ნიჭი ამ საკვირველს, უძველესს მოდემას კაცობრიობისა.

2. რაოდენ რას არ გვაგონებს გილგამეშის ამბავი – რაოდენ ზღაპარს, თქმულებას, უკვდავ თხზუ-

ლებას მსოფლიო მწერლობაში? მხოლოდ ცოტა რამ მოვიგონოთ აქ, რათგანაც აღრიცხვა „გილგამეშიან“-ის ელემენტთა სხვა და სხვა ერთა თქმულებებში და მწერლობაში ძლიერ შორს წაგვიყვანდა; ხოლო კარგის ხნითგან არის „გილგამეშიანი“ სპეციალურ კვლევათა საგნად ქცეული და ეს კვლევა დღესაც გრძელდება მნიშვნელოვან შედეგებითა.

ოდისსევსის შთასლვა ქვესკნელს, იქ ნახვა დედისა და მეგობართა, აღწერა ამ უკანასკნელთა მიერ ჯოჯოხეთში შთასულ სულთა ცხოვრებისა, ახილევსის ჭმუნვით აღსავსე ჩივილი – მზის სინათლეზედ დღიურ მუშად ყოფნა მირჩევნია ბნელეთის სულელებზედ მეფობასაო, – ერთის მხრით და ენკიდუს სიზმარში აღწერილი ბნელი ქვესკნელისა და იქ შთასულ სულთა აჩრდილის მსგავსი ცხოვრება, უტ-ნაფიშტის მიერ ნათქვამნი საშინელებანი სიკვდილისა, ქვესკნელითგან აღმოსულ ენკიდუს სულის მიერ ნაამბობი იქ მცხოვრებ სულელებზედ, – მეორეს მხრით, ემსგავსებიან ურთი-ერთსა, და ცხადია, ბაბილონურ წარმოდგენას ჯოჯოხეთზედ გავლენა მოუხდენია ბერძენთა რელიგიურ წარმოდგენებზედ. აქ უნდა იყოს პირდაპირი გავლენა გილგამეშის ეპოსისა, რომელიც მთელს წინააზიაში იყო გავრცელებული.

იგი, როგორც ახლა აღმოჩნდა, თარგმნილი იყო ბაბილონური თვითგან უცხო ენებზედ — მაგ. ერთ ინდო-გერმანულ და ერთ არა-ინდოგერმანულ ხეთურ ენაზედ<sup>91</sup>, და ბერძენთა ყურამდისაც მიღწეული. ბაბილონური თქმულებანი ჩაექსოვენ ბერძნულთ, შეცვლილ იქმნენ შემდეგ ბერძენთა დიდი სიტყვის-ხელოვანთაგან, განშვენიერებულნი მათ მიერ, ეროვნულად ნამღერნი და დიდ ეპოსთათვის გამოყენებულნი, მაგრამ პირველ-ყოფილი ბაბილონური ელემენტები მაინცა სჩანს „ოდისსეა“-ში და „ილიადაში“. თვით განეტარებას უტ-ნაფიშტისა — მის მიერ უკვდავების მოპოვებას — ამასაც ხომ თვისი პარალელური აქვს ბერძენთა სარწმუნოებაში: მენელაოსს სიცოცხლეშივე დაჰპირდა პროტეუს, რომ იგი ელიზიოს ველზედ განისვენებდა საუკუნოდ, — შორს ქვეყნის საზღვარზედ, საუკუნო ნათელში, — ნეტარი. იქვე ცხოვრობდენ გმირი რადამანტის და სხვა რჩეულნი სულნი, რომელნიც სიცოცხლეშივე გახდენ ღირსნი სიკვდილის შემდეგ სამოთხეში განეტარებისა. უდიდესი ნაწილი სულთა კი ჯოჯოხეთში მიდიოდა, — არა სასჯელისათვის, არამედ როგორც ბუნებრივ სავანეს სულთა საუკუნო განსვენებისა. და ძლიერ ემსგავსება ბერძენთა ელიზიოს უტ-ნაფიშტის საცხოვრებელ

ადგილს: იგი არ არის საიქიო, მაგრამ არც სააქაო: ქვეყნის საზღვარზედ არის იგი, მხოლოდ უზვად მიმადლებულ კაცს წარიტაცებდენ ხოლმე იქ ღმერთები. სული ისევ ხორცთან იყო, განუყრელი მისგან, გადარჩენილი ერებოსის მიერ შთანთქმას, – უკვდავად ქცეული, – განეტარებული, როგორც ასეთი ბედი ეწია უტ-ნაფიშტის; ხოლო საზოგადო კანონი სულთა ჯოჯობეთში შთასლვა იყო როგორც ბაბილონელთა, ისე ბერძენთა წარმოდგენით, და უტ-ნაფიშტი, რადამანტის და სხვანი გამონაკლისნი იყვნენ კაცთა შორის, მიმადლებულნი ღვთაებათა მიერ, ნეტარნი<sup>92</sup>, – და კიდევ მრავალია ელემენტი „გილგამეშიან“-ისა „ოდისსეა“-ში და „ილიადა“-ში, რაზედაც აქს იტყვასვერგან ვაგ ვაგრძობთ<sup>93</sup>.

3. აღნიშნავთ მხოლოდ ერთ საკვირველ მსგავსებას „გილგამეშიან“-ისა და „ოდისსეა“-ს შორის: თვით დასაწყისნი ამ ეპოსთა ემსგავსებიან ურთიერთსა:

მიმღერე, მუზაო, კაცი ღიად-გამოცდილი, რომელმან

ფრიად ბევრი იმგზავრა,

ღათრგუნა რა წმიდა ქალაქი ტროასი;

ბევრ კაცთა ქალაქნი ნახა მან და ისწავა წესნი მათნი;

ბევრი გამოუთქმელი ჭირი იხილა მან ზღვაში,

რომ ეხსნა სული თვისი და შინ დაებრუნებია

ამხანაგნი თვისნი და სხვ. – ასე იწყება „ოდისეა“ და ეს დასაწყისი მოგვაგონებს „გილგამეშიან“-ის შესავალსა. რასაკვირველია, „ოდისეა“-ს შესავალი ისეა დაწყებული, როგორც შეეფერება მთელს მისს შინაარსს. მაგრამ ფორმა დასაწყისისა „გილგამეშიან“-ისა და უმთავრესის გმირის დახასიათებაც გილგამეშის დახასიათებასა ჰგავს. ხოლო ჩვეულება, რომელიმე ცნობილი თხზულების გამოთქმა განემეორებიათ მწერლებს მათ თხზულებებში, ხშირად შეუცვლელადაც კი, ძლიერ იყო გავრცელებული ბერძნულ და რომაულ მწერლობაში. ხშირად ისტორიულ თხზულებებში გვხვდება მსგავსი მოვლენა, კიდევ უფრო უხვად გეოგრაფიულ აღწერებში: ერთი მწერალი ისევე ახასიათებს რომელიმე ქალაქს, ქვეყანას, ტომს, როგორც მის მიერ წაკითხული მწერალი რომელიმე სხვა ქალაქს, ქვეყანას, ტომს. თანამედროვე მკვლევარის კრიტიკული ყურადღება ამიტომ ძლიერ ფხიზლად უნდა იყოს, რომ ასეთმა მოვლენებმა შეცდომაში არ შეიყვანოს. ედუარდ ნორდენმა ბევრი მაგალითი აღნიშნა ასეთ სამწერლო ჩვეულებისა, როდესაც მან განარჩია წყარონი, შემცველნი გერმანელებზედ ცნობათა ბერძნულ და ლათინურ ენებზედ<sup>94</sup>. და შესაძლებელია, რომ ფორმა „გილგამეშიან“-ის დასაწყ-



ისისა ბერძენ მელექსეთა ყურამდისაც მივიდა და მათ მიერ შეთვისებულ იქნა; ხოლო შემდეგ, როდესაც „ოდისეა“-ს წერა დაიწყო, ეს ფორმა, შეკეთებული და პოემის მთელს შინაარსთან შეხამებული, მანინც დარჩა ეპოსში ჩვენამდე მოღწეული სახითა.

4. თვით დანტეს ჯოჯოხეთი გვაგონებს „გილგამეშიან“-ის ქვესკნელს. მართალია, ჯოჯოხეთი დანტესი სულ სხვაა, ვიდრე ქვესკნელი ენკიდუსი და საზოგადოდ ბაბილონური საიქიო, რომელზედაც გარდა „გილგამეშიან“-ისა კიდევ სხვა ბაბილონური წყაროები გვაძლევენ წარმოდგენას. ბაბილონური ქვესკნელი განირჩევა აგრეთვე ჰომეროსის ქვესკნელისაგან, მაგრამ რაშიაც ემსგავსებიან ეს საიქიონი ურთიერთს, ეს მსგავსება შეტანილია ბერძენთა და ამ უკანასკნელთა გავლენით დასავლეთ ევროპიელთა წარმოდგენაში ძველ აღმოსავლეთითგან, სადაც იყო გავრცელებული ბაბილონური წარმოდგენა საიქიოზედ. ბაბილონურ ზეპირ-გადმოცემას, ენას, მწერლობას უდიდესი გავლენა ჰქონდა უძველეს დროითგან მთელს წინააზიაში. კვალი ამ გავლენისა დღესაც სჩანს მთელს კულტურულ კაცობრიობაში, როგორც აღმოსავლეთში ისე დასავლეთში. ელემენტები დანტეს წარმოდგენათა საიქიოზედ ერთი მხრით ჰო-

მეროსისაა, მეორე მხრით ეგვიპტური და სპარსულ-  
ებრაულ-ქრისტიანული – სააქაოს ცოდვისა და მად-  
ლისა. საიქიოს სასჯელისა და ჯილდოს იდეა ქრისტი-  
ან დანტესათვის ხელ-მძღვანელი იდეაა, მაშინ როდე-  
საც სუმერთა და სემიელთ ეს იდეა კიდევ უფრო  
სუსტად ჰქონდათ განვითარებული, ვიდრე ბერძენთ,  
მაგრამ ბაბილონური წარმოდგენა მაინც მოსჩანს  
დანტეს ჯოჯოხეთში, სადაც არიან პაპნი, მღვდელთ-  
მთავარნი, ხელმწიფენი ამა ქვეყნისანი – ცოდვათათ-  
ვის და აგრეთვე დიდნი პიროვნებანი წარსულ საუ-  
კუნეთა, თვით ჯოჯოხეთში განეტარებულნი, რათგა-  
ნაც იგინი სამოთხეში მოუნათლავნი ვერ შევიდოდენ  
ქრისტიან დანტეს წარმოდგენით. და ეს მსგავსია იმ  
ქვესკნელისა, რომელიც ენკიდუმ სიზმარში ნახა, სა-  
დაც ძირს ეწყვენ სკიპტრანი, გვირგვინი მფეფთ, სა-  
დაც ცხოვრობდენ ბატონნი ამა ქვეყნისანი, მღვდელ-  
თმთავარნი და სხვ...

5. მოვიგონოთ ჩვენი უკვდავი რუსთველის  
ქმნილებაცა, „ვეფხისტყაოსანი“: გაჭრა ტარიელისა  
ნესტანის საძებნელად. ცხოვრება მისი მხეცებთანა  
ვეფხისტყაოსნობა, ლომ-ვეფხისტყაოსნობა, კვება ნადი-  
რის ხორციითა – ეს ხომ გილგამეშის საქმეც იყო:

მაგრამ დავყარენ არენი მე კაცრიელთა თემთანი,  
სახლად სამყოფი მიმანდეს თხათა და მათ ირემთანი,  
გავიჭერ, სრულად დავსტყეპნე ქვე მინდორი და ზე მთანი-ო.

ხელი მინდორს გავიჭრები, ზოგჯერ ვსტირ და  
ზოგჯერ ვბნღები-ო.

მას აქათ ვახლაე ნადირთა, თავსა მათებრივ მსენები-ო,

ამბობს ტარიელ, ასმათი ეუბნება ტერიელს:

მხეტთა თანა იარები მარტო ტევრად,  
არა კაცსა არ იკარებ საუბრად და შემაქცევრად-ო.

ტარიელ ამბობს:

ვსთქვი, თუ ჩემგან არღარაა სიარული, ცული ცურვა,  
ნუ თუ მხეტთან სიარულმან უკუ-მყაროს გულსა ურვა-ო.

მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის ტყავისა.  
ვეფხის ტყავისა ქულივე იყო სარქმელი თავისა-ო,

აღწერს რუსთაველი ტარიელს.

რომე ვეფხი შეენიერი სახედ მისად დამისახავს,  
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მამისახავს-ო,

ამბობს ტარიელ, – ასმათმა გმირთა-გმირს ტარიელს

დაუგო ტყავი ვეფხისა, რომელ კვლავ მიწვივ ჰგებოდა-ო,  
და სხე...

ასეთი იყო ტარიელ, ველად გაჭრილი, მხეტთა  
ტყავით მოსილი და ნადირის ხორციით მსაზრდოებე-

ლი, მსგავსად გილგამეშისა. მოვიგონოთ აგრეთვე ძმად-შეფიცულობა ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონისა, განუსაზღვრელი მეგობრობა და სიყვარული მათი, მსგავსად გილგამეშ-ენკიდუხი და სხვ., მაგრამ, რასაკვირველია, რუსთაველმა გილგამეშისა არა იცოდა რა, როდესაც „ვეფხისტყაოსან“-ს სწერდა, როგორც არც დანტემ და არც „ოდისსეას-ს მმღერალმა არა იცოდენ რა მისი, – მხოლოდ მოტივებია მათსა და ბევრ სხვა ქმნილებებში გილგამეშური – უცხო, ბაბილონური, – შევადაროთ აგრეთვე ლოცვა ავთანდილისა ცის მნათობთადმი და ლოცვა გილგამეშისა შამაშისადმი, სინისადმი და იშტარისადმი – ღმერთთადმი, რომელნიც ბაბილონელთა წარმოდგენით ცის მნათობნიც იყვნენ:

შიმაველი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:

«აჰა, მზეო, გეაჯები, შენ, უმძლეთა მძლეთა მძლესა,

ვინ მდაბალსა გაამალლებ, მეფობასა მისცემ სვესა,

მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა.

შო, ზუღალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჳირი ჳირსა,

გული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც ზმირსა

შემამყარე კაეშანი, ტვირთი მძიმე, ვითა ვირსა,

მას უთხარ თუ: ნუ გასწირავ, შენია და შენთვის სტირსა.

ჰე, მუშთარო, გეაჯები შენ, მართალსა, ბრჭესა სრულსა,

შო და უყავ სამართალი, გაებრჭობის გული გულსა,

ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა,

მართალი ვარ, გამიკითხავ, რად მაწყლულებ მისთვის წყლულსა!

მოდით, მარინო, უწყალოდ დამპყრობო ლახვრითა შენითა,  
შეცამდებე და შემსვარე წითლად სისხლისა ღენითა,  
მას უთხრენ ჩემნი პატიჟნი, მას გააგონენ ენითა,  
რაგვარ გასრულვარ, შენ იცი, გული აღარ არს ლხენითა.

მოდით, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწყვა ცეცხლთა დაგითა,  
ვინ მარგალიტსა გარე შე მოსაეს ძოწისა ბაგითა.  
შენ დამაშვენებ კეკლუცთა და შენებითა მაგითა,  
ვისმე გლახ ჩემებრ დააგდებ, გახდი ცნობითა შმაგითა.

ოტარიდო, შენგან კიდე არვი მიგავს საქმე სხვასა:  
მზე მბარუნებს, არ გამიშვებს, შემიფრის და მიმცემს წვასა.  
დაჯდე წერად ჭირთა ჩემთა, მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა,  
კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა წვერილსა ვითა თმასა.

შო, მთვარეო, შემობრალე, ვილვეი და შენებრ ვმჭლდები,  
მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ესხვლდები, ზოგჯერ ვწვლდები,  
მას უამბენ სჯანი ჩემნი, რა მჭირს, ანუ რაგვარ ეზნდები.  
მიდი უთხარ, ნუ გამწირავს, მისი ვარ და მისთვის ვკვდები.

აჰა, მოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე შემოწმებთან,  
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებთან,  
მთვარე, ასპიროზ, მარინი მოვლენ და მოწმად მყვებთან,  
მას გააგონენ, რანიცა ცეცხლნი უშენოდ მდებთან»<sup>6</sup>.

გილგამეშურია ამ შევნიერ ლოცვაში მიმარ-  
თვა ცის მნათობთადმი, ბაბილონურია შეიდი ვარ-  
სკვლავი: მზე=შამაშ, მთვარე=სინ, ასპიროზ=იშტარ-  
=ვენუს, მუშთარ=მარდუკ=იუპიტერ, მარინ=ნერ-  
გალ=მარს, ზუალ=ნიმურტა=სატურნ, ოტარიდ=ნა-  
ბუ=მერკურ, მართალია მზისა და მთვარის გარდა

მნათობთა სახელნი უცხონი არიან: მუშთარ, ზუალ, მარიხ, ოტარიდ — არაბულ-სპარსული, ასპიროზ, ჰესეჯროს — ბერძნული; ეს სახელნი და შეიძლება შვიდი ვარსკვლავიც ბერძენ-არაბ-სპარსთა გავლენით იყვნენ გადმოსულნი ქართულში, ან შეიძლება შვიდი ვარსკვლავი დამოუკიდებლად ბერძენთა და არაბ-სპარსთა შუამდგომლობისა უძველეს დროითგან იყო ცნობილი ქართველთა შორის ბაბილონელთა შორეული გავლენით, რაიცა უფრო საფიქრებელია, ხოლო სპეციალური კვლევის საგანი, მაგრამ საყურადღებო აქ ის არის, რომ ბაბილონური ელემენტები და კერძოდ გილგამეშური მოტივი „ვეფხისტყაოსან“-შიაც არის, აღმოსავლეთის რომელ სამწერლო ნაკადთა გზითა და რომელ ხალხურ წარმოდგენათა გავლენითაც არ უნდა მიეღწიათ მათ უძველეს საქართველომდე და შემდეგ რუსთაველამდე.

დახასიათება მნათობ-ღვთაებათა რუსთაველს წმიდა ბაბილონური აქვს: მზე — უმძლეთა მძლეთა მძლე, მდაბლის აღმამაღლებელი და მეფობის მიმნიჭებელი; მთვარე — ყოვლად მოწყალე და შემბრალე ღვთაება; ზუალ-სატურნ, ღვთაება ჰემენის შემომყრელი, გულის შავად შემდეგველი, სიბნელის ღვთაება; მუშთარ — იუპიტერ, სრული ბრჭე და მოსამარ-

თლე; მარის – მარს. ლახვრის მატარებელი და წითელის ფერისა, ომის ღვთაება; ოტარიდ – მერკურ, ღვთაება წერისა, და, ბოლოს, ასპიროზ – ვენუს, სიყვარულისა და შვენიერების ქალღმერთი, ძლიერ ხშირად ვხვდებით ასეთ დახასიათებას მნათობ-ღვთაებათა ბაბილონურ, ასსურულ და უძველეს სუმერულ მწერლობაში.

და, ბოლოს, ჩვენ ზღაპართა მოტივები – ძებნა უკვდავებისა, რასაც „გილგამეშიან“-შიაც ვპოულობთ, ბრძოლა გველ-ვეშაპთან, რაიცა აგრეთვე ბაბილონური მოტივია, და სხვ, – ესეც უმჭველად გავკავშირებს ძველ ბაბილონეთთან.

6. უმთავრესის მნიშვნელობისა არის გავლენა „გილგამეშიან“-ისა – ეპოსში მოთხრობილ წარღვნის ამბავისა – ურიათა მწერლობაზედ. ცხადია, აქ უკვე „გავლენაზედ“, მოტივის შეთვისებაზედ კი აღარ შეიძლება მსჯელობა, არამედ მოსეს წიგნთა შემადგენელს პირდაპირ შეუტანია წიგნში ურიათა შორის გავრცელებული და მათ მიერ ბაბილონურ მწერლობითგან შეთვისებული ამბავი წარღვნისა, უტნაფიშტიმ გილგამეშს რომ უამბო. შევადაროთ ამ მოთხრობას ურიათა ნოეს მოთხრობა:

ხოლო იხილა რა უფალმან ღმერთმან, ვითარმედ განმრავ-  
ლდეს უსჯულოებანი კაცთანი ჭეყანასა ზედა, და ყოველი ვინ იგო-  
ნებს გულსა შინა თვისსა მისწრაფებით ბოროტთა ყოველთა დღე-  
თა; და შეინანა ღმერთმან, რამეთუ შეჰქმნა კაცი ჭეყანასა ზედა და  
განიზრახა, და თჳა ღმერთმან: აღზოცო კაცი, რომელი შევჰქმენ,  
პირისაჲან ჭეყნისა, კაცთაგან მიპირუტყვითადმდე, და ჭეე-წარმა-  
ველთაგან მფინველთადმდე ცისათა; რამეთუ შევინანე, რამეთუ  
შევჰქმენ იგინი. ხოლო ნოე პოვა მადლი წინაშე უფლისა ღვთისა...  
ნოე, კაცი მართალი, სრულ იყო ნათესავესა შინა მისსა, და სათნო  
ეყო ნოე ღმერთსა... და ჭეყანა განიხრწნა წინაშე ღვთისა და აღივ-  
სო ჭეყანა უსამართლოებითა. და იხილა უფალმან ღმერთმან ჭეე-  
ყანა, და იყო განხრწნილ, რამეთუ განხრწნა ყოველმან ხორციელ-  
მან გზა თვისი ჭეყანა ზედა. და თჳა უფალმან ღმერთმან ნოეს მი-  
მართ: აჴმი ყოვლისა ხორციელისა მოიწია წინაშე ჩემისა, რამეთუ  
აღივსო ყოველი ჭეყანა უსამართლოებითა მათგან; და აჴა მე გან-  
ვხრწნი მათ და ჭეყანასა. ჰქმენ უკვე თავისა შენისა კიღობანი ძელ-  
თაგან უღბოლველთასა ოთხ-კუთხედ; ბუდეებად-ბუდედ ჰქმენ იგი,  
და მოფისო იგი შინათ და გარეთ ნავითთა. და ესრეთ ჰქმნე კიღობა-  
ნი იგი: სამასი წყრთა სიგრძე კიღობნისა, ერგასის<sup>37</sup> წყრთა სიგრძე  
და ოცდაათი წყრთა სიმაღლე მისი. შეკრულ ჰყო კიღობანი, და  
წყრთეულად შეასრულო ზედა კერძო; ხოლო კარი კიღობნისა  
ჰქმენ იგურადი; ჭეენად საყოველად ორ სართულებად და სამ სარ-  
თულებად ჰყო. ხოლო მე მოვხადო რღვნა წყლისა ჭეყანასა ზედა,  
განხრწნად ყოვლისა ხორცისა, რომლის თანა არს სული სიცოცხ-  
ლისა ცისა ჭეეშე; და რაოდენიცა რაჲ არს ჭეყანასა ზედა, მოს-  
წყდეს; და დავამტკიცო აღთქმა ჩემი შენთანა. ხოლო შეხვიედ კი-  
ღობნად შენ, და ძენი შენნი, და ცოლი შენი, და ცოლნი ძეთა თენ-  
თანნი შენთანა. და ყოვლისაგან ჭეე-წარმავალთა და ყოველთაგან  
მხეტთა, და ყოველთაგან ხორციელისა ორ-ორი ყოველთაგან შეიყ-



ვანო კიდობნად, რათა ზრდიდე თავისა შენისა თანა; მამალი და დედალი იყვნენ. ყოველთაგან ფრთოვანთა მფრინველთა, ნათესაობისაებრ მათისა, ყოველნი პირუტყვნი ქვეყანისანი ნათესაობისაებრ, ყოველნი ქვე-წარმავალნი და ქვე-მპრომნი ქვეყნისანი ნათესაობისაებრ, ორ-ორი ყოველთაგან შევიდეს შენთან, ზრდად შენთანა, მამალი და დედალი. ხოლო შენი მიიღო თავისა შენისად ყოველთაგან ჰამადთა, რომელთა სჭამთ, და შეტკრიბო თავისა შენისა თანა; და იყოს შენდა და მათდა ჰამად. და ჰქმნა ნოე ყოველნი, რაოდენი ამცნო მას უფალმან ღმერთმან, და ვგრეთ ჰქმნა. და თქვა უფალმან ღმერთმან ნოეს მიმართ: შევედ შენ და ყოველი სახლი შენი კიდობნად, რამეთუ გიხილე შენ მართლიად წინაშე ჩემსა ნათესავსა ამას შინა. ხოლო ყოველთაგან საცხოვართა წმიდათა შეიყვანე შენთანა შვიდ-შვიდი, მამალი და დედალი. ხოლო პირუტყვთაგან არა წმიდათა ორ-ორი, მამალი და დედალი. და მფრინველთაგან ცისათა წმიდათა შვიდ-შვიდი, მამალი და დედალი. და ყოველთაგან მფრინველთა არა-წმიდათა ორ-ორი, მამალი და დედალი დამარხვად. თესლი ყოველსა ქვეყანასა ზედა. რამეთუ მერმედ-ლა შვიდი ღღენი, და მოვხადო წყლით რღენა ქვეყანასა ზედა ორმეოცთა დღეთა და ორმეოცთა ღამეთა; და აღეხოცო ყოველი აღმდგომი, რომელი შეეპქმენ, პირისაგან ყოვლისა ქვეყანისა. და ქმნა ნოე ყოველნი, რაოდენნი ამცნო უფალმან ღმერთმან. ხოლო ნოე იყო ექვსასთა წელთა, და წყალთა რღენისა იყო ქვეყანასა ზედა. და შევიდა ნოე და ძენი მისნი მისთანა, და ცოლი მისი, და ცოლნი ძეთა მისთანი კიდობანსა მას წყლისათვის რღენისა. და ყოველთაგან მფრინველთა წმიდათა, და პირუტყვთაგან არა-წმიდათა, და მხეცთა, და ყოველთაგან ქვე-წარმავალთა ქვეყანის ზედათა ორ-ორი-შვიდეს ნოეს თანა კიდობნად, მამალი და დედალი, ვითარცა ამცნო უფალმან ღმერთმან ნოეს. და იყო შემდგომად შვიდთა დღესათა, და წყალი რღენისა იყო ქვეყანასა ზედა. ექვსასა წელსა ცხოვრებისა ნოესსა,

მეორესა თთვისა, ოცდამეშვიდესა დღესა თთვისასა, ამას დღესა შინა მოეცნეს წყარონი უფსკრულისანი და საქანელნი ცისანი განეხუნეს, და იქმნა წვიმა ჭვეყანასა ზედა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე. ამას დღესა შევიდა ნოე, სემ, ჯამ და იაფეთ, ძენი ნოესნი, და ცოლი ნოესი, და საშნი ცოლნი ძეთა მისთანი მის თანა კიდობნად. და ყოველნი მხეცნი ჭვეყანისანი, ნათესაობით, და ყოველნი საცხოვარნი, ნათესაობით, და ყოველნი ქვე-წარმაველნი, მოძრავი ჭვეყანასა ზედა, ნათესაობით, და ყოველნი მფრინველნი, ნათესაობით მისით, ყოველი მფრინველი, ფრთოსანი. და შევიდა ნოესთანა კიდობნად ორ-ორი, მამალი და დედალი, ყოველისაგან ხორცისა, რომლისა თანა არს სული სიცოცხლისა. და შემავალი მამალი და დედალი ყოველისაგან ხორცისა შევიდა, ვითარცა ამცნო ღმერთმან ნოეს. და დაჰხშა უფალმან ღმერთმან გარეგან მისსა კიდობანი. და იქმნა რღვნა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე ჭვეყანასა ზედა, და განმრაველდა წყალი; და აღიღო წყალმან კიდობანი ზედა კერძო წყლისა. ხოლო განძლიერდა წყალი ფრიად ჭვეყანასა ზედა, და მიმოიტაცებოდა კიდობანი ზედა წყალთა. ხოლო წყალი აღმადღებოდა ფრიად-ფრიად ჭვეყანასა ზედა, და დაფარნა ყოველნი მთანი მაღალნი, რომელნი იყვნეს ქვეშე ცისა. ათხუთმეტ წყრთა ზედა კერძო აღმადღდა წყალი, და დაფარნა ყოველნი მთანი. და მოკვდა ყოველი ხორცი, მოძრავი ჭვეყანასა ზედა, მფრინველნი, და პირუტყვნენი, და მხეცნი, და ყოველი ქვე-წარმაველი, მოძრავი ჭვეყანასა ზედა, და ყოველი კაცი; და ყოველი, რაოდენსა აქვს სული სიცოცხლისა, და ყოველი, რომელი იგი ზმელსა ზედა, მოკვდა. და აღიხოცა ყოველი არსება, რომელი იყო პირსა ზედა ყოველისა ჭვეყანისასა კაცთაგან ვიდრე პირუტყვთამდე და ქვე-წარმაველთა; და მფრინველნი ცისანი მოისპო ჭვეყანისაგან; და დაშთა მხოლო ნოე და მისთანანი კიდობანსა შინა. და აღმადღდა წყალი ჭვეყანასა ზედა ას ერგასნი დღე. და მოეხსენა ღმერთსა ნოე და ყოველნი მხეცნი, და

ყოველნი საცხოვარნი, და ყოველნი მფრინველნი, და ყოველნი ქვე-  
წარმავალნი, რაოდენნი იყვნენ მის თანა კილობანსა შინა. და მოაწია  
ღმერთმან ქარი ქვეყანასა ზედა და მოაყლდა წყალი. და დასწყდეს  
წყარონი უფსკრულისანი და საქანელნი ცისანი და მოაყლდა წყალი  
ცისაგან. უკუნ-იქცა წყალი, მავალი ქვეყანისაგან, შედგებოდა და  
შემცირდებოდა წყალი შემდგომად ას ერგასისთა დღეთასა. და დად-  
გა კილობანი თთვესა მეშვიდესა. ოცდაშვიდსა მის თთვისასა მთასა  
ზედა არარატისა. ხოლო წყალი მავალი შემცირდებოდა ვიდრე მე-  
თედ თთვემდე. და მეათესა თთვესა პირველსა დღესა თთვისასა გამოჩ-  
ნდეს თავნი მთათანი. ხოლო იგი შემდგომად ორმეოცთა დღესა, გა-  
ნალო ნოე სარკმელი კილობნისა, რომელი ჰქმნა. და განავლინა ყო-  
რანი ხილვად, უკეთუ მოაყლდა წყალი; და განსრული არა კვალად  
იქცა<sup>\*)</sup>, ვიდრე განხმობამდე წყლისა ქვეყანისაგან. და განავლინა ტრე-  
დი უკანა მისსა ხილვად, უკეთუ მოაყლდა წყალი პირისაგან ქვეყანი-  
სა. და ვერ მპოვნელი ტრედი განსვენებისა ფერხთა მისთასა, მიიქცა  
მისსა მიმართ კილობნად, რამეთუ წყალი იყო პირსა ზედა ყოველისა  
ქვეყანისასა, და განყო ხელი მისი, მიიქუა იგი და შეიყვანა იგი თავისა  
თვისისა თანა კილობნად. და მერმე შემდგომად შვიდთა დღეთასა კვა-  
ლად განავლინა ტრედი კილობნისაგან; და მოაქცია მისსა მიმართ  
ტრედმან მიმწუხრი; და აქუნდა ზეთის ხილისა რტო ფურცლი-  
თურთ პირსა შინა მისსა. და ცნო ნოე, რამეთუ მოაყლდა წყალი პი-  
რისაგან ქვეყანისა. და მერმე დაღაითმინა შვიდ დღე, კვალად განა-  
ვლინა ტრედი; და არღარა შესძინა მოქცევა მისსა მიმართ მერმე. დ  
იყო ექვსას და ერთსა წელსა ცხოვრებისა ნოესსა, პირველსა დღესა  
პირველისა თთვისასა, მოაყლდა წყალი ქვეყანისაგან. და აღძარცვა  
ნოე სართული კილობნისა, რომელ ჰქმნა, და იხილა, რამეთუ მოაყ-  
ლდა წყალი პირისაგან ქვეყანისა. ხოლო მეორესა თთვესა, ოცდაშ-

---

\* ორიგინალში: იქით-აქით დაფრინავდა.

ვიდსა თთვისასა, განხმა ქვეყანა და ჰრჭვა უფალმან ღმერთმან ნოეს: გამოვედ კილოზნისაგან შენ და ძენი შენნი, და ცოლნი ძეთა შენთანი; და ყოველნი მხეცნი, რაოდენნი არიან შენთანა, და ყოველი ხორციელი მფრინველთაგან ვიდრე საცხოვართადმდე; ყოველი ქვეწარმავალი, მოძრავი ქვეყანსა ზედა, გამოიყვანე თავისა შენის თანა და აღორძინდით და განმრავლდით ქვეყანასა ზედა. და გამოვიდა ნოე და ცოლი მისი, და ძენი მისნი, და ცოლნი ძეთა მისთანი; და ყოველნი მხეცნი, და ყოველნი საცხოვარნი, და ყოველი მფრინველი, და ყოველი ქვეწარმავალი, მოძრავი ქვეყანასა ზედა, ნათესაობისაებრ მათისა, გამოვიდეს კილოზნისაგან. და აღუშენა ნოე საყურთხეველი უფალსა; და მოილო ყოველთაგან საცხოვართა წმიდათა, და ყოველთაგან მფრინველთა წმიდათა, და შეწირნა იგინი ყოვლად დასაწყველად საყურთხეველსა ზედა. და იყნოსა უფალმან ღმერთმან სუნი სუნნელებისა, და თქვა უფალმან ღმერთმან: შევინანე, არღარა შევსძინო მერმე წყევად ქვეყანისა, საქმეთათვის კაცთასა; რამეთუ მიდრევილ არს გული კაცისა მოსწრაფებით ბოროტთა სიჭაბუკით მისით, არღარა შევსძინო უკვე მერმე მოსპოლვად ყოვლისა ხორცისა ცხოველისა, ვითარცა ვყავ. და ყოველთა დღეთა ქვეყანისათა თესვა და მკა, ზამთარი და სიციხე, ზაფხული და არე, დღე და ღამე არა მოაკლდინან. და აყურთხნა ღმერთმან ნოე და ძენი მისნი, და ჰრჭვა მათ: აღორძინდით და განმრავლდით, და აღავსეთ ქვეყანა და ეუფლენით მას<sup>95</sup>, და სხე.

ცხადადა სჩანს, რომ ეს ებრაული წარღვნის ამბავი ბაბილონურია, რომელი ვერსიაც არ უნდა ავიღოთ ამ უკანასკნელისა — სუმერული თუ სემიური. ებრაელთა შორის ბაბილონის ტყვეობამდე იქმნებოდა წარღვნის თქმულება გაერცვლებული. ხოლო კავ-

შირი ბაბილონთან რასაკვირველია მათ ბაბილონის მწერლობასაც გააცნობდა, და როდესაც იწერებოდა ეგრედ-წოდებული მოსეს წიგნები, ბაბილონური თქმულება ებრაელ მწერალს პირდაპირ შეუტანია, რასაკვირველია რელიგიურის მიზნით, შეხამებული მთელის წიგნის შინაარსთან და შეცვლილი ებრაულ წარმოდგენათა თანახმად. წმინდა ხელოვნების მხრით რომ გავსინჯოთ, ძლიერ ცუდად აღუსრულებია თვისი საქმე ებრაელ მწერალს: ძნელად შეხვდება კაცი ძველ მწერლობაში იმოდენ ზედ-მეტ და უადგილო განმეორებას, რაოდენსაც წარღვნის ამბის ებრაულ ვერსიაში ვხვდებით; სტილი მძიმეა და უშნო. მაგრამ ეს ადვილი გასაგებიც არის: ბაბილონური ამბავი მხატვრული შემოქმედებაა, სიმღერა ხალხისა, მგოსნისა, ებრაული კი უცხო თქმულების სარწმუნოებრივ მიზნით გამოყენება მწიგნობრის მიერ.

სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მხრითაც საინტერესოა შედარება ბაბილონურ და ებრაულ წარღვნის ამბავთა: ებრაულ მოთხრობაში იაჰვე (ანუ იაჰვუ) ჯერ შეინანებს, „რამეთუ შეჰქმნა კაცი კვეყანასა ზედა“, რათგანაც განმრავლდა ბოროტი და უსჯულოება კაცთა შორის, და ბოროტისა და უსჯულოების დასასჯელად გარდასწყვეტს მოსპოს წარღვნით

მთელი კაცობრიობა და სულიერნი არსნი ქვეყანა-  
ზედ. მხოლოდ მართალ ნოეს, მის სახლობასა და სუ-  
ლიერთა თესლს გადაარჩენს სიკვდილს, რომ კვლავ  
გაჩნდეს ცხოვრება წარღვნის შემდეგ. ხოლო კაცობ-  
რიობისა და სულიერ არსთა მოსპობის შემდეგ იაჰვე  
ამბობს: შევინანე, აღარ მოვავლენ მსგავსს რამეს,  
„რამეთუ მიდრეკილ არს გული კაცისა მოსწრაფე-  
ბით ბოროტთა სიკბუკით მისით“-ო. ამგვარად იაჰვე  
ჯერ ჰქმნის კაცს „ხატად თვისად“, ეს „ხატი მისი“ კი  
ისე იხრწნება, რომ ნოესა და მისის სახლობის გარდა  
მთელი კაცობრიობა ხდება მოსპობის ღირსი, და იაჰ-  
ვე თვით „თვისის ხატის“ შექმნის აქტსაც კი შეინა-  
ნებს, ხოლო შემდეგ, მოსპობს რა კაცობრიობას,  
თვისის მართლმსაჯულების აქტსაც შეინანებს იაჰვე,  
რათგანაც კაცი, „ხატი მისი“, „სიკბუკით მისით“  
არის ბოროტისადმი მიდრეკილიო! მართალია, ეს  
წმინდა ებრაული წარმოდგენაა ღვთაებაზედ, მაგრამ  
მეორე მხრით ნათლადა სჩანს აქ პირდაპირი გავლენა  
ბაბილონურ მოთხრობისა: ებრაულ მოთხრობაში  
იაჰვეს ბაბილონურ უმთავრეს ღმერთთა ყველა თვი-  
სებანი შეუერთებია: **ერთს** იაჰვეს აქვს ამ მოთხრობა-  
ში ბაბილონის **მრავალ** ღმერთთა როლი. ებრაელთა  
იაჰვე არის აქ ბაბილონელთა ენლილ, ღმერთი მრის-

ხანე, რომელიც მთელს კაცობრიობას განსწირავს მოსასპობად, რათგანაც ცოდვა და ბოროტი განმრავლდა მათ შორისო. იგი არის ბაბილონელთა ეა, ღმერთი კეთილი, რომელიც ერთს მართალსა და სულიერთა თესლს მაინც გადაარჩენს, რომ სულ არ მოისპოს სიცოცხლე ქვეყანაზედ, და ამიტომ აუწყებს კაცს ბოროტი ენლილის გარდაწყვეტილებას. იგი არის იშტარ, რომელიც თვის მიერ შექმნილ კაცობრიობის მოსპობას შეინანებს. მაშინ როდესაც ბაბილონურ მოთხრობაში ღმერთებს როლები ბუნებრივად აქვს განაწილებული: მუდამ მრისხანე და ულმობელი ღმერთი ენლილ მთელ კაცობრიობას სპობს ცოდვათათვის, და თვისის დიდის ავტორიტეტით სხვა ღმერთთაც აიძულებს დაეთანხმონ მისს ულმობელ მსჯავრს, და ბოლოს რისხვის ცეცხლსაც კი ჰყრის, რად გადარჩა ცოცხალი ერთი სულიერიცაო; იშტარ, ქალ-ღმერთი სიყვარულისა და შთამომავლობის შექმნისა მიხვდება თვისს შეცდომას, შეინანებს, რად მივეცი ხმა ასეთ ულმობელ განაჩენს და ჩემ მიერვე შექმნილი კაცობრიობა ბოროტ ენლილს მოვასპობიეო, ატირებს სხვა ღმერთებსაც და გადარჩენილ უტ-ნაფიშტის მიერ შეწირულ მსხვერპლზედაც არ სურს მიუშვას დამნაშავე, ბოროტი ენლილ;

დისციპლინის მოყვარე, ომის ღმერთი ნიმურტა ეას გადააბრალებს კაცის გადარჩენას, თუმცა სრულიად არ თანაუგრძნობს გულში ენლილის მოქმედებას; ხოლო ეა, ღმერთი მუდამ კეთილი და ბრძენი, მეგობარი ადამიანისა, პირდაპირ უსაყვედურებს ენლილს – დამნაშავე და ცოდვილი დასაჯე მხოლოდ მის საკუთარ დანაშაულთა და ცოდვათათვის, მთელს კაცობრიობას კი რას ერჩი, ხოლო ახლა მაინც იყავ სულგრძელი და ამ ერთადერთ გადარჩენილ კაცს მაინც ნუ დაღუპავო, რაღცა გვაჩვენებს უკვე განვითარებულ ზნეობას – პრინციპს ადამიანის პირად პასუხისმგებლობისას, ებრაელთა შორის რომ არასოდეს არ იყო საესებით შეგნებული, – ებრაელთა მოთხოვნაში ერთ ღმერთზედ გადასულა ეს ურთიერთის საწინააღმდეგო როლები, მასში შეერთებულია მოპირისპირე პრინციპები.

უეჭველად საქმე გვაქვს აქ ერთი ერის **მწერლობის** გავლენასთან მეორე ერის **მწერლობაზედ**: ებრაელ მწერალს უცხო მოთხოვნა უამბნია ებრაულ კილოზედ!

თვით ეზეკიელ წინასწარმეტყველის წიგნში, დავითნი და სხვ. არის კვალი ბაბილონეთში გაგონილ „გილგამეშიან“-ის გავლენისა ებრაულ მწერლობა-



ზედ: როდესაც იქ კვითხულობთ შიმშილზედ, მხეც-ზედ, ხმალზედ, ჰირზედ, ლომზედ, რომლითაც ღმერთი სჯის კაცს ან შეუძლია დასაჯოს იგი ცოდვათათვის და უსჯულოებისათვის<sup>99</sup>, გვაგონდება ეს საყვედური, ენლილისადმი მიმართულია, — ნაცვლად წარღვნისა ეს სასჯელნი მოგვევლინა ცოდვილ ადამიანთათვისაო, და სხვ...

7. ბოლოს, საყურადღებოა რამოდენიმე მომენტი გილგამეშის ეპოსში: მომენტი სიკვდილის შიშისა, სიცოცხლის წყურვილისა, ადამიანის სასოწარკვეთილ სურვილისა, როგორმე სძლიოს სიკვდილს, ან შეამციროს საშინელება მისი, და ვერ მიღწევა მიზნისა, საუკუნო თემა ყოფილა მსოფლიო მწერლობისა და როგორც უძველეს სარწმუნოებებში ისე უძველეს მწერლობაში ვხვდებით მას. — მრისხანეა სიკვდილი, შეუბრალებელი, არა არს რა საუკუნო ამ ცხოვრებაში, ძილი და სიკვდილი მსგავსნი არიან ურთი-ერთისა — არარაობა, შეუძლებელია გარდმოცემა სიკვდილისაო — ეუბნება უტ-ნაფიშტი გილგამეშს. გილგამეშმა ეს იცოდა და სწორედ ამისათვის გაიჭრა უკვდავების საძებნელად, თვით ქვეყნის კიდეს მიაღწია და ნახა უტ-ნაფიშტი, მაგრამ მაინც ვერ მოიპოვა უკვდავება. — მზის ღმერთიც აფრთხილებს გილგამეშს:

«სად მიისწრაფი, გილგამეშ? – ეუბნება ერთ ვარიანტში გილგამეშს შამაშ – ცხოვრებას, შენ რომ ეძიებ, მაინც ვერ ნახავ!» გილგამეშ მაინც არა სცხრება: «მე რომ საცოდავად დავეხეტები ამ ქვეყანაზედ, განა ვარსკვლავებმა იკლო? მთელი წლობით თითქოს ძილში ვიყავ, ხოლო ახლა მსურს ვიხილო მზე, მსურს გავძღე სინათლითა! ბნელი დაფარულია, ხოლო ნათელი დიდი! როდის უნდა ნახოს მიცვალებულმა ბრწყინვალემა მზისა?-ო», ამბობს გილგამეშ. – მელვინექალი კი, როგორც ტექსტითგან ვიცით, ეუბნება გილგამეშს: ცხოვრებას, შენ რომ ეძიებ, მაინც ვერ ნახავ! ოდეს ღმერთებმა კაცი შექქმენეს, კაცობრიობას სიკვდილი დაუწერეს, ცხოვრება კი თავისთვის დაიტოვეს. ამიტომ, სვი და სჰამე, დღე და ღამ ილხინე და გაიხარე ცოლ-შვილითაო!

იმავე კილოსა ვხვდებით მეორე უძველეს მწერლობაში – ეგვიპტურში:

ვინც პიტალო ჭვისაგან აშენებდა და პირამიდის დარბაზს აწყობდა, ვინც შეენიერება შექქნა ამ შეენიერი საქმითა, მათი სამსხვერპლონიც ისევე დაცალიერდებიან მათის სიკვდილის შემდგ და მათაც იგივე ბედი ეწევა, რაგვარიც დაღლილთა, უპატრონოდ ხომ იხოცებიან და შთამომავლობასაც არა სტოვებენ-ო, ამბობს ერთი პესსიმისტი მგოსანი ეგვიპტის შუა-ხნის სამეფოსა (2160–1780 ქრ. წ.). ხოლო მეორე მგოსანი ახალი ხანის სამეფოსა (1580–1100 ქრ. წ.), აღნიშნავს რა ამაოებას ცხოვრებისა, აუცილებლობას სიკვდილისა, მისს საიდუმლოებას, ამბობს:

იყავ მხიარულ, დაავიწყებულს, რომ აუცილებელი სიკვდილი მოგელის. მიჰყვებ გულის წადიღს, სანამ ცოცხალ ზარ. დაიდევ თავზედ სუნნელებანი, ჩაიცივი წმინდა სამოსელი და იცხე ნამდვილი საღმრთო ნელ-საცხებელი. განამრავლე რაიცა გაქვს კეთილი და ნუ დაპდლი გულსა შენსა. მიჰყვე გულის-წადიღსა და მიანიღვე კეთილი თავსა შენსა. რაიცა გჭირდება ამ ცხოვრებაში, შეასრულე და ნუ ჰგემავე გულსა შენსა, სანამ არ მიუახლოვდები გოდების დღესა... გოდებას კი არაივინ გაუცოცხლებია! გაატარე დღე მხიარულად და ნუ დაგდღის დღე ესე ლხინისა. თვისი სიმდიდრე არავის წარუღია საიჭიოს, არც არვიღ დაბრუნებულა ამ ქვეყნად, ვინც საიჭიოს გამგზავრებულაო<sup>100</sup>, და სხვ.

ასეთივე კლოთია გამოთქმული ეკლესიასტეს ეგოისტური პესსიმიზმი:

გულისხმა ვყავ, რამეთუ არა არს კეთილი მათ შინა, არამედ გარნა რომელ იხაროს, და რომელმან ჰქმნას კეთილი ცხოვრებასა შინა თვისსა, რამეთუ ყოველმან კაცმან, რომელმან ჰამოს და სვას, და იხილოს კეთილი ყოველსა შინა შრომასა თვისსა, ესე ნიჭი ღვთისა არს-ო. – რამეთუ ყოველისა კაცისა, რომელსა მისცა ღმერთმან სიმდიდრე და საქონელი, და ხელმწიფება მისცა მას ჰამად მისგან, და მიღებდ ნაწილისა თვისსა, და მხიარულ ყოფდ ნაშრომითა თვისითა, ესე ნიჭი ღვთისა არს-ო.

შემდეგი ადგილი ეკლესიასტეს „ამაოების“ ფილოსოფიისა კიდევ უფრო გვაგონებს ხსენებულ ეგვიპტელ მგონებსა და „გილგამეშიან“-ს:

რამეთუ ძალი ცოცხალი და იგი უკეთეს უფროს ლომისა მკედრისა. ვინათგან ცოცხალნი სცნობიან, რამეთუ მოკვდებიან, ხოლო მკედარნი არა არიან მეცნიერ არა რა-სა, და არა არს მათდა მერმეცა სასყიდელი, რამეთუ დავიწყებულ არს სახსენებელი მათი

და სიყვარული მათი, და სიძულელი მათი და შური მათი ეგერა წარწყმედა, და ნაწილი მათი არა არს მერმე საუკუნოდ ყოველსა შინა ქმნულსა მზესა ჭვეშე. მოვედ და ჭამე სიხარულსა შინა პური შენი, და სუ გულსა კეთილსა შინა ღვინო შენი. რამეთუ ეგერა სათნო იჩინა ღმერთმან ქმნილი შენი. ყოველსა შინა ჟამსა რათა იყვნენ სამოსელნი შენი სპეტაკ და ზეთი თავსა ზედა შენსა რათა ნუ მოგაკლდების. და იხილე ცხოვრება დედა-კაცისა თანა, რომელი შეიყვარე ყოველთა შინა ღრეთა ცხოვრებისა ამოებისა შენისათა, რომელი მოგეცა შენ მზესა ჭვეშე, ყოველსა დღესა ამოებისა შენისა, რამეთუ ესე ნაწილ არს შენდა ცხოვრებასა შინა შენსა, და შრომასა შინა შენსა, რომელსა შენ შვრები მზესა ჭვეშე. ყოველი, რაოდენი უკეთუ პოვნეს ხელმან შენმან ქმნად, ვითარცა ძალ-გედვას, ქმენ, რამეთუ არა არს ქმნილი და გულის-სიტყვა და მეციერება და სიბრძნე ჯოჯოხეთსა შინა, სადაცა შენ წარხვალ მუნ-ო.

მაგრამ ეკკლეზიასტეს „ამაობა“ უმწვერვალესს ხარისხს აღწევს, ოდეს იგი ამბობს, რომ კაცი და პირუტყვი არ განირჩევიან ურთი-ერთისაგან, რათგანაც:

ვითარცა სიკვდილი მისი, ვგრეთ სიკვდილი ამათი, და სული ერთი ყოველთა შინა, და რათა უმეტეს აჭეს კაცს პირუტყვითა? არა რავე! რამეთუ ყოველი ამავე: ყოველნი მივლენ აღგილსა ერთსა შინა, ყოველნი შეიქმნენ მიწისაგან და ყოველნი მიიქცევიან მიწადღე. და ვინ უწყის, სული ძეთა კაცთსა, უკეთუ იგი აღვალს მაღლა, და სული საცხოვართა, უკეთუ შთავალს იგი დაბლა ჭვეყანად? და ვიხილე, რამეთუ არა არს კეთილი, არამედ გარნა რომელ იხაროს კაცმან ქმნილთა თვისთა ზედა, რამეთუ ესე ნაწილი მისი. ვინათგან ვინ მოიყვანოს იგი ხილვად მისა, რომელიცა იქმნებთან შემდგომად მისა-<sup>101</sup>, და სხე...

საუკუნო, იგივე შიში სიკვდილისა და ბოლოს ძლევა მისი მით, რომ ღვინით დაივიწყოს კაცმა უკანასკნელი დღეს! მთელს ძველსა და ახალს მწერლობაში ვხედავთ ამას და თვით უძველეს პოეზიაშიც ყოფილა იგი. „ვეფხისტყაოსანში“ აც არის იგი მრავალად გილს, მრავალ-ფეროვნად გამოხატული, როგორც ყველა დროის ყველა ხალხთა მწერლობაში, და ვერც ეგვიპტეში უადრესად განვითარებულმა რწმენამ საიქიო ცხოვრებისა, ვერც ქრისტიანულმა რწმენამ სულის ცხოვრებისა, – ვერავითარმა სარწმუნოებამ ვერ განუქარწყლა ადამიანს ეჭვი, რომ სიკვდილი უარყოფაა სიცოცხლისა და მისი საშინელების შემსუბუქება შეიძლება მხოლოდ ამ ქვეყნიური სიამოვნებითა და კეთილითა.

მაგრამ ქვესკნელითგან ამოსული სული ენკიდუსი იმასაც აუწყებს გილგამეშს რომ: ვინც ბრძოლაში არ მომკვდარა, იგი ნაკლების პატივით არის მოსილი საიქიოსო, ხოლო ვინც ბრძოლაში მომკვდარა, მას მეტი პატივი აქვს, მას არ აკლია მზრუნველობა მშობელთა და მეუღლისაო. აქ კი იგივე საუკუნო იმედი საიქიო ცხოვრებისა, შეურიგებლობა სიკვდილთან, და ამასთანავე იმედი ამ ქვეყნად მოვალეობის აღსრულებით საიქიოს ბედნიერების დამკვიდრე-

ბისა, — ზნეობრივი მომენტი, რომელიც აგრეთვე გვხვდება ყველა სარწმუნოებაში და მსოფლიო მწერლობაშიაც! რუსთაველი გვეუბნება: ვინც მეფეთათვის, ე. ი. სამშობლოსათვის კვდება, „სულნი მათნი ზეცას რბიან“—ო, და ჩვენი დიდი მგოსანი, მართლაც, მარტო ლხინით კი არ გვირჩევს დავივიწყოთ აუცილებელის სიკვდილის საშინელება.

სწუხდა ენკიდუს სული, რომ ბრძოლაში არ მომკვდარა და ამიტომ პატივი მოაკლდა მას საიჭიოს, — ეს პირველ-ყოფილი მხეც-კაცა, გმირი უძველეს ეპოსისა მსოფლიო მწერლობაში, და სწამს რუსთაველსაც — მოვალეობის აღმსრულებელის სული ზეცას რბისო. და ეს მცნება ძველია და თან სამარადისო: გილგამეშის დროითგან რუსთაველამდე, რუსთაველის წინად და შემდეგ, სანამ იქმნება კაცობრიობა, მას ჰქონდა, აქვს და ყოველთვის ექმნება ღირებულება: იგი კანონი ყოფილა კეთილშობილთა ცხოვრებისა.

ნახევრად მაინც ნუგეშის-ცემულ უნდა დარჩენილიყო გილგამეშ ენკიდუს სულის უწყებით: თუ მისი საყვარელი მეგობარი საიჭიოს ვერ იქმნებოდა ღირსეულად დაჯილდოვებული, რათგანაც ამ ქვეყნად ბრძოლას ერიდებოდა და „ბრძოლის ველზედ არ

დაცემულა“, სამაგიეროდ გილგამეშს ეუწყა გზა საი-  
ქიოს ბედნიერების მოპოვებისა ბრძოლის ველზედ  
სიკვდილითა, იგი არ ერიდებოდა ბრძოლას, არამედ  
ამბობდა: მოკვდები, მაგრამ სამარადისო სახელს  
მოვიხვეჭო! თუ საიქიოს უკვდავება ვერ მოიპოვა, სა-  
ხელი ხომ მოიხვეჭა ამ ქვეყნად, ხოლო იმ ქვეყნად მას  
შეეძლო მოეპოვებია მშვიდი განსვენება სიცოცხლე-  
ში მოვალეობის აღსრულებით, „ბრძოლის ველზედ  
დაცემით“, – „სახელის მოხვეჭით“.

ურია ისო ზირაქი გვირჩევს:

იზრუნე სახელისათვის, რამეთუ იგი დაადგრების შენდა  
უფროს ათასთა დიდთა საუნჯეთა ოქროსათა. კეთილი ცხოვრება  
რიცხნი დღეთანი, და კეთილი სახელი უკუნისამდე დაადგრების-ო.  
– უმჯობეს სიკვდილი, ვიდრედა თხოვნა-ო, და სხვ.

და რუსთველმაც ესე დაგვარიგა:

სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა-ო;

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი-ო,

და ესე უძველეს დროითგან ყოფილა უკვდავე-  
ბის შესატყვისი სააქაოს და ბედნიერების პირობა სა-  
იქიოს, – ზნეობრივი ცხოვრება, მოვალეობის აღ-  
სრულება ამ ქვეყნად!

## ბ ა ნ მ ა რ ტ მ ბ ა ნ ი

1. ქალაქი სამხრეთ ბაბილონეთში. 2. ტაძარი ცის ღმერთის ანუსა ქ. ურუქში. 3. ე. ი. ალკრძალა ქორწინებანი. 4. ერისა. 5. ცის ღმერთის ანუს. 6. ცის ღმერთი. 7. შემქმნელი ღედა. 8. გილგამეშისა. 9. ერთი ომის ღმერთთაგანი, ვარსკვლავი სატურნი. 10. ზორბლის ღვთაება, პურის თავთავი. 11. ნადირის დასაჭერი. 12. მეძვე ქალს. 13. სიყვარულის ქალ-ღმერთი, ვარსკვლავი ვენუსი. ურუქი იყო ანუსა და იშტარის კულტის დიდი ადგილი. 14. ეუბნება მეძვეი ქალი. 15. გილგამეშს ეწოდება «მეგობარი მწუხარებისა», რათგანაც მან ქალაქის ზღუდეთა აშენების დროს ერი შეაწუხა გადაჭარბებული სიმკაცრითა. 16. მზის ღმერთი. 17. მიწის ღმერთი 18. წყალთა ღმერთი, ღმერთი სიბრძნისა, კაცთა მეგობარი და შემწე. 19. ღედა გილგამეშისა. 20. ელამური სახელია. 21. სამოცი მანა (გირვანქა) ოხ. 34. 22. გილგამეშის დამცველი ღვთაება. 23. ორი საათის სავალი. 24. გილგამეშს. 25. ერთი ფორმათაგანი იშტარისა. 26. გილგამეშმა. 27. მცენარეულობის ღმერთი, რომელიც პერიოდულად კვდებოდა და ცოცხლდებოდა. 28. ფრინველია. 29. ბაბილონურად: ფრთაო ჩემო! 30. ცის ღმერთის ანუს მეუღლე. 31. შიმშილი. 32. ზეცის ხარის ბარკალზედ. 33. ზეცის ხარისა. 34. ბაბილონური მანა (გირვანქა)=505 გრამსს, დიდი ასსურული მანა=1010 გრამსს. 35. გილგამეშმა. 36. გილგამეშმა და ენკიდუმ. 37. ქვესენელის ღვთაება. 38. განსაკუთრებული კლასის ბაბილონის სამღვდლოებისა. 39. მითოლოგიური პიროვნება, არწიეს რომ შეაჯდა ზურგზედ და აფრინდა ცაში. 40. პირუტყვთა ღმერთი. 41. «მინდრის დედოფალი» 42. =მე, ე. ი. ენკიდუმ. 43. გილგა-



მეშმა. 44. მთვარე, მთვარის ღმერთი. 45. გილგამეშ. 46. ეს ადგილი გაუგებარია. 47. სამ დღეს გაუვლიათ თვე-ნახევრის გზა. 48. ე. ი. ვაკეთებთ საქმეს სამარადისოდ? 49. ქვესკნელის სულნი. 50. ქვესკნელის ღმერთნი. 51. ტაროსის ღმერთი ალად. 52. ე. ი. სივანე. 53. საზომი ფხვიერ ნივთიერებათა. 54. ზემოდ დაინახეთ, რომ ვამ დაუნიშნა დრო. თქმულებას სხვა და სხვა სახე ჰქონია. 55. მებრამალდეს ერთის ვერსიით ურ-შანაბი ერქვა, კიდე სხვა ვერსიით — სურ-სუნაბუ. 56. ტაროსის ღმერთი. 57. ღმერთთა მოციქულები. 58. ქვესკნელის ღმერთი. 59. მდინარეთა. 60. ცის მიმართულების ანგარიშია. 61. ტიგროსსა და ქვედა ზაბს შუა. 62. იშტარ. 63. ცის სულები. 64. უტ-ნაფიშტი. 65. ჰირის ღმერთი. 66. ეპითეტი უტ-ნაფიშტისა: ბაბილ. ხასის-ატრა. 67. ე. ი. გარდასწვიტე ბელი მისიო. 68. ეა, ან შეიძლება თვით ენლილ. 69. გილგამეშ. 70. გილგამეშ. 71. უტ-ნაფიშტი. 72. გილგამეშ: ე. ი. მოაჯალოვა იგი (?). 73. ეს ადგილი გაუგებარია; ხოლო აზრი ის უნდა იყოს, რომ უკვე გარდაწყდა შეუძლებლობა გილგამეშის მიერ უკვდავების მოპოვებისა. 74. სიკვიდის. 75. ზღვისას. 76. გაუგებარია. 77. ბალაბი. 78. ქალაქ ურუკისა. 79. მკვდართა ქალ-ღმერთი. 80. ჰირის ღმერთი, ჰირი. 81. ქვესკნელისა და ჰირის უზენაესი ღმერთთა, უმთავრესი ღმერთი ოზისა, ვარსკვლავი მარსი. 82. ნერგალის დარაჯი. 83. გილგამეშმა. 84. ქალაქი სუმერეთში, დღევანდელი ნუფთარ. 85. სუმერთა იშტარ. 86. სუმერულად: ცი=სიცოცხლე, უ(დ)ღლე, სუდ(უ)გრძელი; ცი-უსუდუ=სიცოცხლის-ღლე-გრძელა, რაჲს პირდაპირი თარგმანია ბაბილონური უტ(ა)-ნაფიშტი(მ). 87. ენკის. 88. კედელს. 89. უტუ-სუმერთა მზის ღმერთი, ბაბილ.-ასურ. შამშ. 90. კუნძული იყო სპარსეთის ყურეში. 91. იხ. ჩემი «ზეთის ქვეყანა» და სხვ., გვ. 13, 53; გერმანული თარგმანი ვერსიათა ნაწყვეტებისა A. Ungnad: Gilgamesch-Epos und Odyssee (Kulturfragen, Heft 4/5. Breslau

1923). 92. იხ. E. Rohde: *Psuche*. 93. იხ. განსაკუთრებით A. Ungnad: *op. cit.*. 94. იხ. Ed. Norden: *Die Germanische Vorgeschichte in Tacitus Germania*. 95. იხ. «ვეფხისტყაოსანი» (ი. აბულაძის გამოცემა): 51, 224, 589, 592, 594-596, 857. 96. «ვეფ. ტყ.» 892-894. 97. ერგასი – 50 (ნახევარი 100-ისა). 98. მოსე I, 65-91. 99. ეზეკიელ 5, 19 და სხვ. 100. იხ. Ad. Erman: *Die Literatur der Aegypten*. 101. ეკკლეზიასტე 3, 12-13; 5, 17; 9, 4-10; 3, 19-22. 102. ისრაელი: 41, 15-16; 40, 29.



## დამატება

შვიდი ვარსკვლავის სახელები გვხვდება როგორც შვიდეულის დღეთა სახელ-წოდებანი. ევროპაში საბერძნეთითგან და რომითგან არიან იგინი შესულნი. საქართველოში შვიდი ვარსკვლავი და შეიძლება შვიდეული და მათ დღეთა წოდებაც მნათობლვთაებათა სახელით ალბათ ბერძენ-რომეაელთა გავლენის წინადაც იყვნენ შემოსულნი პირდაპირ ბაბილონიტგან, ან ხეთელთა შუა-მავლობით. თვით ბერძნებს ეუწყათ ბაბილონური ვარსკვლავთ-მრიცხველობა ალბათ ჯერ კიდევ ხეთელთაგან<sup>\*)</sup>.

საუბედუროდ წმიდა ქართული სახელები შვიდეულის დღეთა დაკარგულია. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ვკითხულობთ: **შაბათი**: ქართულად შაბათისა სახელი არს კრონოსისა, კვირიაკისა მზისა, ორშაბათისა – მთოვარისა, სამშაბათისა – არეასი, ოთხშაბათისა – ერმისა, ხუთშაბათისა – აფროდიტისა (უნდა იყოს: დიოსისა), პარასკევისა –

---

<sup>\*)</sup> A. Ingnad: Insprung und Wanderung der-Sternhamen, Kulturfragen, heft 2. Breslad, 1923.

დიოსისა (უნდა იყოს: აფროდიტისა): ე. ი. კვირა — მზის დღე, ორშაბათი — მთვარისა, სამშაბათი — არესისა=მარსისა, ოთხშაბათი — ჰერმესისა=მერკურისა, ხუთშაბათი — ძევისისა=იუპიტერისა, პარასკევი — აფროდიტისა=ვენუსისა, შაბათი — კრონოსისა=სატურნისა, ბერძნულითგან არის გვიან გადმოღებული ეს სახელები, და პირდაპირ ეთანხმება ლათინურიტგან გადაღებულ ფრანგულ, იტალიურ და სხვ. სახელთ შვიდეულის დღეთა და აგრეთვე ინგლისურ, გერმანულ და სხვ. სახელთ, რომელნიც ბერძენ-ლათინთა და ბაბილონელთა მნათობ-ღმერთების შესატყვის ღვთაებათა სახელნი არიან. — მეგრულად და სვანურად კი დარჩენილან სახელნი შვიდეულის დღეთა:

მეგრ. შაშხა (ბჟაში დღა)=მზის დღე=სვან. მიშ-ლადეღ=კვრიაკე: მეგრ. თუთაშხა (თუთაში დღა)=მთვარის დღე=მთვარის დღე=სვან. ღოშდიშ=ორშაბათი; მეგრ. თახაშხა (თახაში დღა)=?=სვან. თახაშ. =სამშაბათი; მეგრ. ჯუმაშხა (ჯუმაში დღა)=?=სვან. ჯომაშ=ოთხშაბათი; მეგრ. ცაშხა (ცაში დღა)=ცის დღე=სვან. ცაშ=ხუთშაბათი; მეგრ. ობიშხა (ობიში დღა)=?=სვან. ჯობიშ=პარასკევი; მეგრ. (საბატონი)=სვან. (საფტინ)=შაბათი.

შეად. მაგ. ფრანგ. (Dimanche), Lundi – მთვარის დღე, Mardi – მარსის დღე, Mercredi – მერკურის დღე, Jeudi – იუპიტერის დღე, Vendredi – ვენუსის დღე, Samedi – შაბათი; ინგლ. Sunday – მზის დღე, Monday – მთვარის დღე, Tuesday – გერმ. მარსის დღე, Wednesday – გერმნ. მერკურის დღე, Thursday – გერმ. იუპიტერის დღე, Friday – გერმ. ვენუსის დღე, Saturday – სატურნის დღე, და სხვ.. უეჭველია ხდება, რომ მეგრ.-სვან. **თახა** არის მარს, **ბაბ**. **ნერგალ**, **ჯუმა-მერკურ**, **ბაბ**. **ნაბუ**, **ობი**, **ჯობი** – ვენუს, **ბაბ**. **იშტარ**, რათგანაც **მზე**=**ბაბ**. **შამაშ**, მთვარე – **ბაბ**. **სინ**. **ცა** – ძვეს – **იუპიტერ**, **ბაბ**. **მარღუკ**, და **საბატონი**, **საფტინ**, რომლის სვან.-მეგრ. სახელი დაკარგულია, უდრის კრონოსს, სატურნს, – **ბაბ**. ნიმურტას, რომლის რომლის სახელის შესატყვისიც მას უეჭველად ექმნებოდა. ხოლო რას ნიშნავს სიტყვები **თახა**, **ჯუ/ომა** და (**ჯობი** და რაგვარ აღნიშნავენ იგინი მარსს, მერკურს და ვენუსს, ან რომელსამე მათს ეპითეტს, – სხვა საკითხია და ამის გამოკვლევისაგან ფრიად საინტერესო შედეგებს უნდა მოველოდეთ.



## შემჩნეული შემცდომანი

	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
გვ.	სტრ.	
12	ქ. 7 აღიზარდა.	აღიზარდა».
16	ზ. 3 ეძებს	ეძიებს
17	ზ. 4 და	და,
19	ქ. 7 მისნი!»	მისნი!»
—	ქ. 8 იქმნებიან	იქმნებიან
26	ქ. 5 ტალატი	ტალანტი
28	ზ. 3 ვქმნა!	ვქმნა!
32	ზ. 3 დაკარგულია	დაკარგულია
—	ქ. 1 მაგობარო	მეგობარო
47	ქ. 2 აჭვთ	აჭვსთ
58	ქ. 1 ჩემი	ჩემს
60	ზ. 7 აღარაოდეს	არლარაოდეს
61	ქ. 2 ეძებ	ეძიებ
64	ზ. 12 ვანეცადე	ვანეცადე
—	ქ. 1 აღარაოდეს	არლარაოდეს
65	ზ. 11 ხალში	ხელში
66	ზ. 12 გილგამეში!	გილგამეში!“
70	ზ. 3 მათი.	მათი.“
72	ქ. 10 ეძებე	ეძიე
73	ქ. $\frac{3}{2}$ არასოდეს არ	არაოდეს
80	ზ. 12 ვითარ	რავგვარ

84	ზ.	7 მისადგომელსა	«მისადგომელსა
87	ქ.	2 მიჭნია	მიჭნია
90	ქ.	4 ღედამ ნინაზუესამ,	ღედამ ნინაზუესამ, იქრომ განისვენებს,
94	ქ.	2 – ვინც	ვინც
95	ზ.	3 – ვისი	ვისი
–	ქ.	4 – ვის	ვის
103	ზ.	3 სულნი	გვამნი
–	ზ.	4 შემდეგ	ნაცვლად
–	ქ.	<sup>2</sup> / <sub>1</sub> აქს იტყვასვერ გან ვაგრძობთ	აქ სიტყვას ვერ განვაგრძობთ
106	ქ.	3 ცოდვათათვის	ცოდვათათვის –
112	ქ.	8 მისწრაფებით	მოსწრაფებით
–	ქ.	3 მფინველთამდე	მფრინველთამდე
113	ქ.	5 თენთანი	შენთანი
117	ქ.	11 ღ	ღა
120	ზ.	9 სიჭბუკით	სიჭბუკით
–	ზ.	2 კიკობრიობა	კაკობრიობა
124	ზ.	5 მიანც	მიანც
127	ზ.	8 სიკედილი	სიკედილი
131	ქ.	9 სამოცი მანა	1 ტალანტი= სამოცი მანა
136	ზ.	1 (Dimanche)	(Dimanche) – კვირი-
–	ზ.	4 Samedi	ავე=საუფლო (Samedi)
–	ზ.	10 ჳუმა	ჳუმ/ომა
–	ზ.	<sup>10</sup> / <sub>11</sub> ობიშ, ჳობიშ	ობი, ჳობი